# საღამოსპორტი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 16 თებერვალი 1999 №26 (799) | ფასი 50 თეთრი


2 გოჩა ჯამარაულის ციურიხელია



ჯამარაული „ტრაბზონსპორს“ დაეთხოვა, მაგრამ საბოლოოდ არ დახსნია

7 არიგო საკი ფეხბურთიდან წავიდა



მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მწვრთნელმა კარიერა დაასრულა

8 საქართველოს ჩემპიონატი 15 ტური

სენსაცია სანაკრებო შესვენების წინ

ვიტა 80:85 თსუ

სხვა მატჩები

სდასუ 81:72 ასკ

სტუ 90:66 შევარდენი

პოლხა 84:92 მაკაბი

ჩემპიონატი საქართველოს ნაკრების ლატვიელებთან და იტალიელებთან შეხვედრების მერე, 3 მარტს განახლდება

10 ხოცვა-ჟლეტა წმინდა ვალენტინის ღამეს

მხოლოდ მეთორმეტე რაუნდში გამოჩენილი არაადამიანური ძალისხმევით გადაირჩინა ოსკარ დე ლა ჰოიამ სახელი და დიდება



# ვენგერი არსენაა!



REUTERS ლონდონიდან

არსენალი — შეფილდ იუნაიტედი. ლონდონელთა ლეგიონერებმა კანუმ (№25) და ოვერმარსმა კი გაიხარეს, მაგრამ ნაადრევად

...„შეფილდ იუნაიტედის“ ფეხბურთელი დაშავდა. მისმა თანაგუნდელებმა ბურთი აუტში გადააგდეს. აუტი „არსენალის“ ნიგერიელმა ფორვარდმა ნვანკვო კანუმ პარტნიორს, ჰოლანდიელ მარკ ოვერმარსს მიაწოდა და ოვერმარსმა გოლი გაიტანა.

რამდენიმე საათის მერე ოვერმარსი იტყვის, რომ ყველაფერი კანუს ბრალია. რაინდული წესების თანახმად, ნიგერიელს ბურთი მისთვის კი არა, მეტოქისთვის უნდა მიეწოდებინა, მაგრამ რა ვუყოთ იმ 40 მეტრს, თავად რომ გაირბინა რათა „შეფილდის“ საჯარიმოში შევარდნილიყო და გოლი გაეტანა? ან საბოლოო დარტყმა სად გინდა დამალო?

მერე კანუ ბოდიშს მოიხდის. საშინლად შევცდიო, იტყვის შერცხვენილი.

გოლი რომ გავიდა, შეფილდელთა მწვრთნელმა, სტივ ბრიუსმა, თავისი ფეხბურთელები მოედნიდან გაიხმო — პროტესტის გამოცხადებას აპირებდა. მას სწამს, ასე რომ არ მოქცეულიყო, არაფერი შეიცვლებოდა.

ბრიუსს როგორც უნდა ისე სწამდეს, ფაქტი კი ერთია: შეხვედრა დასრულდა თუ არა, „არსენალის“ თავკაცმა, არსენ ვენგერმა, მოგებული შეხვედრის შედეგის გაუქმება და გადათამაშება მოითხოვა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია დათანხმდა. შვეიცარიიდან ფიფამაც მოიწონა ვენგერის საქციელი. ამრიგად, სათასო შეხვედრა, „არსენალი“ — „შეფილდ იუნაიტედი“, 23 თებერვალს ხელახლა გაიმართება. არადა წესი არ დარღვეულა...

იხილეთ მესამე გვერდი

# გუგავა ერთი სიტყვით: ბრწყინვალე!

## გია გუგავა მეოთხე ქართველია, ვინც პარიზის ტურნირი მოიგო

მერაბ რატიშვილი

პარიზიდან



პარიზის 26-ე საერთაშორისო ტურნირმა 60 ქვეყნის 471 ძიუდოისტს მოუყარა თავი. ეს ციფრები თავისთავად მეტყველებს ევროპის უძლიერესი და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ტურნირის პრესტიჟულობასა და სიძლიერეზე. ჩვენთვის კი ისაა გასახარი, რომ წლევანდელი ასპარეზობის პირველი გამარჯვებული ქართველი ძიუდოისტი გახდა. 20 წლის გია გუგავას გამოსვლას ყველაზე ასოკირკიტა და კრიტიკულად განწყობილი კაციც ერთი სიტყვით შეაფასებდა — ბრწყინვალე! ჩვენმა 90 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის ძიუდოისტმა ხუთი შეხვედრა გამართა პარიზის ტატამზე, ყველა წმინდად მოიგო და ჯამში ამ საქმეს 6 წუთი (!) დაახარჯა.

იხილეთ მეათე გვერდი



[illegible] ფოტო

გია გუგავა

# ჯამარაული ციურიხელია! ხუთი თვე და 500 ათასი



[illegible] კითილაძის ფოტო

ჯამარაული „ტრაბზონს“ დაეთხოვა

თურქული „ტრაბზონსფორიდან“ წამოსვლის შემდეგ უგუნდოდ მყოფი გოჩა ჯამარაული ახლა უკვე შვეიცარიული „ციურიხის“ ფეხბურთელია.

საქართველოს ნაკრების წევრმა ციურიხში თამაშის ამბავი ორიოდ დღის წინ საბოლოოდ გადაწყვიტა, რაც თავისი ხელმოწერით დაადასტურა.

ჯამარაულმა შვეიცარიელებთან ხუთთვიანი კონტრაქტი გააფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ციურიხში“ ჩვენებური მიმდინარე სეზონის ბოლომდე ითამაშებს. თუმცა შესაძლებელია, ქართველი ნახევარმცველი ამჟამინდელ კლუბს სამი წლითაც დაუკავშირდეს. ყველაფერი მის ყოფილ კლუბ „ტრაბზონზეა“ დამოკიდებული. თურქები ფეხბურთელის საბოლოოდ გასათავისუფლებლად 500 ათასს დოლარს ითხოვენ. შვეიცარიელები კი ყოყმანობენ, თანხა გვებევრებაო.

მოკლედ, ჯერჯერობით ასეა: „ციურიხმა“ რამდენისაც გადაუხადა თურქებს, ჯამარაულიც იმდენი ხნით დაიბევა. სეზონის დამთავრების შემდეგ კი უფრო დაზუსტდება, რა როგორ იქნება. საქმე ისაა, რომ ფიფას სადისციპლინო კომიტეტში დაწყობილი ქაღალდების ერთი დასტა ჯამარაულ — „ტრაბზონის“ კონფლიქტს ეხება. კლუბმა რომ ქართველ ფეხბურთელს კონტრაქტის პირობები ბოლომდე არ შეუსრულა, სწორედ ეს ამბავი აქვთ განსახილველი.

„ციურიხი“ კი ფიფას გადაწყვეტილებას დაელოდება. რამდენსაც ის იტყვის, ციურიხელებმაც, ჯამარაულის დასასაკუთრებლად იმდენი უნდა გადაუხადონ თურქებს.

ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

# ძველდროების გადმონაშთი თუ...
## მსაჯების ამბავს ინტერპოლიც ვერ გაიგებსო

11 თებერვალს ეროვნული სტადიონის სარბენ ბილიკებზე მეტად უჩვეულო მარათონი მოეწყო. მსაჯები თავდაუზოგავად დარბოდნენ და თან წამზომებს დასცქეროდნენ მალიმალ.

მიხვდებოდით, ალბათ, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის მიერ ჩატარებულ ტესტებზე ვსაუბრობთ, რომლის ჩაბარებაც ბევრმა მსაჯმა შეძლო, თუმცა ხელმოცარულებიც კი იყვნენ.

12 თებერვალს მსგავსი ტესტირება ფეხბურთის ფედერაციაში მოეწყო. ისევ მილჩენკო და კომპანია და ისევ არბიტრები. ამჯერად მსაჯები თეორიულ ცოდნაში გამოსცადეს.

იმ დღესვე შეგვპირდნენ, ყველანაირ მასალას მსაჯთა ფიზიკური და თეორიული ტესტირების შესახებ ორშაბათს მოგართმევთო. პატიოსანი სიტყვა თავად სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის ხელმძღვანელმა ანატოლი მილჩენკომ მოგვცა.

ორშაბათ დილაც გათენდა და ფედერაციასაც ვესტუმრეთ, მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. პირიქით, ისეთი პასუხი მივიღეთ, რომ ლამის ძველი ფედერაცია ვინატრეთ. დიალოგი დაახლოებით ასეთი შინაარსის გამოდგა:

— ბოდიშით, მსაჯთა ტესტირების შედეგები გვაინტერესებს.

— უკაცრავად ვართ, რად გინდათ?

— გაზეთში გამოსაქვეყნებლად.

— მაგას ვერ მოგცემთ.

— რატომ?

— გენერალური მდივნისგან მსგავსი ინფორმაციის გაცემის დირექტივა არ მიგვიღია. აი, რაღაც გაზეთი და აქედან ამოიწერეთ, ვინ ვერ ჩააბარა ტესტირება. მე თავად გიკარნახებთ.

— გმადლობთ, არ არის საჭირო...

...არავითარი პრობლემა, არავითარი ინფორმაციული ვაკუუმი. ფეხბურთის გულშემატკივრებმა უნდა იცოდნენ, რა ხდება საქართველოს საფეხბურთო ცხოვრებაში. ჩვენ დასამალი არაფერი გვექნება, ჟურნალისტებსაც ყველა პირობას შევუქმნით, რათა თავიანთი სამუშაო პირნათლად, ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე შეასრულონ.

ეს სიტყვები ახალი ფედერაციის ჩინოსნებს ეკუთვნით. მაშინ ორიოდე დღის არჩეულ-დანიშნულები იყვნენ. ეს სიტყვები საჯაროდ ითქვა და ისინი იმედია მხოლოდ „სარბიელს“ არ დამახსოვრებია.

მაშინ, უბრალო ინფორმაციის მოწოდებას კი არა, ფინანსური მხარის შესახებ მასალების არდამალვასაც გვპირდებოდნენ. როგორ მალევე იცვლებიან ადამიანები. როცა სჭირდებოდათ მხარდაჭერას და თანადგომას გვთხოვდნენ. თუმცა, ჩვენი ყოფა იმითაცაა გამორჩეული, რომ ხშირად კარგად მორგებული ნიღაბიც ვერ შველით ზოგიერთებს.

ვერაფრით დავიჯერებთ იმას, რომ ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გასცა ბრძანება, მსაჯთა ტესტირების ამბები გაასაიდუმლეთო. უბრალოდ არასერიოზულია და იმიტომ. „სარბიელს“ ფაქტობრივად არც აინტერესებდა ვინ რამდენ წუთში გაირბინა კუპერი, ან რატომ გაუწყდა კუნთი მავან მსაჯს, ანაც რატომ ვერ ჩააბარა თეორია ლავრენტი რაზმაძემ. აქეთ გვითხრეს, მობრძანდით და წაიღეთო.

ძველ ფედერაციას სწორედ იმიტომაც ატყდებოდა კრიტიკის ქარცეცხლი, რომ უმნიშვნელო ინფორმაციის დამალვაც ხელეწიფებოდა. არაფრით გვეგონა, თუ მსგავს წინაალმდეგობებს ახლაც შევხვდებოდით.

ასე მუშაობა და მსგავსი მოქცევა, პირველ რიგში ფედერაციას ავნებს, თორემ „სარბიელს“ არც არაფერი დააკლდება. ვიმედოვნებთ, ყველაფერი ისევ გაუგებრობის ბრალია და სხვა არაფერი. ალბათ ასეცაა, თუმცა ფაქტი კია და ფედერაციამ ჟურნალისტებთან ურთიერთობისას პირველი შეცდომა დაუშვა.

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

# იჩქარეთ, იჩქარეთ, თორემ!..

ქართული საფეხბურთო ორომტრიალი 20 თებერვალს, თასის გათამაშების მეოთხედფინალური თამაშებით განახლდება. სულ რაღაც სამი დღეღა დარჩა და ფეხბურთის ფედერაციაც მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზე გადავიდა.

თითქმის სამი თვეა, ფედერაციის ჩინოსნები ამგვარად არ შეწუხებულან. საკმაოდ მოუცლელები გამხდარა საშეჯიბრო კომიტეტიც. საქმე ის გახლავთ, რომ 20 თებერვალსვე საქართველოში სატრანსფერო სეზონი იხურება. მაისის ბოლომდე გუნდიდან გუნდში გადასვლა უნდა აიკრძალოს.

ვინც ადრე გამოცხადებულ ვადაში ვერ ჩაეტევა, მერე ნუ შეგვაწუხებსო, უბრძანებია ფედერაციას. ჰოდა, შეფუცხუნდნენ კლუბების თავკაცები. თუმცა, ძველი ფედერაციისგან დარდიმანდობას ჩვეულებს თუ თავადავე ფინანსურად შეჭირვებულებს ახლებურ რეჟიმზე გადართვა უჭირთ.

რახან ჩემპიონატიც მალევე გვეწყება, ფეხბურთის ფედერაციამ თებერვალში, მარტში, აპრილსა და მაისში თამაშების დაწყების დროც გამოაცხადა. ზამთრის ბოლო და გაზაფხულის პირველ თვეებს მატჩები სამ საათზე დაიწყება, ხოლო აპრილში ოთხზე, მაისშიკი სულაც ექვს საათზე დაინიშნებაო.

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

# კუკარაჩა, შტირლიცი და რასინგ მეხელენი

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ფეხბურთში მორიგი საჩოთირო სიტუაცია მომწიფდა — ეს ორი დღეა, ინგასი და კუკარაჩასი არ იყოს, მთელი საფეხბურთო თბილისი ბელგიური მესამე ლიგის „რასინგ მეხელენიდან“ უწესო გიმნაზიელებივით დათხოვნილ ქართულ ლეგიონზე ლაპარაკობს.

ის-ის იყო, ქართველთა კლუბმა თითქოსდა მდგომარეობა გამოასწორა, 2:1 გაიმარჯვა (ორივე ბურთი ჩალაძემ გაიტანა) და... მოწმენდილ ცაზე მეხივით გავარდა ახალი ამბავი — კიკნაძე, ჩალაძე, ხომერიკი, ჩხეიძე, ანჩაბაძე, დიდავა „რასინგ მეხელენში“ აღარ ითამაშებენო.

მიზეზს არ იკითხავთ? მიზეზი ფრიად პროზაულია — ვიზების მოუწესრიგებლობა. ჩვენ გიორგი კიკნაძეს დავუკავშირდით და მან ასეთი ახსნა-განმარტება მოგვცა — ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. მორიგი მატჩის შემდეგ გუნდის ხელმძღვანელებმა თავისთან გვიხმეს, პასპორტები გაგვისინჯეს და გვითხრეს, ბელგიაში თქვენი ყოფნის ვადა უკვე ამოწურულიაო.

ამის შემდეგ ბევრიც არაფერი იყო გასარკვევი, ხელმძღვანელობისვე წინადადებით თბილისს ჩამოვედით და ველოდებით პრობლემის მოგვარებას. ბელგიაში ჩვენებიდან „რასინგ მეხელენის“ კონსულტანტი დავით ყიფიანი და გიორგი ანჩაბაძე დარჩნენ (გიორგი ზეგ ჩამოვა თბილისში).

„რასინგ მეხელენში“ ქართველების ოდისეა საკმაოდ მოულოდნელად დასრულდა. არავინ იცის და ვერც ვერავინ იმარჩიელებს, გააგრძელებენ თუ არა ჩვენებურები იქ გამოსვლას, მაგრამ როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, ამ უსიამო ისტორიას, ალბათ კარგა ხანს ვერ დაივიწყებენ.

და თუ მაინცდამაინც პასპორტების მოუწესრიგებლობაა მიზეზი, მით უარესი — დალოცვილებო, შტირლიცი შეინახა ჩეკამ ბერლინში ოთხი წელიწადი და ბელგიის მესამე ლიგაში ექვსი ქართველი ფეხბურთელის სეზონის ბოლომდე შენარჩუნება რა გახდა?!

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲝᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ

# ალთქმული მიწიდან სანტიაგო ბერნაბეუზე

საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველმა კახა კალაძემ ამ ბოლო დროს მართლაც გაგვაოცა. ჯერ იყო და „მილანი“ — კიევის „დინამოს“ შეხვედრის ბოლო წუთზე ულამაზესი საჯარიმოთი დააშამათა იტალიელთა სახელოვანი გუნდი. იგი დავით ყიფიანის შემდეგ მეორე ქართველ ფეხბურთელად მოგვევლინა, ვინც „სან სიროზე“ ბურთის გატანა შეძლო. ორი დღის მერე კი სერია B-ს ბინადარის „მილანის“ ფარმ-კლუბ „მონცას“ კარის ბადეც ასევე სტანდარტული მდგომარეობიდან შეარხია. კალაძის სტაბილურ თამაშს დაჩვეულებს მისი არაერთი გოლიც გვინახავს, მაგრამ ასე უზადოდ შესრულებული საჯარიმოებით ნამდვილად არ ვყოფილვართ განებივრებულნი.

კიევის „დინამოს“ იტალიურ ტურნეზე კახა ერთ-ერთი გამორჩეული იყო თანაგუნდელთა შორის და სპეციალისტთა დიდი ყურადღებაც მიიპყრო. მისით არაერთი ძლიერი კლუბი დაინტერესდა. თუმცა ყოველივეს დასაზუსტებლად თავად კალაძეს შევეხმიანეთ.



კახი კალაძე ყველაზე მაღლა

**— „მონცასთან“ შეხვედრაზე რას გვეტყვი?**

— ლობანოვსკიმ პირველ ტაიმში გადახალისებული შემადგენლობა დააყენა და თამაშიც არ წაუვიდათ ბიჭებს. 0:1-ს ვაგებდით. მეორე ნახევარში შეგვიყვანა მე, რებროვი, შევჩენკო, ბელკევიჩი, ლუჟნი. ისე როგორც „მილანთან“, აქაც რებროვი მოცელეს და კვლავ საჯარიმოთი მოვახერხე გოლის გატანა. მატჩი ფრედ 1:1 მორჩა.

**— რას მივაწეროთ შენს მიერ ასე უნაკლოდ შესრულებული სტანდარტულები?**

— კარგა ხნის ვარჯიშის შედეგია. ინდივიდუალურად ვემზადებოდი საჯარიმოების შესრულებაში და, მგონი, მივაღწიე სასურველ დონეს.

**— იტალიაში როდემდე რჩებით?**

— დღეს ისრაელში მივემგზავრებით და იქ გავაგრძელებთ მზადებას. დაგეგმილი გვაქვს რუსეთის გუნდებთან — „ალანიასთან“ და მოსკოვურ „ლოკომოტივთან“ მატჩები. ალბათ, სხვა კლუბებსაც გავეჯიბრებით.

**— მერე?**

— იქიდან პირდაპირ ესპანეთს მივემგზავრებით, 3 მარტს ხომ ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური შეხვედრა გველის მადრიდში, „რეალთან“.

**— „ბარსელონა“ — „რეალის“ მატჩი თუ ნახეთ ტელევიზიით და როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა მომავალ მეტოქეზე?**

— ყურადღებით ვუცქირეთ. მიუხედავად დიდი ანგარიშით დამარცხებისა, „რეალი“ ძალიან კარგი გუნდია და მეტად რთული ბრძოლები გველის.

**— მილანის“ წინააღმდეგ ცოტა ფიზიკურმა კონდიციებმა გიმტყუნათ...**

— ჩვეულ ფორმამდე ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია. გუნდი მზადების პროცესშია და ნელ-ნელა იკრებს ძალას.

**— როგორც ვიცით, ხობელი ლევან გვაზავა კიევის „დინამოში“ ისინჯება. მის შესახებ ხომ ვერაფერს გვეტყვი?**

— ლევანს ზამთრის დასაწყისში შევხვდი. რაღაც პატარა ტურნირში ითამაშა კიდეც. პირველ გუნდში რომ არაა, ვიცი. შეიძლება, მეორე გუნდთან ვარჯიშობს, ზუსტად ვერაფერს გეტყვი. ჩვენ სულ შეკრებებზე ვართ...

**— მიწვევები თუ გაქვს სხვა კლუბებისგან?**

— ჩემთან ამ საქმეზე პირადად არავინ მოსულა კონკრეტული წინადადებით. თვითონ კიევის „დინამოს“ პრეზიდენტმა მითხრა, შენით მადრიდის „რეალი“ დაინტერესდაო. შემეხმიანა „მილანის“ ერთ-ერთი სელექციონერი, იტალიაში მცხოვრები ჩვენებური რეზო ჭოხონელიძე, რომელმაც მამცნო, რომ „ინტერის“ მესვეურებსაც გამოუთქვამთ ჩემთან დაკავშირების სურვილი. კონტრაქტით კი კვლავ კიევის „დინამოს“ ვეკუთვნი და ჩემი მომავალიც მის ხელშია.

ᲮᲕᲘᲩᲐ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ

# გაიხსენეთ აბონემენტი!
## ოთხი სანაკრებო მატჩი ჩვეულებრივზე იაფად

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შვიდი შეხვედრა დარჩა ჩასატარებელი. აქედან მხოლოდ სამია საგარეო, ოთხი კი, სავარაუდოდ, თუ ფედერაციამ სხვა ქალაქში არ ინდომა, თბილისში, ეროვნულზე გაიმართება.

სტადიონზე შესვლის პრობლემა გულშემატკივრებს ჰქონდათ და ექნებათ კიდეც. ზოგს ბილეთი არა აქვს, ზოგს ფული ბილეთის შესაძენად, ზოგსაც შეგნებულად არ სურს ბილეთის ყიდვა და ასე შემდეგ.

ფეხბურთის ფედერაციამ ოთხი სანაკრებო მატჩისთვის აბონემენტის გამოშვება გადაწყვიტა. იგი 40-დან 50 ლარამდე ეღირება. კარგია ეს თუ ცუდი? ალბათ, კარგია, იმიტომაც, რომ როგორც ფედერაციაში თქვეს, აბონემენტის ღირებულებას არავითარ შემთხვევაში არ შეეხება ინფლაცია. დღეს ლარი ისეთ დღეშია, მის სტაბილურობას არავინ დაიჩემებს. ამიტომ თითოეული თამაშის საბილეთო ფასიც, ალბათ, 20 ლარს გადასცდება, რა თქმა უნდა, თუ ინფლაციამ კიდევ უფრო არ იმძლავრა.

ამიტომ უმჯობესია, აბონემენტი შეიძინოთ. გულშემატკივარი, რომელიც მას შეიძენს, დამშვიდებული ბრძანდებოდეს, ნაკრების ოთხივე მატჩს უპრობლემოდ დაესწრება და სტადიონზე საუკეთესო ადგილზეც მოკალათდებაო — ირწმუნება ფეხბურთის ფედერაცია.

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

# ლონდონელთა დღე

## ინგლისი

XXV ტური

### ჩარლტონი 1:0 ლივერპული

1:0 ჯონსი (70)

ჩარლტონი: როისი, მილსი, ბრაუნი, ტილერი, პაუელი, რობინსონი, ჯონსი, კინსელა, რედფირნი (ბარნსი 67), ჰანტი, პრინგლი (ბრაიტი 83)

ლივერპული: ჯეიმსი, ჰეგემი, მატეო, კარაგერი, სტონტონი, რედნაპი, ინსი, ბიორნებიუ (სონგი 74), მაკმანამანი, ფაულერი, ოუენი (რიდლე 81)

გაფრთხილება: მილსი, ბიორნებიუ, ინსი, სტონტონი

გაძევება: კარაგერი (68)

მსაჯი: რიდი

### ვესტ ჰემი 2:1 ნოტინგემი

1:0 პირსი (35), 2:0 ლამპარდი (39), 2:1 ჰილდე (84)

ვესტ ჰემი: ჰისლოპი, რადოკი, ფერდინანდი, პირსი, ლომასი, სინკლერი, ლამპარდი, ბერკოვიჩი (კოული 77), ლაზარიდისი (მინტო 89), კიტსონი, დი კანიო

ნოტინგემი: ბიზანტი, ჰარქსი (ქუეში 67), ჰილდე, როჯერსი, სტინსასი (ჩეტლი 57), პალმერი, სტოუნი, ჯონსონი, ჯემილი (პორფირიო 77), ვან ჰოიდონკი, შიპერლი

გაფრთხილება: კიტსონი, ჯონსონი, ვან ჰოიდონკი, როჯერსი

მსაჯი: ჰარისი

პრემიერლიგაში მხოლოდ ორი მატჩი გაიმართა და ორივე არცთუ საინტერესო.

უკვე გაუწყეთ, რომ გასულ ოთხშაბათს „ჩარლტონის" სტადიონ „ველი გრაუნდის" სახურავზე აზიელ მამაკაცთა ჯგუფი დააკავეს, რომელიც გასანათებელ საშუალებათა დაზიანებას ცდილობდა. გაჩნდა ვერსიები ამ პირთა ტოტალიზატორებთან სავარაუდო კავშირის თაობაზე — როცა „ჩარლტონისა" და „ლივერპულის" მატჩის მსვლელობისას შეამჩნევდნენ, რომ საქმე ცუდად არის (ალბათ, „ჩარლტონი" აგებს), შუქი უნდა გამოერთოთ.

ვერსია ვერსიად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ აწ უკვე პატიმრებს ტყუილად უწვალიათ, მასპინძლებმა სხვების ჩაურევლად და დაუხმარებლად მოიგეს.

ერთადერთი გოლი 70-ე წუთზე გავიდა. ორი წუთით ადრე მსაჯმა უხეშობისთვის ლივერპულელი ჯეიმი კარაგერი გააძევა (მეტოქეს წიხლი ჩაარტყა) და ლონდონელებმაც უმალ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა —სტუმართა კართან არეულობით მშვენივრად ისარგებლა კეით ჯონსმა და ძალიან ახლო მანძილიდან ფაქტობრივად ცარიელ კარში გაგზავნა ბურთი.

ეს „ჩარლტონის" ზედიზედ მეორე გამარჯვება გახლდათ, გუნდისა, რომელსაც მანამდე 15 ტურის განმავლობაში ვერ მოეგო.

ლონდონშივე, ოღონდ „ეპტონ პარკზე", მეორე დედაქალაქურმა კლუბმა „ვესტ ჰემმაც" იმარჯვა. „ჩაქუჩებმა" წინა ტურში „მანჩესტერთან" სამარცხვინოდ დამარცხებული (1:8) აუტსაიდერი „ნოტინგემ ფორესტი" იმსხვერპლეს (2:1) და ჯერჯერობით მე-8 ადგილზე აინაცვლეს. რაც შეეხება „ნოტინგემს", რონ ატკინსონი ალბათ ყველაზე მძიმე სამუშაოს ასრულებს თავის სამწვრთნელო კარიერაში, რადგან ერთ დროს დიდი გუნდი სავარაუდოდ პრემიერლიგას დატოვებს და მომავალში კვლავ მოუწევს უძლიერესთა შორის მოსახვედრად ბრძოლა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 25 | 14 | 8 | 3 | 59:27 | 50 |
| ჩელსი | 24 | 12 | 10 | 2 | 35:19 | 46 |
| არსენალი | 24 | 12 | 9 | 3 | 28:11 | 45 |
| ასტონ ვილა | 24 | 12 | 7 | 5 | 36:25 | 43 |
| ლივერპული | 25 | 11 | 5 | 9 | 47:30 | 38 |
| დერბი | 25 | 9 | 10 | 6 | 25:22 | 37 |
| ლიდსი | 24 | 9 | 9 | 6 | 36:24 | 36 |
| ვესტ ჰემი | 25 | 10 | 6 | 9 | 27:36 | 36 |
| უიმბლდონი | 24 | 9 | 8 | 7 | 29:35 | 35 |
| მიდლსბრო | 24 | 7 | 11 | 6 | 33:31 | 32 |
| ტოტენჰემი | 24 | 7 | 10 | 7 | 29:31 | 31 |
| ნიუკასლი | 24 | 8 | 7 | 9 | 29:32 | 31 |
| ლესტერი | 24 | 7 | 9 | 8 | 25:29 | 30 |
| შეფილდი | 24 | 8 | 5 | 11 | 27:23 | 29 |
| ბლექბერნი | 24 | 6 | 7 | 11 | 25:31 | 25 |
| ქოვენთრი | 24 | 6 | 6 | 12 | 23:32 | 24 |
| ევერტონი | 24 | 5 | 9 | 10 | 14:27 | 24 |
| ჩარლტონი | 25 | 5 | 8 | 12 | 29:37 | 23 |
| საუთჰემპტონი | 24 | 5 | 5 | 14 | 23:47 | 20 |
| ნოტინგემი | 25 | 3 | 7 | 15 | 21:51 | 16 |

## პირველი დივიზიონი

XXXII ტური

### ბოლტონი 2:1 ვესტ ბრომვიჩი

0:1 დე ფრეიტასი (27), 1:1 ტეილორი (43), 2:1 კოქსი (51)

### ბრედფორდი 0:0 იფსვიჩი

### ბრისტოლი 0:1 სანდერლენდი

0:1 ფილიპსი (89პ)

### კრისტალ პალასი 1:1 ქრიუ

1:0 მორისონი (6), 1:1 უოლტონი (63)

### ოქსფორდი 2:0 სვინდონი

1:0, 2:0 უინდასი (17პ, 81)

### პორტსმუთი 2:1 ბერი

1:0 რობინსონი (37), 2:0 უაიტინგემი (64), 2:1 ავდივი (89)

### სტოკპორტი 1:0 ბირმინგემი

1:0 ეინჯელი (10)

### ტრანმერი 3:2 ქუინზ პარკი

0:1 მედიქსი (18), 1:1 ჩელინორი (28), 1:2 როულენდი (47), 2:2 ლ.ჯონსი (67), 3:2 ალენი (70)

### ვულვზი 3:1 პორტ ვეილი

1:0 სიმპსონი (2), 1:1 ბოგი (4), 2:1 კინი (32), 3:1 კერლი (89პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 31 | 19 | 9 | 3 | 63:21 | 66 |
| ბოლტონი | 30 | 16 | 10 | 4 | 56:34 | 58 |
| ბრედფორდი | 31 | 17 | 6 | 8 | 55:32 | 57 |
| იფსვიჩი | 31 | 16 | 7 | 8 | 41:19 | 55 |
| ბირმინგემი | 31 | 15 | 8 | 8 | 46:29 | 53 |
| უოტფორდი | 31 | 13 | 10 | 8 | 46:41 | 49 |
| ვულვზი | 31 | 13 | 9 | 9 | 43:31 | 48 |
| გრიმსბი | 30 | 14 | 6 | 10 | 34:31 | 48 |
| ვესტ ბრომვიჩი | 32 | 13 | 7 | 12 | 54:50 | 46 |
| შეფილდ იუნ. | 30 | 12 | 8 | 10 | 47:47 | 44 |
| ჰადერსფილდი | 30 | 12 | 7 | 11 | 42:49 | 43 |
| ნორვიჩი | 29 | 11 | 9 | 9 | 43:41 | 42 |
| ტრანმერი | 31 | 8 | 14 | 9 | 41:44 | 38 |
| ბარნსლი | 30 | 9 | 11 | 10 | 39:38 | 38 |
| კრ. პალასი | 31 | 9 | 10 | 12 | 43:53 | 37 |
| სტოკპორტი | 31 | 8 | 12 | 11 | 37:39 | 36 |
| სვინდონი | 31 | 9 | 8 | 14 | 40:50 | 35 |
| პორტსმუთი | 31 | 8 | 10 | 13 | 39:47 | 34 |
| ქუინზ პარკი | 31 | 8 | 9 | 14 | 34:42 | 33 |
| ოქსფორდი | 31 | 8 | 8 | 15 | 33:52 | 32 |
| ბერი | 31 | 7 | 10 | 14 | 28:44 | 31 |
| პორტ ვეილი | 31 | 8 | 4 | 19 | 32:56 | 28 |
| ბრისტოლი | 31 | 5 | 12 | 14 | 40:58 | 27 |
| ქრიუ | 31 | 5 | 8 | 18 | 35:63 | 23 |



REUTERS ლონდონიდან

ჩარლტონი — ლივერპული 1:0. სტუმრებს ვერც მომავალი სეზონიდან მადრიდის „რეალის" წევრმა სტივ მაკმანამანმა უშველა



REUTERS ლონდონიდან

არსენალი — შეფილდ იუნაიტედი. ვნებათაღელვა „ჰაიბერიზე" — სტუმრები უსინდისოდ გატანილ გოლს მსაჯთან აპროტესტებენ

# ტრადიციათა რღვევა და დაბადება

## თასის მეხუთე წრე

### მანჩესტერი 1:0 ფულემი

1:0 კოული (26)

### ნიუკასლი 0:0 ბლექბერნი

### არსენალი 2:1 შეფილდ იუნ.

1:0 ვიეირა (28), 1:1 მარსელო (48), 2:1 ოვერმარსი (76)

### ბარნსლი 4:1 ბრისტოლი

1:0, 2:0 ჰინეტი (38,44), 3:0 დაიერი (63), 4:0 ჰინეტი (71), 4:1 რობერტსი (83)

### ევერტონი 2:1 ქოვენთრი

1:0 ჯეფერსი (20), 2:0 ოსტერი (77), 2:1 მაკალისტერი (84)

### ჰადერსფილდი 2:2 დერბი

1:0 ბიჩი (42), 1:1 ბარტონი (55), 1:2 დორიგო (59პ), 2:2 სტიუარტი (71)

### ლიდსი 1:1 ტოტენჰემი

0:1 შერვუდი (53), 1:1 ჰარტი (73)

### შეფილდ უენსდეი 0:1 ჩელსი

0:1 დი მატეო (85)

1960 წლის 27 მარტს ფეხბურთი გაკეთილშობილდა. იმ დღეს ბრაზილიელმა ლეგენდამ მანოელ ფრანსისკო დუშ სანტუშმა, იმავე გარინჩამ 200-ათასიან „მარაკანაზე", „ბოტაფოგოსა" და „ფლუმინენსეს" მატჩში მოწინააღმდეგე ალტაირთან ერთად ძალიან ლამაზ, კაცურ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი — „ფლუმინენსეს" მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მანემ დაინახა, რომ მეტოქის ერთ-ერთი მცველი დაშავდა და ბურთი აუტში გადააგდო. გარინჩას ჯენტლმენურ საქციელს ალტაირმა იგივეთი უპასუხა და აუტიდან ბურთი „ბოტაფოგოს" ფეხბურთელებს დაუბრუნა. მას შემდეგ ანალოგიურ შემთხვევებში ყველა გარინჩას და ალტაირის მსგავსად იქცევა...

...ეს ტრადიცია 1999 წლის 13 თებერვალს, ალბათ, პირველად დაირღვა, თანაც ძალიან უხეშად. ინგლისის ასოციაციის თასის მეხუთე ეტაპის შეხვედრაში, სადაც ლონდონის „არსენალი" პირველი დივიზიონის „შეფილდ იუნაიტედს" მასპინძლობდა, 75-ე წუთზე სტუმარი ლი მორისი დაშავდა, მისმა თანაგუნდელებმა ბურთი აუტში მოიგერიეს. რამდენიმე წამში თამაში განახლდა, რეი პარლოუმ აუტი მოაწოდა — ბურთი შეფილდელებს დაუბრუნა, მაგრამ ცოტა ხნის წინ მილანის „ინტერიდან" 7 მილიონ დოლარად „არსენალში" გადაბარგებული 22 წლის ნიგერიელი ნვანკვო კანუ სიტუაციაში ვერ გაერკვა, პარლოუს მოწოდებულ ბურთს დაეუფლა, მშვენიერი პასი მისცა მარკ ოვერმარსს და გამარჯვების გოლი გაატანინა — 2:1, მოიგეს ლონდონელებმა...

...ეს ტრადიცია კი დაირღვა, მაგრამ, ფეხბურთისდა საბედნიეროდ, ახალ წესს ჩაეყარა საფუძველი. მოხდა უპრეცენდენტო რამ — „არსენელის" ფრანგმა თავკაცმა არსენ ვენგერმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის უფროსობას ამ მატჩის შედეგის გაუქმება და გადათამაშება სთხოვა. ჩინოვნიკებმაც დააკმაყოფილეს მისი მოთხოვნა — გადათამაშება 23 თებერვალს ლონდონურ „ჰაიბერიზე" გაიმართება.

— მერწმუნეთ, გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. ასეთი გოლი და მით უმეტეს, მისი დახმარებით გამარჯვება ნაღდად არ გვსურდა, ეს პირველ რიგში ჩვენი სირცხვილი იქნებოდა. კანუ ახლახან ჩამოვიდა ინგლისში, „არსენალში" სადებიუტო მატჩს ატარებდა და ცოტა დაბნეული იყო. ჩვენ მეკარისთვის გვინდოდა ბურთის დაბრუნება და სწორედ მაშინ მოხდა გაუგებრობა — თქვა ვენგერმა მატჩის შემდეგ და ასოციაციის ოფისისკენ გაეშურა, სადაც გადაწყდა კიდეც, შეხვედრა გადათამაშებულიყო. სხვათა შორის, ფრანგის კაცური საქციელი ბრიტანულ პრესას არ გამორჩენია და ლონდონელთა თავკაცს „სუფთა წყლის ინგლისელი ჯენტლმენი" უწოდა.

— დიდი შეცდომა დავუშვი. ბურთი ჩემკენ წამოვიდა და ინსტიქტურად შევუტიე. მხოლოდ მას შემდეგ მივხვდი რაღაცას, როცა „შეფილდის" ფეხბურთელები მსაჯს მიცვივდნენ. იმ მომენტში უბედური ხალხის გამომეტყველება ჰქონდათ და მეც თავი ძალიან ცუდად ვიგრძენი — ეს სიტყვები „მთავარ დამნაშავე" ნვანკვო კანუს ეკუთვნის.

სტივ დაბლი, ასოციაციის პრესმდივანი: „მატჩის დასრულებიდან რამდენიმე წუთში ვენგერმა გადათამაშების წინადადებით მოგვმართა. დევიდ დეივისმა (ამ ორგანიზაციის შეფი) და ტერი ენეიბლმა (სათასო კომიტეტის თავმჯდომარე) ეს მოთხოვნა დააკმაყოფილეს. ვენგერის საქციელი მისაბაძი, ყველასთვის სამაგალითოა".

სტივ ბრიუსი, „შეფილდ იუნაიტედის" მენეჯერი, წარსულში „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი:

— ვენგერის ადგილას ზუსტად ასე მოვიქცეოდი. ასეთი გამარჯვება ვისაც აწყობს, ის საფეხბურთო მოედანს არცკი უნდა გააკაროს. გასაგებია, რომ გაუგებრობა მოხდა და არავის ვადანაშაულებ, ვენგერმა სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო და ეს ძალიან სასიამოვნოა.

ასეთი გახლავთ „არსენალ" — „შეფილდის" მატჩისშემდგომი რეზონანსი. თავად შეხვედრაზე ყურადღებას აღარ ვამახვილებთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი შედეგი ანულირებულია.

„სენტ ჯეიმსიზ პარკზე" „ნიუკასლმა" „ბლექბერნს" უმასპინძლა, ვერც გაიტანა, არც გაუშვა და შემდეგ წრეში გამსვლელის ვინაობის გარკვევაც ცოტა ხნით გადაიდო. კვლავ ძირითადში იყო და მთელი 90 წუთი ითამაშა თემურ ქეცბაიამ. ერთ-ერთ ეპიზოდში შირერის არყოფნაში თავდასხმაში გამწესებულ ქართველს მეტად ხელსაყრელი მომენტი შეექმნა გოლის გასატანად, მაგრამ ვერ ივარგა.

— ჩემი ფეხბურთელები უკმაყოფილონი არიან მატჩის შედეგით და თამაშით, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ დღეს ურიგოდ არ გვითამაშია. ყოველ მატჩში მაყურებელს სიახლეს ვთავაზობთ, გუნდი აშკარად უკეთ გამოიყურება და მისი პროგრესი აშკარაა — თქვა ფრედ 0:0 დასრულებული შეხვედრის შემდეგ „ნიუკასლის" ჰოლანდიელმა დამრიგებელმა რუუდ გულიტმა.

საინტერესო გამოდგა ახლო მეგობრების, ალექს ფერგიუსონის და კევინ კიგანის გუნდების — სახელოვანი „მანჩესტერ იუნაიტედის" და მეორედივიზიონული „ფულემის" ორთაბრძოლა. მატჩი წმინდა ვალენტინის სახელობის დღესასწაულზე გაიმართა, კიგანის დაბადების დღეზე (48 წლის გახდა), მაგრამ ფერგიუსონმა სიყვარული და ძმაკაცის პატივისცემა დაივიწყა და „ფულემი" თასისთვის ბრძოლას გამოთიშა. ერთადერთი გოლი პირველი ტაიმის შუაგულში ენდი კოულმა გაიტანა.

„მანჩესტერი" მეოთხედფინალში კი გავიდა, მაგრამ დამშვიდების დრო და უფლება ნაღდად არ აქვს. უახლოეს მომავალში მისი მეტოქეები იქნებიან — „არსენალი", „ინტერი", „ჩელსი", „ლივერპული", „ნიუკასლი" და ისევ „ინტერი".

მართლაც უმძიმესი განრიგია.

**დავით კოპზირიძე**

ასოციაციის თასის მეოთხედფინალის კენჭისყრა

ნიუკასლი ან ბლექბერნი — ევერტონი; ბარნსლი — ლიდსი ან ტოტენჰემი; არსენალი ან შეფილდ იუნაიტედი — ჰადერსფილდი ან დერბი; მანჩესტერი — ჩელსი

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

# სანამ რიოში კარნავალია...

## იტალია

XX ტური

### ბარი 0:0 ვიჩენცა

ბარი: მანჩინი, დე როზა, გარსია, ნექროიზი, დე აშენტისი (ოლივარესი 46), კნუდსენი, ბრესანი, მარკოლინი, მადსენი (გუერერო 70), ძამბროტა, სპინეზი (ოსმანოვსკი 60)
ვიჩენცა: ბრივიო, სტოვინი, დიჩარა, კარდონე, მარკო აურელიო, დი კარლო (ვივიანი 77), სკენარდი, მენდესი, ძაული, ნეგრი (კონტე 53), ოტერო (სკარლატო 90)
გაფრთხილება: სკენარდი, ნექროიზი
გაძევება: მარკო აურელიო (39)
მსაჯი: როდომონტი

### ემპოლი 2:3 სალერნიტანა

1:0 ჩერბონე (31), 1:1, 1:2, 1:3 დი ვაიო (33, 68, 82), 2:3 ბონომი (92პ)
ემპოლი: სერენი, ფუსკო, ბიზოლი, ბიანკონი, ტონეტო, კიაპარა, პანე, მორონე (ლუჩენტი 73), მარტუშელო (ბონომი 54), დი ნაპოლი (კარპარელი 57), ჩერბონე
სალერნიტანა: ბალი, ბოლიჩი, ფუსკო, ფრეზი (მონაკო 46), დელ გროსო, როსი, ბერნარდინი, ბრედა, ტოსტო, დი ვაიო (დი მიკელე 94), ვანუჩი (კოლოუსეკი 75)
გაფრთხილება: მარტუშელო, ტოსტო, კარპარელი, ფრეზი, დი ვაიო
მსაჯი: როსი

### უდინეზე 1:0 ფიორენტინა

1:0 სოსა (80)
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ჟენო, ჯანიკედა, ვალემი (აპია 66), ბაკინი, ლოკატელი, სოსა, მ. ამოროზო
ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, ფალკონე, რეპკა, ჰაინრიხი, ტორიჩელი, კოისი, რუი კოშტა, კ. ამოროზო (ფიჩინი 79), ოლივეირა (რობიატი 65), ესპოზიტო
გაფრთხილება: ლოკატელი, ტორიჩელი, კოისი
გაძევება: კოისი (88)
მსაჯი: ჩეკარინი

### მილანი 2:1 ვენეცია

1:0 გულიელმინპიეტრო (39), 2:0 განცი (53), 2:1 ტუტა (70)
მილანი: აბიატი, სალა, კოსტაკურტა, მალდინი, გულიელმინპიეტრო, ალბერტინი, ბობანი, ციგე (ბა 24), ლეონარდო (მორფეო 68), ბირჰოფი, განცი (ნგოტი 91)
ვენეცია: ტაიბი, ბრიოსკი (პავანი 68), და სილვა, ლუპი, დალ კანტო, პედონე, მიკელი, ვოლპი, კარნაშალი (ვალტოლინა 58), რეკობა (ტუტა 63), მანიერო
გაფრთხილება: განცი
გაძევება: და სილვა (80)
მსაჯი: როზეტი

### პერუჯა 2:1 ინტერი

1:0 კავიედესი (16), 2:0 რაპაიჩი (78), 2:1 ჯორკაეფი (90პ)
პერუჯა: მაცანტინი, ილარიო (პელეგრინი 63), მატრეკანო, რივასი, კოლონელო, პეტრაკი (ლეჰკოსუო 57), ტედესკო, ოლივე, რაპაიჩი, ნაკატა, კავიედესი (რიპა 75)
ინტერი: პალიუკა, კოლონეზე, ბერგომი, ვესტი, მილანეზე (ზე ელიასი 57), ძანეტი, ვინტერი (პირლო 52), კოე, სიმეონე, ჯორკაეფი, ვენტოლა
გაფრთხილება: მილანეზე, ტედესკო, კოე, პირლო
გაძევება: ოლივე
მსაჯი: რაკალბუტო

### კალიარი 0:0 ლაციო

კალიარი: სკარპი, გრასადონია (კენტურიონი 75), ძანონჩელი, ძებინა, ვაზარი, კავეცი, ძანეტი, ბერეტა, მაკელარი, ონილი, მუცი
ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნესტა, მიხაილოვიჩი, ფავალი, სტანკოვიჩი (ნედვედი 65), მანჩინი, ალმეიდა, კონსეისაო (ლომბარდო 80), ვიერი, სალასი
გაფრთხილება: მიხაილოვიჩი, ძებინა, მანჩინი
მსაჯი: ტრენტალანგი

### რომა 3:1 სამპდორია

1:0 ფაბიო ჟუნიორი (10), 1:1 ლასისი (15), 2:1, 3:1 პაულუ სერჟიო (84, 88)
რომა: კიმენტი, კაფუ, ძაგო, ალდაირი, კანდელა, ალეინიჩევი, ტომაზი, დი ფრანჩესკო, დელვეკიო (პაულუ სერჟიო 74), ფაბიო ჟუნიორი (დე ვეცი 93), ტოტი
სამპდორია: ფერონი (ამბროზიო 28), ბალერი (ჟივკოვიჩი 37), საკიჩი, გრანდონი, ლასისი, კასტელინი, პეკია, დორივა, ლაილი, მონტელა (ჯაკომინო 80), პალმიერი
გაფრთხილება: კასტელინი, კანდელა, მონტელა
მსაჯი: ფარინა

### პიაჩენცა 0:2 იუვენტუსი

0:1 მანიგეტი (45ს.კ.), 0:2 ბირინდელი (96)
პიაჩენცა: ფიორი, ლამაჩი, საკეტი, ვერხოვოდი, მანიგეტი (რიციტელი 82), ბუზო, სტატუტო (ლუკარელი 57), მაცოლა, სტროპა, დიონიჯი (რასტელი 55), ს. ინძაგი
იუვენტუსი: პერუცი, მირკოვიჩი, იულიანო, მონტერო, დი ლივიო, კონტე (ბირინდელი 87), დეშამი, დავიდსი, ზიდანი, ესნაიდერი (ფონსეკა 90), ანრი (ბლანშარი 93)
გაფრთხილება: ბუზო, მონტერო, იულიანო, ლუკარელი, ს. ინძაგი, დეშამი
მსაჯი: მესინა

### პარმა 1:1 ბოლონია

0:1 კოლივანოვი (23), 1:1 სტანიჩი (91)
პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი, კანავარო, ფუზერი (ბალბო 82), დ. ბაჯო (სტანიჩი 64), ფიორე, ბენარივო (ვანოლი 50), ვერონი, კრესპო, კიეზა
ბოლონია: ანტონიოლი, რინალდი, ბია (ბოზელი 77), მანგონე, ბეტარინი, ბინოტო, ერიბერტო, ინგესონი, მაროკი, ფონტოლანი, კოლივანოვი
გაფრთხილება: ბენარივო
გაძევება: ვერონი (92)
მსაჯი: ბოლონინო


REUTERS რიო დე ჟანეირიდან

ვითომ ფხიზელია? ედმუნდო რიოში დროს ატარებს

„მოთმინების ფიალა ამევსო. კლუბი სინამდვილის დამალვას ცდილობდა, მაგრამ თავი ისეთ დღეში ჩაიგდო, რომ დღეს ყველა დასცინის. გადამწყვეტ მომენტებში მეტი პასუხისმგებლობის გამოჩენაა საჭირო. ხომ ხედავთ, ედმუნდო ბრაზილიაში კარნავალზე დროის სატარებლად წავიდა. პირადი პრობლემები აქ არაფერ შუაშია. მას ჰგონია, რომ გუნდისთვის გადამწყვეტი ფიგურაა, არადა გასულ 20 ტურში ბევრი ვერაფერი გვაჩვენა".

როგორ გგონიათ, ვის ამოხდა ეს სიტყვები? ეს სიტყვები არც მეტი, არც ნაკლები, გაბრიელ ბატისტუტას ეკუთვნის — „ფიორენტინას" დიდ ფორვარდს, რომელიც წინა ტურში დაშავდა და, როგორც იცით, კარგა ხანი მკურნალობას უნდა დაუთმოს. ბუნებრივია, იგი „უდინეზესთან" არ თამაშობდა.

„უდინეზესთან" არ თამაშობდა ედმუნდოც. მან ფლორენციული კლუბის ხელმძღვანელებს ტყუილი უთხრა, ბრაზილიაში ავარიასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი მელის და რომ არ ჩავიდე, არ იქნებაო. კლუბის ხელმძღვანელები მოტყუვდნენ — ან იქნებ, გაუგებარი მიზეზით, თავიც მოიტყუეს — მათ ფეხბურთელს სამშობლოში გამგზავრების ნება დართეს. ჰოდა, ახლა იმკიან: ყოველდღე ათვალიერებენ რიოში მოლაღობე ედმუნდოს ახალ-ახალ ფოტოებს.

ამბობდნენ, ფლორენციელებს ლუის ოლივეირაც არ ეყოლებათო. ბატისტუტასა და ედმუნდოს გარეშე დარჩენილმა მწვრთნელმა, ჯოვანი ტრაპატონიმ, ეტყობა მაინც სთხოვა გაბელგიელებულ ბრაზილიელს, იქნებ შესძლო და ითამაშოო. პასუხად დასტური მიიღო, მაგრამ საქმისა და გუნდის ერთგულ ფეხბურთელს, რომელსაც ტრავმის გამო წინა სამი შეხვედრა ჰქონდა გამოტოვებული, ჯანმრთელობამ და გამძლეობამ ჩვეულად მოქმედების საშუალება არ მისცა. იგი თამაშის დამთავრებამდე 25 წუთით ადრე შეცვალეს.

თამაშის წინ, ედმუნდოსთან დაკავშირებით, ტრაპატონი უფრო თავშეკავებული გახლდათ. იგი ამბობდა:

„კომენტარს არ გავაკეთებ. ედმუნდოს გამგზავრების მიზეზის ჩხრეკა არ მაინტერესებს. არც ვაპირებ ამ ფეხბურთელთან საუბარს. „ფიორენტინა" მის გარეშეც გუნდია".

დაგვეთანხმებით, ყველაფერი რაც ახლა ხდება და რაზეც ამხელა ამბავია ატეხილი, სეზონის დასაწყისში რომ მომხდარიყო ნაკლებ მტკივნეული იქნებოდა. ისე არ გაგვიგოთ, თითქოს იმას ვამტკიცებდეთ, რომ ქულების სეზონის დასაწყისში დაკარგვა უმნიშვნელო ამბავი იყოს, მაგრამ ფსიქოლოგიური ფონი დღეს მაინც სხვაა. გაიხსენეთ, რა თქვა წინა კვირაში „ფიორენტინას" კონკურენტის, რომის „ლაციოს" თავდამსხმელმა რობერტო მანჩინიმ, ნეტავ ფლორენციელებისთვის გადაგვასწრებინა და მერე უპირატესობის ხელიდან გამშვები აღარ ვართო.

მოკლედ, როცა ჩემპიონობა გინდა, ჯერ ერთი, იღბალმა ტრავმებისგან უნდა დაგიფაროს, მეორეც, ფეხბურთელები კარნავალზე არ უნდა გაგირბოდნენ.

თუმცა, კაცმა არ იცის, ვინ გახდება იტალიის ჩემპიონი, „ფიორენტინა", რომელმაც უდინეში წააგო, „ლაციო ქულებით გაიტოლა და მეორე ადგილზე ჩავიდა (მანჩინის ოცნება აუხდა), თუ „ლაციო, რომელსაც უდიდესი შანსი ჰქონდა არათუ გათანაბრებოდა, არამედ ქულებით გაესწრო მოდავესთვის. საამისოდ რომაელებს სარდინიაზე „კალიარი" უნდა დაემარცხებინათ, მაგრამ 0:0-ის მეტი ვერ შეძლეს.

რომაელთა სარდინიული ფრე ეჭვებს თუ არა ფიქრებს ნამდვილად აღძრავს. აქამდე მათ ზედიზედ 9 შეხვედრა ჰქონდათ მოგებული. მეათეც რომ მოეგოთ, გახდებოდნენ იტალიური ფეხბურთის ისტორიაში მეოთხენი, ვინც ასეთი წარმატებული სვლა შეძლო, მაგრამ...

მეათეც რომ მოეგოთ, მიაღწევდნენ შედეგს, რომელიც იტალიაში კარგადაა დაცდილი: წინა სამმა გუნდმა ზედიზედ ათი მოგების შემდეგ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, მაგრამ...

მაგრამ მათ სწორედ გადამწყვეტ მომენტში ვერ მოიგეს.

და მაინც, ისინი ლიდერები გახდნენ.

კი მაგრამ „მილანი"? ნუ დავივიწყებთ გუნდს, რომელიც ნელ-ნელა, თითქოს შეუმჩნევლად და მძიმედ, მაგრამ დაჟინებით ამატებს ქულას ქულაზე. იმ დღეს როდესაც „ფიორენტინა" აგებდა, „ლაციო" კი ვერ იგებდა, „მილანი" „ვენეციას" ამარცხებდა. ალბერტო ძაკერონის გუნდი წამოეწია კიდეც ლიდერებს.

ხოლო იმ მილანელებმა, რომლებიც ქალაქის მეორე გუნდში, „ინტერში" თამაშობენ, პერუჯაში იწვნიეს მარცხი. მათგან ფრანგი იური ჯორკაეფი გამოირჩეოდა, თუმცა დაცვა ჰ ყავდათ საშინელი. სწორედ დაცვის შეცდომებს ემსხვერპლა სამი ქულა, თან „პერუჯასთან".

თან „პერუჯასთანო", იმიტომ ვამბობთ, რომ წინა ტურში, როდესაც პერუჯელები „ლაციოს" ხვდებოდნენ, შესვენებისას, გუნდის გასახდელში მეხივით შეიჭრა მისი პრეზიდენტი, ლუჩანო გაუჩი და მწვრთნელს, ილარიო კასტანიერს მილან რაპაიჩისა და ჯანლუკა პეტრაკის შეცვლა აიძულა. მეორე დღეს კასტანიერმა განცხადება დაწერა...

რა შედეგი მოიტანა პრეზიდენტის ჩარევამ? სასიკეთო არაფერი. პირველი ტაიმის მერე პერუჯა 0:1-ს აგებდა, მეორეში კი კიდევ ორი გოლი გაუშვა და საბოლოოდ 0:3 დამარცხდა. მოკლედ, გაუჩის ღრიალი უფრო ძველი ბოღმის ამონთხევა იყო, ვიდრე საქმიანი აქცია. საქმე კი ის გახლავთ, რომ კასტანიერომ, რომელმაც „პერუჯა" სერია B-დან სერია A-ში დააბრუნა, პრეზიდენტს ზემოხსენებული რაპაიჩი „იუვენტუსისთვის" ცოცხალი თავით არ მიაყიდინა.

გასახდელის ინციდენტის მერე, გაუჩის ვაჟისა და გულშემატკივრების ჩარევამ ვითარება თითქოს განმუხტა. მწვრთნელმა კლუბის ოფისში დარეკა, ბიჭებს გადაეცით, ვბრუნდებიო, დაიბარა. ქომაგებმა ზეიმი მოაწყეს და უცებ: გაუჩიმ „პერუჯას" დირექტორატის წევრებს სულ თავ-ბედი აწყევლინა, გაიძახოდა, რომ კასტანიერიმ მას და კლუბს მიუტევებელი შეურაცხყოფა მიაყენა და... იმავე საღამოს „პერუჯას" ახალ მწვრთნელად ცნობილი იუგოსლაველი სპეციალისტი, ვუიადინ ბოშკოვი დანიშნეს.

აი, ასეთი რთული კვირის შემდეგ ეწვია „ინტერი" პერუჯას და წააგო.

„იუვენტუსმა" კი მოიგო. ბოშკოვის მსგავსად, კარლო ანჩელოტიმაც გამარჯვებით დაიწყო ახალ გუნდში მოღვაწეობა და თუ ასე გაგრძელდა, იქნებ ტურინელთა ქომაგებმა დახარონ კიდეც პლაკატები, რომლებიც პიაჩენცას სტადიონზე ჰქონდათ აღმართული: „ლიპი, ლიპი ურა!"

ანჩელოტის წინამორბედის აჩრდილი, ალბათ, კიდევ დიდხანს ივლის „იუვენტუსის" საშინაო თუ სტუმრად გასამართ შეხვედრებზე.

**პაპუნა ძედია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლაციო | 21 | 12 | 6 | 3 | 43:21 | +22 | 42 | 10 | 7 | 3 | 0 | 27:9 | +18 | 24 | 11 | 5 | 3 | 3 | 16:12 | +4 | 18 |
| 2 | ფიორენტინა | 21 | 13 | 3 | 5 | 37:19 | +19 | 42 | 11 | 10 | 1 | 0 | 24:4 | +20 | 31 | 10 | 3 | 2 | 5 | 13:15 | -1 | 11 |
| 3 | მილანი | 21 | 11 | 7 | 3 | 33:24 | +9 | 40 | 11 | 8 | 2 | 1 | 22:12 | +10 | 26 | 10 | 3 | 5 | 2 | 11:12 | -1 | 14 |
| 4 | პარმა | 21 | 10 | 8 | 3 | 38:20 | +18 | 38 | 11 | 6 | 4 | 1 | 19:8 | +11 | 22 | 10 | 4 | 4 | 2 | 19:12 | +7 | 16 |
| 5 | ინტერი | 21 | 10 | 4 | 7 | 43:29 | +14 | 34 | 10 | 8 | 0 | 2 | 33:14 | +19 | 24 | 11 | 2 | 4 | 5 | 10:15 | -5 | 10 |
| 6 | უდინეზე | 21 | 9 | 6 | 6 | 27:28 | -1 | 33 | 11 | 6 | 4 | 1 | 15:8 | +7 | 22 | 10 | 3 | 2 | 5 | 12:20 | -8 | 11 |
| 7 | რომა | 21 | 8 | 7 | 6 | 42:31 | +11 | 31 | 11 | 8 | 3 | 0 | 28:8 | +20 | 27 | 10 | 0 | 4 | 6 | 14:23 | -9 | 4 |
| 8 | იუვენტუსი | 21 | 8 | 6 | 7 | 24:23 | +1 | 30 | 10 | 6 | 2 | 2 | 13:7 | +6 | 20 | 11 | 2 | 4 | 5 | 11:16 | -5 | 10 |
| 9 | ბოლონია | 21 | 7 | 8 | 6 | 26:20 | +6 | 29 | 11 | 4 | 4 | 3 | 17:12 | +5 | 16 | 10 | 3 | 4 | 3 | 9:8 | +1 | 13 |
| 10 | ბარი | 21 | 5 | 11 | 5 | 25:26 | -1 | 26 | 11 | 4 | 6 | 1 | 11:8 | +3 | 18 | 10 | 1 | 5 | 4 | 14:18 | -4 | 8 |
| 11 | კალიარი | 21 | 7 | 4 | 10 | 30:33 | -3 | 25 | 11 | 6 | 3 | 2 | 20:12 | +8 | 21 | 10 | 1 | 1 | 8 | 10:21 | -11 | 4 |
| 12 | პერუჯა | 21 | 7 | 4 | 10 | 28:37 | -9 | 25 | 11 | 7 | 2 | 2 | 22:15 | +7 | 23 | 10 | 0 | 2 | 8 | 6:22 | -16 | 2 |
| 13 | ვენეცია | 21 | 5 | 7 | 9 | 19:29 | -10 | 22 | 10 | 4 | 4 | 2 | 11:9 | +2 | 16 | 11 | 1 | 3 | 7 | 8:20 | -12 | 6 |
| 14 | ვიჩენცა | 21 | 4 | 8 | 9 | 11:25 | -14 | 20 | 10 | 4 | 4 | 2 | 8:9 | -1 | 16 | 11 | 0 | 4 | 7 | 3:16 | -13 | 4 |
| 15 | პიაჩენცა | 21 | 4 | 7 | 10 | 25:35 | -10 | 19 | 10 | 4 | 4 | 2 | 18:15 | +3 | 16 | 11 | 0 | 3 | 8 | 7:20 | -13 | 3 |
| 16 | სალერნიტანა | 21 | 5 | 4 | 12 | 21:36 | -15 | 19 | 10 | 4 | 3 | 3 | 13:12 | +1 | 15 | 11 | 1 | 1 | 9 | 8:24 | -16 | 4 |
| 17 | სამპდორია | 21 | 3 | 8 | 10 | 18:38 | -20 | 17 | 10 | 3 | 6 | 1 | 11:8 | +3 | 15 | 11 | 0 | 2 | 9 | 7:30 | -23 | 2 |
| 18 | ემპოლი* | 21 | 3 | 8 | 10 | 19:36 | -17 | 15 | 10 | 3 | 3 | 4 | 12:15 | -3 | 12 | 11 | 0 | 5 | 6 | 7:21 | -14 | 5 |

*„ემპოლის" დაკლებული აქვს ორი ქულა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 18 |
| კრესპო (პარმა) | 14 |
| მუცი (კალიარი) | 12 |
| სინიორი (ბოლონია) | 12 |

### XXII ტური

21 თებერვალი

უდინეზე - ბარი (1:1)
მილანი - კალიარი (0:1)
ბოლონია - ემპოლი (0:0)
ლაციო - ინტერი (5:3)
სალერნიტანა - პარმა (2:0)
ვენეცია - პერუჯა (0:1)
სამპდორია - პიაჩენცა (1:4)
ფიორენტინა - რომა (2:1)
იუვენტუსი - ვიჩენცა (1:1)

* ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

## სერია B

XXII ტური

### რეჯანა 1:1 ვერონა

0:1 ალიეტი (13), 1:1 პროტი (56)
რეჯანა: აბატე, ორფეი, ძინი, კევოლი, პარიზი (სკარპონი 61), ბრეშიანი (ალეგრეტი 57), ნემსაძე, კარბონე (კერუბინი 69), მასპერო, მარჯოტა, პროტი

### ტორინო 0:0 ტერნანა

### ტრევიზო 1:0 ლეჩე

1:0 ბეგეტო (76)

### რეჯინა 2:1 ნაპოლი

1:0 არტიკო (31), 2:0 მარტინო (34), 2:1 ტურინი (85)

### ჯენოა 2:1 მონცა

1:0 რუოტოლო (38პ), 1:1 მაზოლინი (41პ), 2:1 ნაპი (54)

### ფ. ანდრია 1:0 კრემონეზე

1:0 ტუდისკო (69)

### კიევო 0:3 კოზენცა

0:1 აპა (5), 0:2 ტატი (14), 0:3 დანა (69)

### ჩეზენა 4:2 რავენა

0:1 ბილიოტი (20), 1:1 სუპერბი (32), 2:1 სალვეტი (37), 3:1 კომანდინი (66), 4:1 სალვეტი (79პ), 4:2 ბილიოტი (83)

### ბრეშა 2:1 ლუკეზე

1:0 რადუჩოუ (25), 2:0 მარინო (26), 2:1 ბეტონი (54)

### ატალანტა 4:0 პესკარა

1:0 კოსატო (44), 2:0 კოლომბო (71), 3:0, 4:0 კაჩა (76, 79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერონა | 22 | 13 | 6 | 3 | 37:16 | 45 |
| ტრევიზო | 22 | 11 | 9 | 2 | 34:20 | 42 |
| ლეჩე | 22 | 11 | 6 | 5 | 28:17 | 39 |
| ტორინო | 22 | 11 | 5 | 6 | 32:18 | 38 |
| ბრეშა | 22 | 9 | 9 | 4 | 25:16 | 36 |
| რეჯინა | 22 | 9 | 8 | 5 | 26:20 | 35 |
| ატალანტა | 22 | 9 | 7 | 6 | 25:18 | 34 |
| რავენა | 22 | 9 | 7 | 6 | 30:28 | 34 |
| პესკარა | 22 | 9 | 5 | 8 | 28:28 | 32 |
| ნაპოლი | 22 | 7 | 9 | 6 | 21:20 | 30 |
| მონცა | 22 | 7 | 7 | 8 | 19:22 | 28 |
| ჯენოა | 22 | 7 | 6 | 9 | 27:29 | 27 |
| კოზენცა | 22 | 7 | 5 | 10 | 23:31 | 26 |
| კიევო | 22 | 6 | 7 | 9 | 20:28 | 25 |
| ტერნანა | 22 | 4 | 11 | 7 | 19:26 | 23 |
| ლუკეზე | 22 | 4 | 8 | 10 | 18:24 | 20 |
| ჩეზენა | 22 | 4 | 8 | 10 | 19:27 | 20 |
| რეჯანა | 22 | 3 | 10 | 9 | 22:29 | 19 |
| ფ. ანდრია | 22 | 4 | 6 | 12 | 14:30 | 18 |
| კრემონეზე | 22 | 3 | 7 | 12 | 20:40 | 16 |

## ესპანეთი

### XXII ტური

**ბარსელონა 3:0 რეალი**

1:0, 2:0 ლუის ენრიკე (4, 36), 3:0 რივალდო (80)
ბარსელონა: ჰესპი, ფ. დე ბური, აბელარდო, სერხი (როხერი 90), კოკუ, რ. დე ბური, გვარდიოლა, ფიგუ, ლუის ენრიკე (ოსკარი 86), კლუივერტი, რივალდო
რეალი: კონტრერასი, ივან კამპო, რობერტო კარლოსი, იერო, სანჩისი (კარემბუ 76), პანუჩი, იარნი, ზეედორფი, რაული, მიატოვიჩი (სავიო 46), მორიენტესი (გუტი 46)
გაფრთხილება: კოკუ, ფიგუ, ლუის ენრიკე, რივალდო, სანჩისი, ივან კამპო, იარნი
გაძევება: რობერტო კარლოსი
მსაჯი: იტურალდე გონსალესი

**სარაგოსა 1:1 ალავესი**

1:0 ხოსე იგნასიო (4), 1:1 გერარდი (41)
სარაგოსა: მონდრაგონი, პაკო, პაბლო, სოლანა (ტორო აკუნია 78), აგუადო, არაგონი, ხოსე იგნასიო (მარკოს ვალესი 74), კილი გონსალესი, მილოშევიჩი, ჯამელი (ვუტერი 68), გ. ლოპესი
ალავესი: ტიტო, ბელსუე, ივან როჩა, კარმონა, ბერუე, იბონ ბეგონია, პაბლო გომესი (სივორი 87), გერარდი, დესიო, ვიტამინა სანჩესი (ასკოიტია 61), მანიო (სალინასი 74)
გაფრთხილება: აგუადო, არაგონი, იბონ ბეგონია, გერარდი
გაძევება: გერარდი
მსაჯი: ბრიტო არსეო

**ტენერიფე 0:2 ოვიედო**

0:1 პომპეი (7), 0:2 დელი ვალდესი (54З)
ტენერიფე: მონო მონტოია, ბასავილბასო, ლუსენჰოფი, ლორენი, ალექსისი, პაბლო პასი (ხავი ლოპესი 29), ჩანო, ემერსონი, პიერი, ხუანელე (მაკაი 65), პინილია
ოვიედო: ესტებანი, მანელი, სეზარი, ნადი, ესკურსა, პომპეი (რაბანიროვი 62), ონოპკო, ივან ანია (ფაბიო პინტუ 90), ხაიმე, დელი ვალდესი, დუბოვსკი (ბანგო 83)
გაფრთხილება: ბასავილბასო, ლუსენჰოფი, ლორენი, ხავი ლოპესი, ხაიმე, დელი ვალდესი
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

**დეპორტივო 1:0 სალამანკა**

1:0 ტურუ ფლორესი (51)
დეპორტივო: სონგო, რომერო, შურერი, ზიანი (პაჯი 86), მაურო სილვა, ფრანი, სკალონი, კონსეისაო, დონატო, ტურუ ფლორესი, პაულეტა (ჯალმინია 63)
სალამანკა: სტელეა, ნუნო ლუისი, კორინო, პავლიჩიჩი, მუნტეანო (სილვანი 60), ტაირა (ტომასი 46), ედუ ალონსო, როხერიო, ჯოვანელა, ბარბარა (ლუნარი 60), ველისკა
გაფრთხილება: დონატო, ტაირა, როხერიო
მსაჯი: ჯაპონ სევილია

**ატლეტიკო 1:2 ესპანიოლი**

1:0 ხოსე მარი (21), 1:1 არტეაგა (38), 1:2 დარიო სილვა (83)
ატლეტიკო: მოლინა, რამონი, სანტი, აგილერა (ტორიზი 46), სერენა, ბარახა (ვენტურინი 46), სოლარი, იუგოვიჩი (ჟუნინიო 71), ვალერონი, ხოსე მარი, კორეა
ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, სერხიო, ნანდო, ბრნოვიჩი (პაჩეტა 72), ივან ელგერა, არტეაგა, კაპდევილა, მარტინ პოსე (დარიო სილვა 77), ნან რიბერა (გალკა 63), ბენიტესი
გაფრთხილება: რამონი, სანტი, პაჩეტა, დარიო სილვა, ბენიტესი
მსაჯი: ?

**ბილბაო 0:0 ესტრემადურა**

ბილბაო: ი. ეჩებერია, ალკორტა, ფელიპე, ფერეირა, ლარაინსარი, ურუტია (კარლოს გარსია 53), ი. გერერო, ალკისა, იესტე (ხავი გონსალესი 63), ხ. ეჩებერია, ურსაისი (ესკუერო 68)
ესტრემადურა: ამადორი, ბელენგერი, დავიდი, კალა, ფელიქსი, ოსკარი, პოლი, ვიოდო, ესპოზიტო (ტორილი 75), ტონი ველამასანი (მანუელი 85), გაბრიჩი (უატარა 83)
გაფრთხილება: ფერეირა, ალკისა, პოლი
მსაჯი: დუდენ იბანესი

**ვილიარეალი 1:0 ვალენსია**

1:0 კრაიოვეანუ (90)
ვილიარეალი: პალოპი, ტელესი, ტაშევსკი, აიტორ არეგი, რობერტო, ალბელდა, გერარდო, კრაიოვეანო (პასკუალი 90), ალფარო (დიასი 61), ალბერტო, მოიზესი (კრისტიანსენი 82)
ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი, ბიორკლუნდი, კარბონი, ანგლომა, ხუანფრანი (ვლაოვიჩი 68), მენდიეტა, ფარინოსი, მიია (იანდრო 77), კ. ლოპესი, ანგულო
გაფრთხილება: ტაშევსკი, ალბელდა, მოიზესი, კ. ლოპესი
მსაჯი: მეგია დავილა

**ვალიადოლიდი 2:1 სელტა**

1:0 კამინერო (27), 1:1 რევივო (60), 2:1 ა. ლოპესი (78)
ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი, გარსია კალვო, პეია, კამინერო (ხულიო სეზარი 54), ტორეს გომესი, ეუსებიო, ჩემა (ტურიელი 80), ლოსანო, პეტერნაკი (ალბერტო 73), ვიქტორი
სელტა: დუტრუელი, მიჩელ სალგადო, კასერესი, ოსკარ ვალესი (რევივო 57), ჯოროვიჩი, მაზინიო, ტომასი, კარპინი, მოსტოვოი, პენევი (კრუიფი 70), სანჩესი
გაფრთხილება: ლოსანო, ჯოროვიჩი, კარპინი
მსაჯი: ანდრადას ასურმენი

**მალიორკა 1:0 სოსიედადი**

1:0 ბიაჯინი (683)
მალიორკა: როა, სივიერო, მ. სოლერი, მარსელინო, ოლაისოლა, სტანკოვიჩი (პინედა 75), ლორენი, ფ. სოლერი (ფერნანდო ნინიო 89), ენგონგა, ბიაჯინი (პაუნოვიჩი 72), დანი
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, ლორენი, პიკაბეა, ლოპეს რეკარტე (ფუენტესი 70), იარეგი, დე პედრო (ცვიტანოვიჩი 65), დე პაულა (სა პინტუ 46), არამბურუ, კოვაჩევიჩი, იდიაკესი
გაფრთხილება: მარსელინო, ლორენი, პიკაბეა, სა პინტუ
მსაჯი: პერეს ბურული

**ბეტისი 1:1 რასინგი**

0:1 მუნიტისი (16), 1:1 დენილსონი (65)
61-ე წუთზე ფინიდიმ (ბეტისი) ვერ გაიტანა პენალტი
ბეტისი: პრატსი, ფილიპესკუ, ხაიმე (ალექსისი 54), ლუის ფერნანდესი, მერინო, ოლიასი, ხუან ხესუსი (ბენჯამინი 46), იტო, ფინიდი, დენილსონი, ალფონსო (ოლი 35)
რასინგი: სებალოსი, მელბერგი, არსენო, ტაისი, ვიქტორი, ამავისკა, ჩემა, ისმაელი (პრესიადო 85), მაგალანეში (ვივარ დორადო 60), მუნიტისი, ბესჩასტნიხი
გაფრთხილება: პრატსი, ფილიპესკუ, ოლიასი, ალფონსო, არსენო, ტაისი, ჩემა, მუნიტისი
გაძევება: ფილიპესკუ
მსაჯი: ესკინას ტორესი

# მკვდარი თაგვი კამპ ნოუზე

მოხდა ის, რაც, კაცმა რომ თქვას, უნდა მომხდარიყო. ეს ერთის მხრივ. მეორე მხრივ, მოხდა ის, რაც ნამდვილად არ უნდა მომხდარიყო.

„ბარსელონამ“ „რეალს“ 3:0 მოუგო. სამეფო კლუბი შერცხვა.

მეორე კითხვიდან დავიწყოთ. საინტერესოა, რა მოხდა ისეთი, რაც არ უნდა მომხდარიყო? პასუხი ცხადზე უცხადესია — „რეალს“, ესპანეთის ყველაზე ტიტულიან გუნდს, სამეფო კლუბს, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს და ამავე თასისთვის მებრძოლს, ასე უნიათოდ არ უნდა ეთამაშა. თავმოყვარეობა არ უნდა შეელახა და ყველაზე დიდ მეტოქესთან ასე არ უნდა შერცხვენილიყო. კაცნაკლულს თამაშის დასაწყისში ხელები მაღლა არ უნდა აეწია და არ უნდა დანებებულიყო.

ასევე საინტერესოა, რა მოხდა ისეთი, რაც უნდა მომხდარიყო? პასუხი აქაც ნათელია — „ბარსელონას“, კატალონიელთა სიამაყეს, ქვეყნის ჩემპიონს, ახლაც პირველობისთვის მებრძოლს, ზედიზედ შვიდი შეხვედრის მომგებს, მერვე მატჩიც, ყველაზე საძულველ მეტოქესთან დაპირისპირებაც უნდა მოეგო. იმარჯვა კიდეც და კიდევ — მასპინძლებს თუნდაც მხოლოდ იმიტომ უნდა დაემარცხებინათ მეტოქე, რომ დღესდღეობით „ბარსელონა“ გაცილებით კარგი გუნდია, ვიდრე „რეალი“.

ბევრი ელოდა, რომ „კამპ ნოუზე“ „რეალი“ არ წააგებდა. თუ არ მოიგებდა, ფრეს მაინც დასჯერდებოდა. რა აძლევდათ ამის საბაბს? ბუნებრივია, აღმართს დაღმართი მოჰყვება ხოლმე. შვიდი ტურია, „ბარსელონა“ სულ მაღლა მიიწევდა. ასეთ ძლევამოსილ სვლას კი ხანდახან ჩავარდნაც თან ახლავს ხოლმე. მადრიდელთა ქომაგები სწორედ კატალონიელთა უკუსვლის იმედად იყვნენ და არა მარტო ისინი. თანაც, 1983 წლის შემდეგ „რეალს“ „ბარსელონასთან“ სტუმრად არ მოუგია. ამ შემთხვევაშიც ნავსის გატეხვას ელოდნენ. იყო კიდევ ერთი მიზეზი — ექვსი წელია, „კამპ ნოუზე“ სამეფო კლუბს გოლი ვერ გაუტანია. ფიქრობდნენ, რომ კვირას გაიტანდა.



ბარსელონა — რეალი 3:0. რივალდომ (მარცხნივ) სანჩისი გააბითურა

REUTERS ბარსელონიდან

ყველაფერ ამის საპასუხოდ, „რეალის“ გულშემატკივართა სამწუხაროდ, ცრუმორწმუნეთა დასანახად, „ბარსელონამ“ კვლავაც განაგრძო მწვერვალისკენ აღმასვლა, პრიმერა დივიზიონში მერვე მატჩიც მოიგო, „რეალს“ არც ახლა გაატანინა გოლი, მით უმეტეს, არც მოაგებინა და ყველაფერ ამასთან ერთად ძლივს, გაჭირვებით ან ოფლისღვრით კი არა, უბრალოდ, ლამაზად, თავდაჯერებულად დიდი ანგარიშით 3:0 გაიმარჯვა. ერთი სიტყვით, მეტოქე უმოწყალოდ დალახვრა.

შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე პატრიკ კლუივერტმა განაცხადა, ვეცდები, „რეალს“ ამ მატჩშიც გავუტანო გოლიო. რამდენჯერაც ითამაშა კლუივერტმა მადრიდელთა წინააღმდეგ, იმდენჯერ შეაგდო ბურთი, მაგრამ კვირას, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცდილობდა, წარმატებული სერია ვერ გააგრძელა. სამაგიეროდ, გოლი სხვას გაატანინა.

პირველად პედრო კონტრერას გონსალესის კარის ბადე მეოთხე წუთზე შეარხია ლუის ენრიკემ, ყოფილმა რეალელმა. საგოლე პასი კი სწორედ კლუივერტისა იყო — სტუმართა საჯარიმოში მარცხენა ფლანგიდან შეჭრილ ჰოლანდიელ თავდამსხმელს წინ ვერავინ აღუდგა და მანაც ლუის ენრიკე დროულად მონახა — 1:0.

ასეთი დონის გუნდების პაექრობისას მინიმალური უპირატესობა ხან მატჩის ბედს წყვეტს, ხანაც არაფერს ნიშნავს. ერთბურთიანი ჩამორჩენის შემდეგ მადრიდელთ შეეძლოთ შეხვედრის ჩარხის თავის სასარგებლოდ შეტრიალება, მაგრამ „რეალი“ რობერტო კარლოსმა დაალალატა. ვერ გეტყვით ადრე ფიგუმ აწყენინა თუ არა, მაგრამ რობერტო კარლოსი ისე დაეძგერა მას, იფიქრებდით მასზე დაბოღმილიაო. მსაჯის იტურალდე გონსალესის გადაწყვეტილება ობიექტური გახლდათ. ასეთი უხეში თამაშის შემდეგ რობერტო კარლოსი მოედანზე გასაჩერებელი არ იყო.

ლორენსო სანსის, „რეალის“ პრეზიდენტის შეხვედრისშემდგომი ინტერვიუდან: „...არ მიყვარს მსაჯებზე საუბარი, მაგრამ ამ მატჩის ბედი არბიტრმა გადაწყვიტა. რობერტო კარლოსი ჩვენ ძალიან დაგვაკლდა და მატჩის შედეგი, ვფიქრობ, გონსალესის არარობიექტურმა გადაწყვეტილებამ განაპირობა“. მართალი იყო თუ არა მსაჯი, შეხვედრის მნახველებმა თავად განსაჯონ. ცნობისთვის: ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ იტურალდე გონსალესის მოქმედება „ბარსელონა“ — „რეალის“ გუშინწინდელ მატჩში კარგად შეაფასა.

თუ ლორენსო სანსს დავეკითხებით, ლუის ენრიკეს მეორე გოლი, „ბარსელონას“ უდიდესი უპირატესობა და სულ ბოლოს რივალდოს გოლიც რობერტო კარლოსის გაძევების ლოგიკური გაგრძელება იყო. თუმცა ასე „რეალის“ პრეზიდენტი ფიქრობს, ხალხი კი...

— ვიცოდით, რომ მოვიგებდით. ჩვენ გვწამდა, რომ დღესდღეობით „ბარსელონა“ უძლიერესი კლუბია. თუ რა შეგვაძლებინა თვითრწმენამ, თავადაც ხედავთ — ხოსეპ გვარდიოლა, „ბარსელონაში“ გაზრდილი ფეხბურთელი, „რეალის“ ძლევას ხარობდა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლუის ენრიკემ მეორე გოლი სწორედ გვარდიოლას ჩინებული პასის შემდეგ გაიტანა. გოლი ლამაზი გამოდგა.

„ბარსელონას“ ორბურთიანი უპირატესობის შემდეგ „რეალი“, ესპანეთის ყველაზე ტიტულიანი კლუბი, სულაც არ მოგაგონებდათ ჩემპიონთა თასისთვის მებრძოლ გრანდს.

პირველი ტაიმის მიწურულიდან თამაში კატა-თაგვობანას დაემსგავსა. კატა ჯერ აწვალებს თაგვს, მერე კი შესანსლავს. ასე იყო „კამპ ნოუზეც“ — გალაღებული „ბარსელონა“ მეორე ტაიმში მხოლოდ იმას ფიქრობდა, უფრო ლამაზად გაეტანა გოლი. ბოლოს მასპინძლებმა სტუმრები შესანსლეს კიდეც. რივალდომ ორ მეტოქესთან ბრძოლისას ბურთი შეინარჩუნა და კონტრერასს მზაკვრული დარტყმის შემდეგ მესამე გოლი გაუტანა.

— ვეცადეთ, მაგრამ არ გამოგვივიდა — ესლა თქვა მადრიდელთა ლიდერმა ფერნანდო იერომ.

— „რეალი“ არაა ის გუნდი, დღეს „ბარსელონას“ თანაბრად ეთამაშოს. ჩვენ მაღალ საფეხურზე ვდგავართ — განაცხადა ვან გაალმა.

...სტატისტიკას თუ ჩავეძიებით, „რეალი“ კვლავ სჯობნის „ბარსელონას“. გუნდების დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით საეჭვოა, დედაქალაქელთა უპირატესობამ დიდხანს გასტანოს.

**ლაშა გოდუაძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბარსელონა | 22 | 13 | 4 | 5 | 48:25 | +23 | 43 | 12 | 8 | 2 | 2 | 33:15 | +17 | 26 | 10 | 5 | 2 | 3 | 15:10 | +5 | 17 |
| 2 | მალიორკა | 22 | 11 | 5 | 6 | 22:14 | +8 | 38 | 12 | 9 | 2 | 1 | 16:4 | +12 | 29 | 10 | 2 | 3 | 5 | 6:10 | -4 | 9 |
| 3 | სელტა | 22 | 10 | 7 | 5 | 44:27 | +19 | 37 | 10 | 7 | 3 | 0 | 28:10 | +18 | 24 | 12 | 3 | 4 | 5 | 16:17 | -1 | 13 |
| 4 | ვალენსია | 22 | 11 | 4 | 7 | 32:22 | +10 | 37 | 10 | 7 | 2 | 1 | 18:6 | +12 | 23 | 12 | 4 | 2 | 6 | 14:16 | -2 | 14 |
| 5 | რეალი | 22 | 11 | 4 | 7 | 44:35 | +9 | 37 | 10 | 6 | 2 | 2 | 26:14 | +12 | 20 | 12 | 5 | 2 | 5 | 18:20 | -2 | 17 |
| 6 | დეპორტივო | 22 | 10 | 7 | 5 | 31:23 | +8 | 37 | 12 | 8 | 3 | 1 | 23:10 | +13 | 27 | 10 | 2 | 4 | 4 | 8:13 | -5 | 10 |
| 7 | ოვიედო | 22 | 9 | 7 | 6 | 30:30 | 0 | 34 | 11 | 6 | 3 | 2 | 13:8 | +5 | 21 | 11 | 3 | 4 | 4 | 17:22 | -5 | 13 |
| 8 | ბილბაო | 22 | 10 | 4 | 8 | 29:29 | 0 | 34 | 11 | 6 | 3 | 2 | 18:12 | +6 | 21 | 11 | 4 | 1 | 6 | 11:17 | -6 | 13 |
| 9 | ატლეტიკო | 22 | 9 | 5 | 8 | 37:27 | +10 | 32 | 12 | 7 | 3 | 2 | 27:8 | +19 | 24 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | -9 | 8 |
| 10 | ბეტისი | 22 | 8 | 7 | 7 | 21:24 | -3 | 31 | 11 | 5 | 3 | 3 | 11:12 | -1 | 18 | 11 | 3 | 4 | 4 | 10:12 | -2 | 13 |
| 11 | სოსიედადი | 22 | 8 | 6 | 8 | 29:27 | +2 | 30 | 11 | 7 | 3 | 1 | 20:7 | +13 | 24 | 11 | 1 | 3 | 7 | 9:20 | -11 | 6 |
| 12 | სარაგოსა | 22 | 8 | 6 | 8 | 28:29 | -1 | 30 | 11 | 5 | 2 | 4 | 18:17 | +1 | 17 | 11 | 3 | 4 | 4 | 10:12 | -2 | 13 |
| 13 | ესპანიოლი | 22 | 7 | 9 | 6 | 23:22 | +1 | 30 | 10 | 4 | 5 | 1 | 10:7 | +3 | 17 | 12 | 3 | 4 | 5 | 13:15 | -2 | 13 |
| 14 | ვილიარეალი | 22 | 7 | 6 | 9 | 28:33 | -5 | 27 | 12 | 5 | 4 | 3 | 18:14 | +4 | 19 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | -9 | 8 |
| 15 | რასინგი | 22 | 6 | 8 | 8 | 26:28 | -2 | 26 | 10 | 4 | 3 | 3 | 15:10 | +5 | 15 | 12 | 2 | 5 | 5 | 11:18 | -7 | 11 |
| 16 | ვალიადოლიდი | 22 | 6 | 5 | 11 | 20:29 | -9 | 23 | 12 | 6 | 2 | 4 | 13:10 | +3 | 20 | 10 | 0 | 3 | 7 | 7:19 | -12 | 3 |
| 17 | ტენერიფე | 22 | 3 | 10 | 9 | 20:32 | -12 | 19 | 12 | 1 | 7 | 4 | 10:15 | -5 | 10 | 10 | 2 | 3 | 5 | 10:17 | -7 | 10 |
| 18 | სალამანკა | 22 | 5 | 4 | 13 | 18:36 | -18 | 19 | 10 | 5 | 3 | 2 | 15:11 | +4 | 18 | 12 | 0 | 1 | 11 | 3:25 | -22 | 1 |
| 19 | ალავესი | 22 | 4 | 6 | 12 | 17:34 | -17 | 18 | 11 | 3 | 4 | 4 | 9:9 | 0 | 13 | 11 | 1 | 2 | 8 | 8:25 | -17 | 5 |
| 20 | ესტრემადურა | 22 | 4 | 6 | 12 | 13:34 | -21 | 18 | 10 | 3 | 1 | 6 | 6:13 | -7 | 10 | 12 | 1 | 5 | 6 | 7:21 | -14 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| რაული (რეალი) | 13 |
| რივალდო (ბარსელონა) | 13 |
| დელი ვალდესი (ოვიედო) | 12 |

**XXIII ტური**

21 თებერვალი

ალავესი - ტენერიფე (2:1)
ოვიედო - მალიორკა (0:0)
სოსიედადი - ატლეტიკო (1:4)
ესპანიოლი - დეპორტივო (0:1)
სალამანკა - ვილიარეალი (0:5)
ვალენსია - ვალიადოლიდი (1:3)
სელტა - ბარსელონა (2:2)
რეალი - ბილბაო (3:2)
ესტრემადურა - ბეტისი (1:1)
რასინგი - სარაგოსა (1:3)

* ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

## მეორე დივიზიონი

### XXIV ტური

**ეიბარი 0:1 ლას პალმასი**

0:1 რენალდო (26)

**ალბასეტე 0:0 ატლეტიკო B**

**ოსასუნა 2:0 ლეიდა**

1:0 სიგანდა (3), 2:0 ტრეციაკი (60)

**ბადახოსი 2:1 ნუმანსია**

1:0 კასტილიო (8), 1:1 ისაკი (52), 2:1 მორენო (58)

**ტოლედო 1:0 მალიორკა B**

1:0 კინი (54)

**ბარსელონა B 1:0 რაიო**

1:0 ლუისი (58)

**ლეგანესი 2:2 კომპოსტელა**

0:1 კოირა (4), 0:2 პრიეტო (6), 1:2 ტეიშეირა (44), 2:2 სულოაგა (60)

**სპორტინგი 1:1 მალაგა**

0:1 რუანო (18), 1:1 მონჩუ (29)

**ერკულესი 1:1 ლოგრონიესი**

1:0 დეუსი (54), 1:1 ინო (75)

**მერიდა 3:3 სევილია**

0:1 ველასკო (7), 1:1 ბარატა (40), 1:2 ცარტასი (46), 2:2 ლუის სიერა (51), 3:2 ბარატა (57), 3:3 ხუან კარლოსი (82)

**რეკრეატივო 2:0 ორენსე**

1:0 მენდესი (35), 2:0 ფერეირა (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლას პალმასი | 24 | 11 | 9 | 4 | 35:19 | 42 |
| ოსასუნა | 24 | 11 | 9 | 4 | 32:17 | 42 |
| მალაგა | 24 | 11 | 9 | 4 | 36:26 | 42 |
| რაიო | 24 | 11 | 9 | 4 | 36:30 | 42 |
| ნუმანსია | 24 | 12 | 5 | 7 | 41:23 | 41 |
| ტოლედო | 24 | 11 | 7 | 6 | 31:27 | 40 |
| სევილია | 24 | 10 | 7 | 7 | 32:30 | 37 |
| ატლეტიკო B | 24 | 9 | 9 | 6 | 37:29 | 36 |
| რეკრეატივო | 24 | 10 | 6 | 8 | 22:17 | 36 |
| მერიდა | 24 | 9 | 8 | 7 | 29:21 | 35 |
| კომპოსტელა | 24 | 8 | 10 | 6 | 32:25 | 34 |
| ლეიდა | 24 | 8 | 9 | 7 | 25:24 | 33 |
| ლოგრონიესი | 24 | 8 | 9 | 7 | 32:33 | 33 |
| ბადახოსი | 24 | 8 | 7 | 9 | 21:20 | 31 |
| მალიორკა B | 24 | 9 | 4 | 11 | 28:32 | 31 |
| ალბასეტე | 24 | 7 | 8 | 9 | 17:21 | 29 |
| ლეგანესი | 24 | 6 | 9 | 9 | 23:30 | 27 |
| სპორტინგი | 24 | 6 | 8 | 10 | 23:30 | 26 |
| ერკულესი | 24 | 6 | 5 | 13 | 22:39 | 23 |
| ეიბარი | 24 | 5 | 4 | 15 | 16:35 | 19 |
| ბარსელონა B | 24 | 4 | 5 | 15 | 24:41 | 17 |
| ორენსე | 24 | 4 | 4 | 16 | 20:45 | 16 |

# რას ელოდა პსჟ ჟირესს?



REUTERS

მონაკო — რენი 4:2. მუსა ნ'დიაის (შუაში) შეჩერება „რენის" დაცვას ძალიან უჭირდა

## საფრანგეთი

XXIV ტური

**ბორდო 2:0 ბასტია**

1:0, 2:0 ვილტორდი (54, 73)

**ტულუზი 1:0 მარსელი**

1:0 ოსეანუ (76პ)

**ლიონი 2:1 ნანტი**

1:0, 2:0 კავეგლია (37პ, 46), 2:1 სიუფო (74)

**მონაკო 4:2 რენი**

1:0 იკპება (4), 1:1 ლე რუ (8), 1:2 ბარდონი (10), 2:2 ნდიაი (20), 3:2 იკპება (65პ), 4:2 ჟიული (90)

**ლანსი 2:1 პსჟ**

1:0 დალმა (11), 1:1 სიმონე (66), 2:1 ლასპალი (84)

**ლორიანი 1:1 მონპელიე**

1:0 დრიუონი (48), 1:1 ტიმოტე (51)

სტრასბური — ოსერი, ნანსი — მეცი და სოშო — ლე ავრი დიდთოვლობის გამო გადაიდო.

ტურის სენსაცია „ტულუზმა" მოახდინა, რომელმაც „მარსელს" სამი ქულა და ლიდერობა დააკარგვინა. ეს სტუმართა ზედიზედ მეორე მარცხი იყო გასვლაზე (22-ე ტურში 1:4 „ბორდოსთან), მარცხი, რომელიც მოულოდნელი, მაგრამ იმავდროულად ლოგიკურიც გახლდათ. „ტულუზმა" მშვენივრად ითამაშა და დამსახურებულადაც მოიგო. „პარი სენ ჟერმენიდან" გამოგდებული ალან ჟირესი რაც ისევ თავის ყოფილ გუნდს წვრთნის, „ვარდისფერი ქალაქის" კლუბმა ყველა თამაშში გაიმარჯვა — 1:0 „მეცთან", 2:1 ოსერში (ჩემპიონატი) და 2:0 „ნიცასთან" (ლიგის თასი). „მარსელთან" შეხვედრას პსჟ-ს მფლობელი ტელეარხი „Canal+" გადასცემდა და, ალბათ, მისი ხელმძღვანელები მიხვდნენ, რომ ჟირესს პსჟ-ს წარუმატებლობაში „წვლილი" არ შეუტანია.

შეხვედრა „მარსელმა", რომელიც მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობდა, უკეთ დაიწყო. მიუხედავად კრისტოფ დიუგარის და ფაბრიციო რავანელის გრიპის გამო არყოფნისა, სტუმართა შეტევები მაინც სახიფათო იყო. ანგარიშის გახსნის შანსი პირველმა ფლორიან მორისმა გაუშვა ხელიდან მე-12 წუთზე — პეტერ ლუქსენის კარგი პასის შემდეგ, „ფლოს" დარტყმა არ გამოუვიდა. ხუთიოდ წუთში მორისმა და რობერ პირესმა კედელი გაითამაშეს, და „მარსელსაც" კვლავ შეეძლო წინ გასვლა, მაგრამ მასპინძელთა მეკარე ტედი რიშერმა იყოჩაღა.

ამის მერე „ტულუზმა" მდგომარეობა ნელ-ნელა გამოასწორა და თამაშიც გათანაბრდა. ჟირესის გაწვრთნილები ლომებივით იბრძოდნენ და პირველი ტაიმის ყველაზე სახიფათო მომენტიც მათ შექმნეს — მაარზიმ დაახლოებით ოცი მეტრიდან უძლიერესად დაარტყა, მაგრამ ბურთი „მარსელის" კარის ძელს მოხვდა. მეორე ტაიმი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის შესაძლებლობები, მაგრამ ხან თავდამსხმელები სცოდავდნენ, ხანაც მეკარეები იყვნენ მოწოდების სიმაღლეზე. მატჩის ერთადერთი გოლი კი „ტულუზის" პორტუგალიელი კაპიტნის ოსეანუს ანგარიშზეა. მან ბატლთან უხეშობისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა.

„ჟირესის მოსვლით ჩვენთვის თითქოს ახალი ჩემპიონატი დაიწყო. ყველაფერს ვიღონებთ და უძლიერესთა შორის ადგილს მაინც შევინარჩუნებთ" — „ტულუზის" მცველ ჟოზე კობოსს მწვრთნელისაც ეიმედება და თანაგუნდელებისაც.

თამაშის ბოლოს კი პენალტის დანიშვნით უკმაყოფილო „მარსელის" ქომაგებმა მინდორზე რალაცეების სროლა დაიწყეს, რასაც სტადიონის მომსახურე პერსონალის სამი წევრის დაშავება მოჰყვა.

„მინდა, ტულუზელებს მშვენიერი გამარჯვება მივულოცო. მათი „დახმარებით" კვლავ პირველ ადგილზე გადავინაცვლეთ, თუმცა ოქროს მედლებამდე ჯერ კიდევ შორი და ძნელი გზა გვაქვს გასავლელი" — თქვა „ბორდოს" ნახევარმცველმა ფრანსუა გრენემ. ჟირონდელებმა „მარსელზე" ერთი დღით ადრე ითამაშეს — მათ „ბასტია" ესტუმრათ. სილვენ ვილტორდის დუბლის წყალობით მასპინძლებმა შინ გამართული მეცამეტე შეხვედრიდან მეთორმეტედ გაიმარჯვეს. „ლესკიურიდან" ქულის წაღება მხოლოდ „სოშომ" მოახერხა. გამთამაშებელი ალი ბენარბიას გარეშე „ბორდომ" ლამაზად ვერ ითამაშა, მაგრამ მთავარი ხომ სამი ქულის აღება იყო. „მაყურებელი, ალბათ, გაწბილებული დარჩა, მაგრამ ყოველთვის ხომ ვერ ვითამაშებთ ისე, როგორც ეს „მარსელთან" გავაკეთეთ" — თქვა „ბორდოს" მეკარე ულრიხ რამემ, რომელსაც თამაშში ჩართვა თითქმის არ დასჭირვებია. პირველი 45 წუთის განმავლობაში ჩემპიონობის კანდიდატს ვერ იცნობდით. დაცვას, ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის კავშირი მოშლილი იყო. გუნდი გუნდს არ ჰგავდა. მისდა საბედნიეროდ, „ბასტიაც" საკმაოდ უგერგილოდ ირჯებოდა, თორემ... მეორე ტაიმში ვითარება შეიცვალა, ეტყობა, „ბორდოს" თავკაცმა ელი ბოპმა შესვენებისას შეგირდებს სწორი რჩევები მისცა. ვილტორდმაც ორი გოლი შეაგდო. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს ჯერ ლილიან ლასლანდმა გაუწია ასისტენტობა, შემდეგ კი ახალმა თანაგუნდელმა ივანმა, რომელიც „ბორდოს" ხელმძღვანელებმა ესპანური „ბეტისიდან" შეიძინეს.

„ახლა ორი საგარეო მატჩი გვაქვს ნანტსა და ნანსიში. მინიმუმ სამი ქულა მაინც უნდა მოვიპოვოთ და მერე ჩემპიონობაც გაცილებით რეალური იქნება" — განაცხადა ჟირონდელთა ნახევარმცველმა მიშელ პავონმა.

სანამ „ბორდოს" უმასპინძლებს, „ნანტი" „ლიონს" ესტუმრა. „ყვითელმწვანეებს" ცხრა ტური არ წაეგოთ, მაგრამ „ჟერლანზე" „ლიონმა" თვით „ბორდოს" და „მარსელსაც" კი მოუგო და „ნანტიც" უქულოდ გაისტუმრა შინ. თამაშის დაწყებამდე თბილისის ძმობილი ქალაქის გუნდის თავკაცი რეინალდ დენუე ამბობდა: „ჩვენ და „ლიონი" მხოლოდ იმით განვსხვავდებით, რომ „ლიონში" გაცილებით გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობენ. ალენ კავეგლია რომ მინდორზეა, მარტოს შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა." კავეგლიამაც იმედები „გაუმართლა" „ნანტის" მწვრთნელს და დუბლი შეასრულა.

მეოთხე ადგილზე „მონაკომ" აინაცვლა „რენთან" გამარჯვების შემდეგ. ჟან ტიგანას ჯუჯა-სახელმწიფოს კლუბიდან წასვლის შემდეგ ახალმა მწვრთნელმა კლოდ პუელმა ლუდოვიკ ჟიული პირველად დააყენა ძირითად შემადგენლობაში და არც შემცდარა. ექსლიონელმა ულამაზესი გოლიც გაიტანა, ორი საგოლე პასიც მიაწოდა იკპებასა და ნდიაის და საერთოდ, მთელი თამაშის მანძილზეც საუკეთესო იყო. უეფას, საფრანგეთისა და ლიგის თასებიდან გამოვარდნილ „მონაკოს" ჩემპიონატიღა დარჩა და მე-3 ადგილისთვისაც ბოლომდე იბრძოლებს, რასაც „რენთან" მატჩის გმირიც ადასტურებს: „აუცილებლად უნდა გავიდეთ მე-3 ადგილზე და ამისთვის ძალებს არ დავზოგავთ."

ჟირესით თუ უჟირესოდ, პსჟ მაინც აგებს. ბოლო ცხრა ტურში პარიზელებმა მხოლოდ ექვსი ქულის მოპოვება მოახერხეს — კომენტარი ზედმეტია. ლანსელთა გამარჯვების გოლი ნიკოლა ლასპალის ანგარიშზეა, იმ ლასპალისა, რომელიც ამ სეზონის დაწყებამდე პსჟ-მ „გენგამიდან" შეიძინა და შობის წინ გააგდო კიდეც. „ამ გოლით დავამტკიცე, რომ რაღაც შემიძლია და არტურ ჟორჟემ ტყუილად გამიშვა გუნდიდან" — თქვა გასახდელიდან გამოსვლის შემდეგ ლასპალმა. „ნამდვილად გოიმები ვართ, ამ მწვრთნელს რომ ვიტანთ. ჟირესი მასზე გაცილებით ძლიერია. თუ რამე არ შეიცვალა, ახალი სეზონიდან აქ აღარ გავჩერდები" — პსჟ-ს იტალიელი თავდამსხმელი მარკო სიმონე პორტუგალიელი ჟორჟეს მოხსნას ითხოვს.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 24 | 16 | 4 | 4 | 51:20 | 52 |
| მარსელი | 24 | 15 | 6 | 3 | 42:20 | 51 |
| ლიონი | 23 | 11 | 8 | 4 | 33:21 | 41 |
| მონაკო | 23 | 11 | 5 | 7 | 36:24 | 38 |
| ნანტი | 24 | 10 | 8 | 6 | 33:25 | 38 |
| რენი | 24 | 10 | 7 | 7 | 30:30 | 37 |
| მონპელიე | 24 | 9 | 6 | 9 | 41:37 | 33 |
| ლანსი | 24 | 9 | 5 | 10 | 31:32 | 32 |
| ოსერი | 23 | 8 | 7 | 8 | 31:28 | 31 |
| ბასტია | 24 | 9 | 3 | 12 | 28:31 | 30 |
| პსჟ | 24 | 7 | 8 | 9 | 23:24 | 28 |
| მეცი | 23 | 7 | 7 | 9 | 22:29 | 28 |
| სტრასბური | 23 | 5 | 10 | 8 | 18:24 | 25 |
| ნანსი | 23 | 6 | 6 | 11 | 21:30 | 24 |
| ტულუზი | 24 | 5 | 9 | 10 | 18:34 | 24 |
| ლე ავრი | 23 | 5 | 7 | 11 | 17:29 | 22 |
| ლორიანი | 24 | 4 | 9 | 11 | 19:37 | 21 |
| სოშო | 21 | 3 | 8 | 10 | 18:37 | 17 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვილტორდი (ბორდო) | 17 |
| ლასლანდი (ბორდო) | 14 |
| მორისი (მარსელი) | 11 |
| ნონდა (რენი) | 10 |

## ბრაზილია

რიო — სან პაულუს ტურნირი

I ჯგუფი

11 თებერვალი

**ვასკუ და გამა 2:0 პალმეირასი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოსი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:5 | 10 |
| ვასკუ და გამა | 5 | 3 | 1 | 1 | 12:7 | 10 |
| ფლუმინენსე | 5 | 2 | 0 | 3 | 10:10 | 6 |
| პალმეირასი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:15 | 3 |

1/2ფინალში სანტოსი და ვასკუ და გამა გავიდნენ

II ჯგუფი

11 თებერვალი

**ბოტაფოგო 1:1 ფლამენგო**

**სან პაულუ 1:1 კორინთიანსი**

15 თებერვალი

**კორინთიანსი 3:2 ბოტაფოგო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ | 6 | 4 | 1 | 1 | 8:4 | 13 |
| ბოტაფოგო | 6 | 2 | 2 | 2 | 15:12 | 8 |
| ფლამენგო | 6 | 2 | 2 | 2 | 11:8 | 8 |
| კორინთიანსი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:16 | 0 |

1/2ფინალში სან პაულუ და ბოტაფოგო გავიდნენ

**პაულისტას (სან პაულუს შტატი) ჩემპიონატი**

I ჯგუფი

11 თებერვალი

**ლიმეირა 3:2 იტუანო**

**სან ჟოზე 1:0 პორუგეზა**

**ბარბარენსე 3:2 რიო ბრანკო**

15 თებერვალი

**პორტუგეზა 2:2 ბარბარენსე**

**რიო ბრანკო 3:0 ლიმეირა**

**იტუანო 0:1 სან ჟოზე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგეზა | 7 | 5 | 1 | 1 | 14:6 | 16 |
| ბარბარენსე | 7 | 4 | 2 | 1 | 13:7 | 14 |
| რიო ბრანკო | 7 | 4 | 0 | 3 | 15:10 | 12 |
| სან ჟოზე | 7 | 2 | 2 | 3 | 4:9 | 8 |
| ლიმეირა | 7 | 2 | 1 | 4 | 6:12 | 7 |
| იტუანო | 7 | 0 | 2 | 5 | 4:12 | 2 |

II ჯგუფი

11 თებერვალი

**არაკაუტუბა 1:2 სანტისტა**

**მატონენსე 2:3 მოგი მირიმი**

**გუარანი 2:1 უნიაო**

15 თებერვალი

**სანტისტა 2:1 მატონენსე**

**უნიაო 3:0 არაკატუბა**

**მოგი მირიმი . 3:3 გუარანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გუარანი | 7 | 4 | 2 | 1 | 15:7 | 14 |
| მატონენსე | 7 | 3 | 1 | 3 | 13:14 | 10 |
| მოგი მირიმი | 7 | 2 | 2 | 2 | 14:14 | 9 |
| სანტისტა | 7 | 3 | 0 | 4 | 11:16 | 9 |
| უნიაო | 7 | 2 | 2 | 3 | 13:13 | 8 |
| არაკატუბა | 7 | 2 | 2 | 3 | 13:15 | 8 |

## ჰოლანდია

XX ტური

**ტვენტე 2:1 აიაქსი**

0:1 გრონკიაერი (38), 1:1 ეჯუპოვი (44), 2:1 პესელინკი (79)

აიაქსი: ვან დერ სარი, ბლინდი, სიერი, ოლისე, მელხიოტი, გირი, ვიჩხე, ნოპელი, მაკართი (არველაძე 66), გრონკიაერი, ვამბერტო (ბაბანგიდა 61)

**სპარტა 0:1 უტრეხტი**

0:1 ვან ეიკერენი (70)

**ალკმაარი — ფეიენოორდი**

*გადაიდო*

**კამბური — როდა**

*გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 18 | 13 | 4 | 1 | 42:15 | 43 |
| ვიტესი | 19 | 11 | 4 | 4 | 36:23 | 37 |
| აიაქსი | 20 | 9 | 7 | 4 | 37:18 | 34 |
| ჰერენვენი | 19 | 9 | 6 | 4 | 30:22 | 33 |
| ტვენტე | 21 | 9 | 6 | 6 | 31:28 | 33 |
| როდა | 18 | 9 | 4 | 5 | 30:22 | 31 |
| ეინდჰოვენი | 19 | 8 | 7 | 4 | 45:34 | 31 |
| ალკმაარი | 20 | 7 | 10 | 3 | 31:26 | 31 |
| უტრეხტი | 20 | 8 | 4 | 8 | 36:35 | 28 |
| ნაიმეგენი | 20 | 7 | 7 | 6 | 29:28 | 28 |
| ტილბურგი | 20 | 8 | 4 | 8 | 34:37 | 28 |
| მაასტრიხტი | 20 | 5 | 6 | 9 | 25:34 | 21 |
| კამბური | 19 | 5 | 6 | 8 | 22:34 | 21 |
| სიტარდი | 20 | 5 | 5 | 10 | 24:35 | 20 |
| გრააფსხაპი | 20 | 3 | 10 | 7 | 20:31 | 19 |
| სპარტა | 20 | 4 | 3 | 13 | 22:40 | 15 |
| ბრედა | 19 | 3 | 4 | 12 | 22:34 | 13 |
| ვალვაიკი | 20 | 2 | 5 | 13 | 23:43 | 11 |

## შოტლანდია

თასის მეოთხე წრე

**ჰამილტონი 0:6 რეინჯერსი**

0:1 იოჰანსონი (5), 0:2 ალბერცი (43პ), 0:3 ვიდმარი (56), 0:4 კანჩელსკისი (65), 0:5 იოჰანსონი (73), 0:6 მაკენი (75)

**აირი 1:0 ალბიონი**

1:0 ტილი (77)

**სელტიკი 4:0 დანფერმლაინი**

1:0, 2:0 ლარსონი (26,32პ), 3:0 ბრატბაკი (39), 4:0 ლარსონი (42)

**მორტონი 6:1 კლაიდი**

1:0 ანდერსონი (15), 2:0, 3:0 ტომასი (27,50პ), 3:1 მაკკასკერი (53), 4:1 არჩდიკონი (60), 5:1, 6:1 ტუოდლი (71, 75)

**ლივინგსტონი 1:3 სტ. ჯონსტონი**

0:1 გრანტი (18), 0:2 სკოტი (40), 0:3 გრანტი (59), 1:3 რობერტსონი (85)

**მოზერველი 2:0 სტირლინგი**

1:0 მაკკალოჩი (63), 2:0 ფორესტი (86 ს.კ.)

**სტენრირი 1:2 ფალკირკი**

0:1,0:2 მოსი (24, 64), 1:2 ფრიელსი (85)

მეოთხედფინალის კენჭისყრა

მოზერველი — სენტ ჯონსტონი; აირი — კლაიდბენკი-როს ქაუნთის წყვილში გამარჯვებული ან დანდი იუნაიტედი; მორტონი — სელტიკი; რეინჯერსი — ფალკირკი

შვედმა ფორვარდმა ჰენრიკ ლარსონმა საბოლოოდ დაიპყრო „სელტიკის" ქომაგთა გულები. გარდა იმისა, რომ შოტლანდიის პირველობაზე ბრწყინავს და ბომბარდირთა სიასაც სათავეში უდგას, მან არც სათასო შეხვედრაში დაინდო მოწინააღმდეგე. ლარსონის მორიგი მსხვერპლი ჩემპიონატის უსუსური აუტსაიდერი „დანფერმლაინი" გახდა. „სელტიკის" გატანილი 4 გოლიდან სამი სწორედ გრძელთმიანმა შვედმა შეაგდო, კიდევ ერთი ჰეთ-თრიქი შეასრულა და სეზონში გატანილი გოლების რაოდენობა 27-მდე გაზარდა.

— კარიერაში საუკეთესო დროება მიდგას. „ფეიენოორდში" თამაშისას ხშირად მიწევდა პოზიციის გამოცვლა, „სელტიკში" კი მხოლოდ თავდამსხმელის ფუნქციას ვასრულებ და შედეგმაც არ დააყოვნა.

დიდი ანგარიშით კიდევ ორმა გუნდმა გაიმარჯვა. პირველი დივიზიონის „მორტონმა" კიდევ უფრო ქვედა (მეორე) ლიგაში მოასპარეზე „კლაიდს" უმასპინძლა და გაანადგურა 6:1. ორ-ორი გოლი გაიტანეს კევინ ტომასმა და მისმა სეხნია ტუოდლმა.

ეს შაბათს მოხდა. კვირას კი ქვეყნის ჩემპიონატის ლიდერი გლაზგოს „რეინჯერსი" პირველი დივიზიონის „ჰამილტონს" ესტუმრა და სიყვარულის დღე მაგრად ჩაუმწარა — 6:0 მოუგო. ფინელმა ჯონათან იოჰანსონმა მასპინძლებს ორჯერ წაუხდინა გუნება.

**ნოდარ ქასრაძე**

## თურქეთი

მე-20 ტური. გენჩლერბირლიგი — დარდანელი 0:0; ბურსა — ტრაბზონი 0:1; ფენერბაჰჩე — ადანა 6:0; ქოჯაელი — გალათასარაი 1:2; ერზურუმი — სამსუნი 1:0; ალთაი — საქარია 2:0; ქარაბუქი — ისთანბული 2:2; ანთალია — ანკარაგიუჯიუ 1:4; გაზიანთეფი — ბეშიქთაში 2:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 20 | 15 | 2 | 3 | 56:13 | 47 |
| გალათასარაი | 20 | 14 | 4 | 2 | 56:20 | 46 |
| ბეშიქთაში | 20 | 13 | 5 | 2 | 35:16 | 44 |
| ტრაბზონი | 20 | 12 | 4 | 4 | 30:20 | 40 |
| ქოჯაელი | 20 | 10 | 4 | 6 | 24:21 | 34 |
| ისთანბული | 20 | 9 | 5 | 6 | 34:25 | 32 |
| ანთალია | 20 | 9 | 4 | 7 | 27:25 | 31 |
| გენჩლერბირ. | 20 | 7 | 7 | 6 | 27:26 | 28 |
| გაზიანთეფი | 20 | 7 | 6 | 7 | 28:30 | 27 |
| ბურსა | 20 | 7 | 3 | 10 | 31:41 | 24 |
| ალთაი | 20 | 7 | 3 | 10 | 28:34 | 24 |
| ანკარაგიუჯიუ | 20 | 7 | 2 | 11 | 25:29 | 23 |
| სამსუნი | 20 | 6 | 3 | 11 | 22:35 | 21 |
| ერზურუმი | 20 | 5 | 6 | 9 | 21:42 | 21 |
| ადანა | 20 | 6 | 2 | 12 | 19:37 | 20 |
| საქარია | 20 | 3 | 5 | 12 | 21:34 | 14 |
| დარდანელი | 20 | 2 | 8 | 10 | 12:27 | 14 |
| ქარაბუქი | 20 | 3 | 3 | 14 | 16:37 | 12 |

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

## ბელგია

XXIII ტური

**სტანდარდი 2:0 შარლერუა**

სტანდარდი: რუნიე, პელერსი, აფოლაბი, კრუზი, რენიე, რემაკლი, ერნსტი, ბლეი (ტიისი 79), ფოლია, დე კონდე (გოდფრუა 58), ემილ მპენზა
1:0 ფოლია (9), 2:0 მპენზა (70)

**ლიერსი 1:2 მუსკრონი**

ლიერსი: მენცო, ბროკენი, ჰოფკენსი, ვან მეირი, პოორტერსი, ლეენი (ვან დე ვეიერი 77), ლარემანსი (ჰუისტრა 46), ზდებელი, სომერსი, ჰუისმანსი (ჰააგდორენი 46), კავენსი
0:1 პიერი (40), 1:1 ჰააგდორენი (63), 1:2 ტანგე (75)

**აალსტი 1:2 გენკი**

1:0 ტიებო (16), 1:1, 1:2 სტრუპარი (22, 26)

**ჰარელბეკი 0:2 ბრიუგე**

0:1 ვერმანი (39), 0:2 ვერპეიენი (56)
ლომელი 0:1 სენტ ტრუიდენი
0:1 ფიერსი (87)

**გენტი 3:1 კორტრაიკი**

1:0, 2:0 ფოგენი (16, 49), 2:1 კეიტა (62), 3:1 ფოგენი (71)

**ოსტენდე 1:1 ბევერენი**

1:0 ვინდელსი (51), 1:1 ნუპიი (82)

ანდერლეხტი — ეკერენი და ლოკერენი — ვესტერლო გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენკი | 23 | 15 | 5 | 3 | 51:26 | 50 |
| ბრიუგე | 23 | 15 | 4 | 4 | 42:22 | 49 |
| მუსკრონი | 23 | 12 | 7 | 4 | 52:35 | 43 |
| გენტი | 23 | 11 | 7 | 5 | 40:38 | 40 |
| სტ. ტრიუდენი | 23 | 11 | 6 | 6 | 32:24 | 39 |
| სტანდარდი | 23 | 12 | 2 | 9 | 37:27 | 38 |
| ლოკერენი | 22 | 11 | 4 | 7 | 46:35 | 37 |
| ანდერლეხტი | 21 | 10 | 5 | 6 | 39:32 | 35 |
| ეკერენი | 22 | 10 | 4 | 8 | 36:32 | 34 |
| ლიერსი | 23 | 10 | 3 | 10 | 43:37 | 33 |
| ვესტერლო | 22 | 9 | 3 | 10 | 43:40 | 30 |
| აალსტი | 23 | 7 | 5 | 11 | 31:41 | 26 |
| ჰარელბეკი | 23 | 6 | 8 | 9 | 29:36 | 26 |
| შარლერუა | 22 | 4 | 9 | 9 | 27:34 | 21 |
| ლომელი | 23 | 5 | 4 | 14 | 23:36 | 19 |
| ბევერენი | 23 | 4 | 5 | 14 | 24:41 | 17 |
| კორტრაიკი | 23 | 3 | 5 | 15 | 32:59 | 14 |
| ოსტენდე | 23 | 2 | 8 | 13 | 21:53 | 14 |

## პორტუგალია

XXII ტური

**ამადორა 0:1 სპორტინგი**

0:1 იორდანოვი (74)

**ბეირა მარი 1:1 შავეში**

1:0 სიმიჩი (9), 1:1 ვანდერლეი (56)

**ფარენსე 1:1 სეტუბალი**

0:1 რუი კარლოში (57), 1:1 კარმო კინგი (73)

**რიუ ავე 1:1 აკადემიკა**

0:1 ლუიშ ფილიპე (23), 1:1 ანდრე ჟაკარე (273)

**მარიტიმუ 1:0 ბენფიკა**

1:0 კრუზი (46)

**ალვერკა 0:0 ბრაგა**

**ლეირია 3:1 კამპომაიორენსე**

1:0 ვისენტე (3), 1:1 კაბრალი (17), 2:1, 3:1 რეინალდო სილვა (69, 79)

**გიმარაეში 3:2 პორტუ**

1:0 რივა სილვა (15), 1:1 ჟარდელი (34), 2:1 ედმილსონი (35), 3:1 სოდერსტრიომი (67), 3:2 ჟარდელი (81)

**ბოავიშტა 2:1 სალგეირუში**

1:0 მელო (33), 2:0 კვამე (53), 2:1 კანდიდო (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 22 | 15 | 4 | 3 | 52:20 | 49 |
| ბოავიშტა | 22 | 14 | 6 | 2 | 37:18 | 48 |
| ბენფიკა | 22 | 14 | 4 | 4 | 47:15 | 46 |
| სპორტინგი | 22 | 11 | 8 | 3 | 40:18 | 41 |
| ლეირია | 22 | 10 | 5 | 7 | 24:17 | 35 |
| ამადორა | 22 | 9 | 7 | 6 | 25:24 | 34 |
| სალგეირუში | 22 | 6 | 10 | 6 | 32:33 | 28 |
| სეტუბალი | 22 | 7 | 7 | 8 | 19:26 | 28 |
| გიმარაეში | 22 | 7 | 6 | 9 | 33:28 | 27 |
| ბრაგა | 22 | 6 | 8 | 8 | 28:39 | 26 |
| მარიტიმუ | 22 | 6 | 7 | 9 | 25:26 | 25 |
| რიუ ავე | 22 | 5 | 8 | 9 | 18:31 | 23 |
| ფარენსე | 22 | 6 | 5 | 11 | 17:34 | 23 |
| ბეირა მარი | 22 | 4 | 11 | 7 | 20:29 | 23 |
| ალვერკა | 22 | 4 | 10 | 8 | 17:27 | 22 |
| შავეში | 22 | 5 | 6 | 11 | 24:38 | 21 |
| კამპომაიორენსე | 22 | 5 | 4 | 13 | 23:38 | 19 |
| აკადემიკა | 22 | 3 | 6 | 13 | 23:43 | 15 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მარიო ჟარდელი (პორტო) | 24 |
| ნუნუ გომეში (ბენფიკა) | 18 |
| ესპიდიო სილვა (ბრაგა) | 12 |
| იონ ტიმოფტე (ბოავიშტა) | 12 |

# მას აღარ შეეძლო

არიგო საკი წავიდა.

იტალიელი მწვრთნელი არა მხოლოდ მადრიდის „ატლეტიკოს", არამედ საერთოდ, ფეხბურთსაც დაემშვიდობა.

— დღეიდან მე „ატლეტიკოს" თავკაცი აღარ ვარ. დავიღალე. მეტი აღარ შემიძლია. ჩემს სამწვრთნელო კარიერას დღეს წერტილი დაესვა — საკი პრესკონფერენციაზე მხიარული მივიდა, თუმცა ეს გარეგნულად ჩანდა, ისე კი ვინ იცის, რა ცეცხლი უდუღდა გულში.

იგი მეექვსე მწვრთნელია ამ სეზონში, პრიმერა დივიზიონის კლუბებს რომ დაშორდა.

— დარჩენას აზრი არ აქვს. მუშაობის საშუალებას არ მაძლევენ. აქ ყველაფერს პრეზიდენტი წყვეტს, გუნდის შემადგენლობასაც — ესეც აწ უკვე მწვრთნელყოფილის სიტყვებია.

... მადრიდის „ატლეტიკოში" საკი გასულ ზაფხულს მივიდა. ხესუს ხილი ხილის კლუბში მან რადომირ ანტიჩი შეცვალა, სწორედ ის პიროვნება, რომელმაც ხილი ხილთან ყველაზე დიდხანს, სამ წელიწადს გაძლო. „ატლეტიკომ" ხილი ხილის პრეზიდენტობის 12 წლის მანძილზე ოცზე მეტი მწვრთნელი გამოცვალა, მიღწევით კი ბევრს ვერაფერს მიაღწია.

ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ატლეტიკო" შინ დამარცხდა. ბოლო ხუთ ტურში მეოთხე მატჩი დათმო, ეს კი საკის თანამდებობის დაკარგვად დაუჯდა. თავის დროზე კლუბსა და მწვრთნელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, ორწლიან თანამშრომლობას რომ ითვალისწინებდა, ერთად მუშაობის მერვე თვეს შეწყდა.

გუშინ, მას შემდეგ, რაც საკის პრესკონფერენცია დასრულდა, მიგელ ანხელ ხილმა, მადრიდის „ატლეტიკოს" გენერალურმა დირექტორმა, ამავდროულად ხესუს ხილი ხილის ვაჟმა, საკის გაშვების მიზეზები დაასახელა. უშედეგობისა და ფეხბურთელებთან ცუდი ურთიერთობის გარდა მან იტალიელს მცდარ სატრანსფერო პოლიტიკაშიც დასდო ბრალი.

საკიმ კლუბის მესვეურთ არაფერი უპასუხა. მსოფლიოს ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი თავკაცი, საკლუბო დონეზე თითქმის ყველა თასსა და ჯილდოს მომგები არიგო საკი, ფეხბურთს დაემშვიდობა.

დღეიდან ფეხბურთი თავისთვის იქნება, საკი თავისთვის.

**ირაკლი ილაშვილი**



**არიგო საკი**

დაიბადა 1946 წლის 1 აპრილს იტალიის ქალაქ ფუზიანანოში
1972: მშობლიური ქალაქის კლუბის მწვრთნელი ხდება
1977: „ჩეზენას" მწვრთნელად ნიშნავენ
1982: სერია C-ს კლუბ „რიმინის" თავკაცი ხდება
1983: გადადის „ფიორენტინას" მეორე კლუბის მწვრთნელად
1984: უბრუნდება „რიმინის"
1985: სერია C-ს კლუბ „პარმაში" გადადის. პირველსავე სეზონში კლუბი სერია B გადაჰყავს.
1986: ქვეყნის თასზე „პარმამ" დაამარცხა „მილანი", საკის კი მილანელთა პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი შეეხმიანა
1987: ინიშნება „მილანის" მწვრთნელად
1988: იგებს იტალიის ჩემპიონატს
1989: საკის ხელმძღვანელობით „მილანი" ჩემპიონთა თასის, ევროპის სუპერთასის, საკონტინენტთაშორისო თასის და იტალიის სუპერთასის მფლობელი ხდება
1990: საკის „მილანი" ზედიზედ მეორედ იგებს ჩემპიონთა, ევროპის სუპერთასს და საკონტინენტთაშორისო თასებს.
1991: ინიშნება იტალიის ნაკრების მწვრთნელად
1994: საკის იტალია მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გადის, იქ კი პენალტების სერიაში ბრაზილიასთან თმობს ტიტულს
1996: ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფიდან ვერგასვლის შემდეგ წლის ბოლოს ნაკრებს ემშვიდობება
1996: უბრუნდება „მილანს"
1997: მიდის „მილანიდან"
1998: 11 მაისს მადრიდის „ატლეტიკოსთან" ორწლიან კონტრაქტს აფორმებს
1999: 15 თებერვალს სტოვებს „ატლეტიკოს"

### მადრიდის „ატლეტიკოს" მწვრთნელები ხესუს ხილი ხილის პრეზიდენტობისას

| | | |
|---|---|---|
| 1987-88 | სეზარ ლუის მენოტი | 8 თვე |
| | ანტონიო ბრიონესი | 6 კვირა |
| 1988-89 | ხოსე მარია მაგურეგი | 3 კვირა |
| | ანტონიო ბრიონესი | 2 თვე |
| | კოლინ ედისონი | 5 თვე |
| | ანტონიო ბრიონესი | 12 დღე |
| 1989-90 | ხავიერ კლემენტე | 6 თვე |
| | ანტონიო ბრიონესი | 10 დღე |
| | ჟაკინ პიერო | 5 თვე |
| 1990-91 | სანტოს ოვეიერო | 1 კვირა |
| | ტომისლავ ივიჩი | 9 თვე |
| | სანტოს ოვეიერო | 10 დღე |
| 1991-92 | ლუის არაგონესი (პირველი მწვრთნელი ხესუს ხილი ხილის პრეზიდენტობისას, რომელმაც „ატლეტიკოს" ერთი სეზონის მანძილზე უთავკაცა"). | 19 თვე |
| 1991-93 | სანტოს ოვეიერო | 6 დღე |
| | ომარ პასტორისა | 5 კვირა |
| | სანტოს ოვეიერო | 6 დღე |
| | კაჩო ერედია | 3 თვე |
| 1993-94: | უაირ პერეირა | 3 თვე |
| | კაჩო ერედია | 18 დღე |
| | ემილიო კრუსი | 2 თვე |
| | ხოსე ლუის რომერო | 5 კვირა |
| | სანტოს ოვეიერო | 4 კვირა |
| | ჟორჟ დ ალესანდრო | 7 კვირა |
| 1994-95 | პაჩო მატურანო | 3 თვე |
| | ჟორჟ დ ალესანდრო | 7 კვირა |
| | ალფიო ბასილე | 3 თვე |
| | კარლოს აგუიარი | 10 დღე |
| 1995-98 | რადომირ ანტიჩი | სამი სეზონი |
| 1998-99 | არიგო საკი | 8 თვე |


# საარბიელი
## სპორტული ლატარია
## "CROCO"

**ინგლისის ჩემპიონატი.** პრემიერლიგა

17 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — ლიდსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ჩელსი — ბლექბერნი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| ევერტონი — მიდლსბრო | 2,1 | 2,9 | 3,8 |
| მანჩესტერი — არსენალი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ნიუკასლი — ქოვენთრი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

**ინგლისის ჩემპიონატი.** I დივიზიონი

16 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნორვიჩი — ბარნსლი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| უოტფორდი — ჰადერსფილდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატი**

17 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰერენვენი — აიაქსი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ნაიმეგენი — ტილბურგი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ვალვაიკი — სიტარდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვიტესი — ბრედა | 1,1 | 6,0 | 12,0 |

18 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი — ტვენტე | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**შოტლანდიის ჩემპიონატი**

17 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — კილმარნოკი | 1,35 | 3,8 | 7,0 |

**ინგლისის ლიგის თასის ნახევარფინალი.** საპასუხო მატჩები

16 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| უიმბლდონი — ტოტენჰემი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

17 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლესტერი — სანდერლენდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

**იტალიის თასის ნახევარფინალი.** პირველი მატჩები

17 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ინტერი — პარმა | 1,5 | 3,2 | 6,5 |

18 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლონია — ფიორენტინა | 2,3 | 2,8 | 2,9 |

**ესპანეთის თასის მეოთხედფინალი.** პირველი მატჩები

17 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარსელონა — ვალენსია | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| რასინგი — რეალი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| მალიორკა — დეპორტივო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ატლეტიკო — ესპანიოლი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

**პორტუგალიის თასის მეხუთე წრე**

16 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეცა — ლეირია | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| ბოავიშტა — ფარენსე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| სეტუბალი — ბენფიკა | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| პორტუ — ტორენსე | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| პენაფიელი — კამპომაიორენსე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| მარიტიმუ — სალგეირუში | 1,3 | 3,0 | 4,0 |
| ბეირა მარი — პორტუმოსენსე | 1,05 | 8,0 | 14,0 |

**თურქეთის თასის ნახევარფინალი.** პირველი მატჩები

17 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| საქარია — გალათასარაი ($15^{00}$) | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| ანკარაგიუჯუ — ბეშიქთაში | 4,0 | 3,0 | 1,8 |

**ჰოკეი. NHL**

16 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფინიქსი — ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |

17 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბუფალო — ტორონტო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ნიუ ჯერსი — ტამპა ბეი | 1,1 | 4,4 | 6,5 |
| აილენდერსი — პიტსბურგი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| რეინჯერსი — მონრეალი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| დეტროიტი — სან ხოსე | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ჩიკაგო — ვანკუვერი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| დალასი — ფლორიდა | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ანაჰაიმი — ედმონტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 |

18 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ოტავა — ბოსტონი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ფილადელფია — მონრეალი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| კაროლინა — ვაშინგტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| სენტ ლუისი — ფლორიდა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ლოს ანჯელესი — ედმონტონი | 1,9 | 4,4 | 2,1 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# გჯეროდეს შენი, ოღონდ სხვაც დააფასე

ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო




ვითა — თსუ. თავისიანთაგან ყველაზე შედეგიანები ვითელი ნუგზარ კოკოლიშვილი (14) და თსუელი გოჩა წოწელია იყვნენ

13 თებერვალი
თბილისი
ვერის ბაღი
15 ტური

**ვითა 80:85 თსუ**

I ტაიმი 36:36
ვითა: ჩუბინიძე (9), კოკოლიშვილი (25), ორმოცაძე (17), ახალკაცი, კორძაძე (10), ვაშაკიძე, აბრამიძე (19)
თსუ: ვეფხვაძე (3), დიმიტრიადი (8), წოწელია (21), მარკოიშვილი (10), ხელაშვილი (12), არსიაშვილი (19), მშვილდაძე, მგალობლიშვილი (12)
მსაჯები: როლანდ ხომერიკი, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

ბოლო ხანს სტუდენტური გუნდის წარუმატებლობაზე არაერთხელ გვითქვამს, იქვე იმასაც ვამბობდით, ადრე თუ გვიან თსუ ჩვეულ სახეს დაიბრუნებსო. ლოდინი დიდხანს არ გაგრძელებულა და ეს გუნდი რომ ნებისმიერისთვის კვლავაც ანგარიშგასაწევ ძალად რჩება, თვით მრისხანე „ვითას" ძლევით დაამტკიცა. არადა, ვითელები სწორედ მოედანზე დაუმარცხებელის რეპუტაციით იწონებდნენ თავს.

ბოლოდროინდელი უიღბლობის შემდეგ სტუდენტთა ეს გამარჯვება ერთიორად ფასობს. ერთი რომ, ბოლოს და ბოლოს დანავსული სერია გატეხეს, რაც მათ საკუთარი ძალების რწმენას შეჰმატებს და მომავალი ბრძოლებისთვისაც იმედიანად განაწყობს, მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ ექვსგზის ჩემპიონთა დამარცხებით სათავისოდ მოაბრუნეს კლუბის გულშემატკივრები, რომელთაც წინა ტურში „აზოტისგან" ძლევით დაგროვილი ბოღმა ჯერაც ყელში ჰქონდათ გაჩხერილი.

შეხვედრა თავიდანვე სტუდენტთა უპირატესობით დაიწყო. მართალია, პირველი ბურთი საკუთარ კალათში მიიღეს, მაგრამ შემდეგ მწყობრად შეუტიეს, ხისტი ზონური დაცვაც შეაგებეს მეტოქეთ და ოდისეი დიმიტრიადის გარღვევით შვიდი ქულით დაწინაურდნენ 9:2. „ვითამ" ხერხი იხმარა, ზონური დაცვის საწინააღმდეგო ელემენტი, სწრაფი პასი აამოქმედა, რის შედეგადაც რიგრიგობით რჩებოდნენ სასროლ პოზიციაში ჩუბინიძე და ორმოცაძე, მაგრამ შორი სროლები ჩემპიონებს აშკარად არ მისდიოდათ და მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ წუთშესვენება ითხოვა, რითაც მეტად საჭირო ცვლილებები შეიტანა თამაშში. კერძოდ, ცენტრი გულივერ ახალკაცი შეცვალა მამუკა აბრამიძით, რომელსაც გამთამაშებლობა დაავალა, მანამდე ამ პოზიციაზე მოთამაშე ზურაბ ჩუბინიძე კი აბრამიძის დამხმარედ გაამწესა. ყოველივემ შედეგი გამოიღო, ვითელები ჩვეულად ათამაშდნენ და ტაიმის შუაგულისთვის თანაფარდობაც აღადგინეს 19:19. მათ დაწინაურებაც შეეძლოთ, მაგრამ ლევან მგალობლიშვილმა აღარ დაანებათ, რომელიც დროულად ჩართო თამაშში ნოდარ ქორქიამ. მგალობლიშვილის ზედიზედ ორ გარღვევას, წოწელიას ზუსტი სამიანი მიაშველა, მარკოიშვილმაც ხელი გამოიღო და თსუ ახლა ცხრა ქულას იგებს — 34:25, თუმცა საწინააღმდეგო მხრიდან კოკოლიშვილი გააქტიურდა ძალიან, რომელმაც მცირე მონაკვეთში თავის წილად შვიდი ქულა დააგროვა, ხოლო აბრამიძის მცდელობით სულაც აღმოიფხვრა ორი წუთის წინანდელი ცხრაქულიანი ჩამორჩენა.

სანახაობრივი პირველი ტაიმის შემდეგ მაყურებელ არც მეორე ნახევარში გაცრუებია იმედები. შეხვედრა დაძაბულადვე გაგრძელდა და ვერც ერთი ახერხებდა უპირატესობის მოპოვებას. „ვითა" კვლავაც კოკოლიშვილის და აბრამიძის მეცადინეობით გადიოდა იოლას, რომელთაც აშკარად აკლდათ ტრავმირებული ალეკო დავითულიანი. სტუდენტთაგან კი დიმიტრიადი-წოწელიას დუეტი მოქმედებდა ერთობ შეხმატკბილებულად.

არცთუ სრულფასოვანი სათადარიგო სკამის გამო თსუ-ს დაღლა დაეტყო, რაც ჩემპიონებმა გამოიყენეს და შეხვედრის დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე თორმეტი ქულით „გაექცნენ" მეტოქეს — 68:56. ეს იყო და, ფავორიტმა ვითელებმა თავი დაიარხეინეს, საქმე მოთავებულად ჩათვალეს, რაც სტუდენტებისთვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა მატჩის ბედის შემოსაბრუნებლად. გუნდის გაძღოლა ლევან მგალობლიშვილმა ითავა, რომელიც პირველი ტაიმის მსგავსად ახლაც დროულად და ეფექტურად ჩაება თამაშში. მისმა მონდომებამ თანაგუნდელებს მატჩის გადარჩენის რწმენა ჩაუსახა და ფრთაშესხმულებმა სამწუთეული 11:0 მოიგეს. „ვითას" თორმეტქულიანი უპირატესობაც შეხვედრის ბოლოს თვალსა და ხელს შუა გაქრა 70:70.

შეხვედრის დამთავრებამდე ორი წუთილა რჩებოდა, როცა სტუდენტთა მორიგი შეტევა მგალობლიშვილმა უმნიშვნელოვანესი სამიანით დაასრულა, ამას მალე გარღვევაც დაამატა და ჩემპიონებმაც წაგებას თვალებში ჩახედეს, თუმცა აბრამიძის საპასუხო სამიანით სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს 79:78.

თსუ-დან კი კვლავაც ლევან მგალობლიშვილმა გამოიდო თავი, რომელმაც, სამი მცველის გარემოცვაში მოქცეულმა, შეტევისთვის განკუთვნილ ბოლო წამზე მართლაც რომ სასწაულებრივი სამიანი ჩააგდო, რითაც თავისიანებს ის ოთხქულიანი უპირატესობა შესძინა, რამაც ჩემპიონებს ნირიც წაუხდინა და მარცხის სიმწარეც პირველად აგემა.

**გიორგი გიქაშვილი**

# თორთლაძემ ორივე კურდღელი დაიჭირა

13 თებერვალი
თბილისი
ვერის ბაღი
15 ტური

**სდასუ 81:72 ასკ**

I ტაიმი 37:19
სდასუ: თორთლაძე (21), უძილაური (15), გიგაური (16), აბულაძე (8), გიგაშვილი (4); მაჭარაძე (11), ორჯონიკიძე (6), ქევხიშვილი
ასკ: აკოლაშვილი (15), ჭყონია (16), პაპასკირი (6), ფსუტური (6), ნუცუბიძე (17); გელაშვილი (4), ნათაძე (6), ჩხაიძე (2), უჩუმბეგაშვილი, ალავიძე
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, ზაზა მაჩალაძე
დელეგატი: მურმან ქურიძე

წინა შეხვედრისგან განსხვავებით, სდასუელებმა მატჩი კარგად ჩაატარეს და უმწვრთნელოდაც ადვილად დაამარცხეს არმიელთა გუნდი. ნუგზარ კანდელაკის მოვალეობის შესრულება სტუდენტთა ლიდერმა, დავით თორთლაძემ ითავა და საქმეს კარგადაც გაართვა თავი — შეცვლებიც დროული გააკეთა და კარგი თამაშითაც დიდი დახმარება გაუწია გუნდს. არმიელებმა კი, შეიძლება ითქვას, ყველაზე უარესი თამაში აჩვენეს. ახალგაზრდულმა გუნდმა ვერაფერი გააწყო ამ მატჩში, თანაც მათ მწვრთნელიც ჰყავდათ და წინა შეხვედრაში შემონახული ძალებიც დავით აკოლაშვილის სახით. მათ პირველ წრეში „შევარდენის" ანტირეკორდი გაიმეორეს (პირველ ტაიმში მხოლოდ 19 ქულა დააგროვეს). აქედან გამომდინარე, მატჩის სანახაობრივი მხარე, თანაც ვითა — თსუ-ს საინტერესო შეხვედრის კვალობაზე, ძალიან დაბალი იყო.

მატჩის დასაწყისში არავის ეგონა, რომ არმიელები უბრძოლველად დანებდებოდნენ სდასუ-ს, რადგან შეხვედრის პირველი წუთები აქტიურად ჩაატარეს, ოთხი უპასუხო ქულა ჩააგდეს და დაწინაურდნენ კიდეც. ამას დავით თორთლაძის კარგი თამაში მოჰყვა. მან ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი წინაც გაიყვანა გუნდი. არმიელთა საპასუხო მცდელობები ამაო იყო. ლადო აბულაძემ ზედიზედ 8 ქულა მიითვალა, დავით თორთლაძე და შოთა უძილაურიც ზუსტად აგვირგვინებდნენ სწრაფ შეტევებს და ტაიმის შუაგულში ანგარიში 25:12-ია სდასუ-ს სასარგებლოდ.

მე-13 წუთის შემდეგ არმიელებმა 7 ქულის ჩაგდებაღა მოახერხეს. მათი წამოწყებული კომბინაციების უმეტესობა ელემენტარული შეცდომებით მთავრდებოდა. ახალგაზრდები ხშირად შეტევაში ჯარიმდებოდნენ, არღვევდნენ გარბენის წესს, რამდენჯერმე ფარქვეშიდანაც ვერ ივარგეს.

მეორე ნახევარში არმიელები გამოცოცხლდნენ, მთელ მოედანზე პრესინგს მიმართეს და სხვაობა 9 ქულამდე დაიყვანეს, თუმცა გამოცდილებამ თავისი გაიტანა. სდასუ აუღელვებლად თამაშობდა. გიგაურმა ორჯერ ჩააგდო და მეტოქე ისევ ჩამოიშორა.

არმიელები დროდადრო ამცირებდნენ ანგარიშს, მეორე ნახევრის მე-8 წუთზე ჭყონიას სამქულიანმა კი გუნდს იმედიც ჩაუსახა. ამან სდასუ გამოაფხიზლა — თორთლაძემ უმალ უპასუხა მეტოქეს, შემდეგ მაჭარაძემაც მოათავსა ბურთი და ჯარიმაც ზუსტად შეასრულა. არმიელები საბოლოოდ გატყდნენ და მეორე ნახევრის მე-10 წუთიდან შეხვედრამ ინტერესი დაკარგა. სდასუელები ბურთს 30 წამის განმავლობაში ათამაშებდნენ, არმიელებმა კი ბრძოლა შეწყვიტეს...

**ზურაბ გონაშვილი**

# მაკაბიმ შური იძია

14 თებერვალი
თბილისი
ვერის ბაღი
15 ტური

**კოლხა 84:92 მაკაბი**

I ტაიმი 32:50
კოლხა: ბ. ბერიშვილი (30), ბერია, კვაჭაძე (19); ვ. ქვილითაია, უგრეხელიძე (20); კეიდია (9), ბ. ქვილითაია, თოდუა (8), ძიძიგური (2)
მაკაბი: დ. ბერიშვილი (22), ი. ბერიშვილი (23), ტალაბაძე (12), მჭედლიშვილი (8), ფერიაშვილი (18); რიჟინაშვილი, ლასარეიშვილი (8)
მსაჯები: როლანდ ხომერიკი, ზურაბ აბაშიძე
დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

მატჩის ანონსში ტყუილად არ გვიხსენებია მოგვარე გამთამაშებელთა, ბერიშვილების მოსალოდნელი პაექრობა. ისიც ვივარაუდეთ, მაკაბელ ტყუპისცალს, ირაკლის ტრავმირებული დავითიც თუ წაეხმარა, უპირატესობა ძმებს დარჩებათო. თავის მხრივ კოლხმა ბერიშვილმაც არაფერი დათმო, შედეგიანობით (30 ქულა) ორივე გუნდიდან ყველაზე საუკეთესოც იყო, მაგრამ მოგვარეთა დუელში გამარჯვებულნი მაინც ძმები დარჩნენ. „მაკაბიმაც" წინა წრეში განცდილი მარცხისთვის შურიც იძია და სატურნირო ცხრილში მდგომარეობაც გაიუმჯობესა.

მატჩი თავიდანვე დაძაბულად დაიწყო. მეტოქეები ერთურთს გაფთრებით ეკვეთნენ. კოლხები დაწინაურდნენ კიდეც, თუმცა ამას მაკაბელთა ხშირმა ჯარიმებმაც შეუწყო ხელი და იმანაც, რომ კვაჭაძე-უგრეხელიძეც ზუსტად ისროდნენ საჯარიმოებს. „მაკაბი" 7 გუნდური ჯარიმის მიღების შემდეგ დაწყნარდა, მოთამაშეებიც უფრო დალაგებულად ირჯებოდნენ და მონდომებაც მალე დაუფასდათ. თბილისელთა გააზრებულ თამაშს სოხუმელი სტუდენტები პრესინგს უპირისპირებდნენ, მაგრამ გამოცდილება თავისას აკეთებდა და მაკაბელებიც ნელნელა ზრდიდნენ ანგარიშში სხვაობას.

თამაშის შემოსაბრუნებლად „კოლხას" მწვრთნელის მოწადინებაც ფუჭი გამოდგა. ვაჟა კვარაცხელიამ საქმე ვერც ხშირი შეცვლებით გამოასწორა და ვერც წუთშესვენებით. კოლხები ძველებურად აგრძელებდნენ, „მაკაბი" კი ტალაბაძისა და ირაკლი ბერიშვილის მონდომებით თვალშისაცემად გაიჭრა წინ 36:21. კოლხთაგან მხოლოდ ბუბა ბერიშვილი აქტიურობდა. ეს ბიჭი მაკაბელთა შეტევებსაც ეულად შლიდა და თავდასხმაშიც მარჯვობდა, მაგრამ...

მეორე ნახევარშიც მედგრად შეუტიეს მაკებელებმა მიძინებულ კოლხებს და ტყუპთა სამიანების შემწეობით ანგარიშში სხვაობა კვლავაც სოლიდური იყო 61:39.

მატჩის მიწურულს „კოლხას" მწვრთნელმა თითქოს ოპტიმალურ ხუთეულს მიაგნო და მატჩის გადარჩენის შანსიც მიეცათ, მაგრამ „მაკაბი" არაფრის დათმობას არ აპირებდა და შედეგიც ღირსეულად მოიმკო.

**მამუკა ტულუში**

საქართველოს ჩემპიონატი
15 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 14 | 14 | 0 | 1189:994 | 28 |
| სტუ | 15 | 13 | 2 | 1182:1064 | 28 |
| ვითა | 15 | 10 | 5 | 908:819 | 24 |
| თსუ | 15 | 9 | 6 | 1242:1209 | 24 |
| დინამო | 14 | 8 | 6 | 1117:1107 | 22 |
| სდასუ | 15 | 7 | 8 | 1083:1145 | 22 |
| მაკაბი | 15 | 4 | 11 | 1133:1204 | 19 |
| შევარდენი | 15 | 4 | 11 | 1053:1186 | 19 |
| კოლხა | 15 | 4 | 11 | 1069:1217 | 19 |
| ასკ | 15 | 1 | 14 | 494:525 | 16 |

ვითას დაკლებული აქვს 1 ქულა

# შენ ზევითა ხარ, მე ქვევით...

13 თებერვალი
თბილისი
ვერის ბაღი
15 ტური

**სტუ 90:66 შევარდენი**

I ტაიმი 38:35
სტუ: დ. მოისწრაფიშვილი (7), ტულუში (11), ლოსაბერიძე (11), ცქიტიშვილი (22), მინაშვილი (15); ჩავლეიშვილი (9), სუხიაშვილი, ჩერქეზიშვილი (6), ნაცვლიშვილი (5), ცხვედიანი (4)
შევარდენი: კაზანჯიანი (15), განიძე (18), მაჭავარიანი (8), ა. მოისწრაფიშვილი (14), ღვინეფაძე (4); კერძაია, მესხი (7)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

რა შეიძლება დაიწეროს მატჩზე, რომელშიც ყველაფერი წინასწარ იყო გარკვეული? გამარჯვებაში დარწმუნებული მეორეადგილოსნები თავს დიდად არ იტკიებდნენ და მეტოქეს საკმაო გასაქანს აძლევდნენ. „შევარდენმაც" ძალიან მოინდომა, იბრძოლა, მაგრამ მაინც დამარცხდა. თუმცა, ასე რომ იქნებოდა, არც გვეეჭვებოდა.

შეხვედრა სტუდენტების შეტევებით დაიწყო. ერთი ეგაა, დაცვას დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ და შევარდნელებს ზუსტი სამიანებით სხვაობის შემცირების საშუალებას აძლევდნენ. ტაიმის შუაწელში სტუ-მ ნაცადი პრესინგი გაიხსენა და მეტოქის კონტრიერიშებზე წამოგება სცადა. განსაკუთრებით უკანახაზელები ტულუში და მინაშვილი აქტიურობდნენ, სხვაობაც საგრძნობი გახდა 30:18. „შევარდენი" იხტიბარს არ იტეხდა და შორიდან სროლებზე გადაერთო. კაზანჯიანსაც წაუვიდა ზუსტი სამიანები და თანაგუნდელებიც გამოაცოცხლა. ტაიმის მიწურულს სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა 32:30. სტუ კი მოწინააღმდეგის გააქტიურებას აინუნშიც არ აგდებდა, მცირედითაც კმაყოფილდებოდა და ტაიმიც სამქულიანი უპირატესობით დაასრულა.

მეორე ნახევარის დასაწყისში „შევარდენმა" დაცვას მიხედა და კაზანჯიანის შორიდან სროლის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა. თავდაჯერებული სტუდენტები კი არხეინად ირჯებოდნენ და გაცუდებული შეტევის მერე საკუთარ ნახევარზე დაბრუნებასაც არ ჩქარობდნენ, რის გამოც ტულუშს მარტოს უწევდა შევარდენელებთან გამკლავება. ეს უკანასკნელიც თავს არ ზოგავდა და მოჭარბებულ მეტოქეებთან ბრძოლაში ხშირადაც ხეირობდა. თუმცა ჯარიმებიც მოუმრავლდა და მალე შესაცვლელი გახდა. გამოცდილმა ჩერქეზიშვილმა თანაგუნდელები მალე მოიყვანა ბრძოლის იშტაზე — სტუელებმა ტემპს უმატეს და წინაც გაიჭრნენ. მათ კომბინაციურ სვლებსა და ეფექტურად ჩაგდებულ ბურთებს უხშირეს. განსაკუთრებით ცენტრი მინაშვილი გამოირჩეოდა, რომელმაც სამჯერ ჩატენა. ყველაფერმა ამან „შევარდენი" დააბნია და არაზუსტმა გადაცემებმა და ფუჭმა შეტევებმაც არ დააყოვნა. ამას ხშირი დაჯარიმებაც დაემატა, რასაც სტუ მშვენივრად იყენებდა და 17 ქულითაც დაწინაურდა (76:59). „შევარდენმა" კიდევ ერთხელ გაიბრძოლა, აკაკი მოისწრაფიშვილმა ზედიზედ ორი სამიანი მიითვალა, მაგრამ სხვები ვერ აჰყვნენ. ყველაფერმა ერთად იჩინა თავი — დაღლამ, სიმაღლეში ჩამორჩენამ და სტუდენტებმაც ბოლომდე შეიშნოვეს მოედანზე ბატონობა.

**აჩიკო გელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი
15 ტური

## საუკეთესო მოთამაშე

### ლევან მგალობლიშვილი
### -თსუ-

ექვსგზის ჩემპიონ „ვითას" დამარცხება ლევან მგალობლიშვილმა ითავა სწრაფი გარღვევებითა და დროული სამიანებით ამ სეზონში მოედანზე დაუმარცხებელი მრისხანე მეტოქე პირველად დაამწუხრა, თსუ-ს კი სენსაციური გამარჯვება მოაპოვებინა.



**— ლევან, ის, რაც მატჩის ბოლო წუთზე მოიმოქმედე, სხვა თუ არაფერი, დიდად სარისკო იყო. ნასროლი რომ გაგცუდებოდა?**

— საქმე ისაა, რომ შეტევისთვის განკუთვნილ ბოლო წამზე ვესროლე. სხვა გზა აღარ მქონდა, პასიც აღარ ესწრებოდა, ჰოდა, მეც გავრისკე...

**— რაც მთავარია, მიზანსაც მიაღწიე, თანაც ძალიან რთული პოზიციიდან, ბოლო-ბოლო, სამი მცველის გარემოცვაში იყავი.**

— ალბათ, იღბალიც ჩემსკენ იყო, სხვას ვერაფერს მივაწერ. ისიც გაითვალისწინე, რომ ბოლო ორი თვე საერთოდ არ მივარჯიშია, პირადული პრობლემები მქონდა. რაღა დაგიმალო და, დაოჯახებას ვაპირებ.

**— ეგ ძალიან კარგი და მალეც მოგველოცოს, მაგრამ კალათბურთელი მგალობლიშვილის მიზნებსა და საფიქრალზეც გვითხარი.**

— კალათბურთს ბავშვობიდან ვთამაშობ და, ბუნებრივია, ამბიციებიც მაქვს, თუმცა ჯერაც ბევრი უნდა ვიმუშავო.

**— ალალად გეტყვი, ბურთს ძნელად ელევი...**

— მიგიხვდი, რასაც გულისხმობთ. პასის მიცემა ნაღდად მიჭირს, ალბათ, იმიტომ, რომ ეს კომპონენტი არცთუ ხარისხიანად გამომდის, ანაც თავის დროზე ვარჯიში დავაკელი.

**— უსაშველო არაფერია, თუ მოინდომებ, ამასაც მოევლება, შენ ის თქვი, თსუ რა მიზნებს ისახავს წლეულს?**

— თავიდანვე ოთხეულს ვუმიზნებდით. თითქოს ყველაფერი კარგადაც აეწყო, მაგრამ ნიკა ცქიტიშვილის სტუ-ში წასვლის შემდეგ ცენტრის პოზიციაზე გარკვეული პრობლემები შეგვექმნა.

ერთს გეტყვით, თუ გუნდის ხელმძღვანელობა ამ ამპლუის მოთამაშეს დროულად შემოგვაშველებს, მერწმუნეთ, შედეგით არ დააზანებს.

**ვალერი მუსერიძე**

# პეიტონი თამაშს არავის აცლის

## მათ შორის სტეფანიასაც, რომელმაც გახურებაც ვერ მოასწრო



სიეტლი — დენვერი. სიეტლელ ვინ ბეიკერს (42) ანტონიო მაკდაიესი უფარებს

13 თებერვალი

**სიეტლი 105:92 დენვერი**

**სიეტლი:** პეიტონი (28), ლუისი (8), შრემპფი (8), ბეიკერი (14), პოლინაისი (8); ჰოკინსი (20), ელისი (17), უილიამსი (2), ნორისი, სტეფანია

**დენვერი:** ლაფრენცი (17)

დენვერის ახალბედა რიფ ლაფრენცმა გააგრძელა სოლიდურად ჩატარებული მატჩების სერია და თავისიანებში ყველაზე შედეგიანიც იყო, მაგრამ სიეტლს ვერც მან მოუხერხა რამე და ვერც წინა თამაშში დალასთან თავგამოჩენილებმა ვან ექსელმა და მაკდაიესმა. პირველი გამარჯვებით ფრთაშესხმულ დენვერს წარმატების გამეორება სურდა და პირველი ნახევრის ბოლოს 41:34 წინაც იყო, მაგრამ სიეტლმა მეტოქეს დაანახა, რომ იგი დალასი არაა და დარჩენილი სამწუთიანი მონაკვეთის 21:3 მოგებით ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.

თავისი მეორე მატჩი ითამაშა ქართველმა ვლადიმერ სტეფანიამ. მწვრთნელმა პოლ ვესტფოლმა იგი მატჩის ბოლოს შეუშვა მოედანზე, მაგრამ სამწუხაროდ, გახურებაც არ აცალა და ერთი წუთის შემდეგ ისევ სათადარიგოთა სკამზე დასვა. დღესდღეობით სიეტლში მხოლოდ ერთ კაცზე — გერი პეიტონზე ლაპარაკობენ, რომელმაც არათუ ქართველი, არამედ გუნდის სხვა ლიდერები, ვინ ბეიკერი და დეთლეფ შრემპფიც, დაჩრდილა. მან მეხუთე მატჩი ჩაატარა ჩინებულად და 28 ქულას 16 პასი, 9 მოხსნა, 4 ჩაჭრა და გუნდის ერთადერთი დაფარებაც დაუმატა, მისმა სიეტლმა კი ზედიზედ მეხუთე შეხვედრა მოიგო, რაც 1993 წლის შემდეგ კლუბის საუკეთესო შედეგია. გააგრძელებს თუ არა სიეტლი ამ სერიას, ძნელი სათქმელია, რადგან მომდევნო თამაშში მასავით ზედიზედ ხუთი მატჩის მომგებ და წინანდელ მეტოქეებზე ერთი თავით მაღლა მდგომ იუტას ხვდება. სიეტლი მას შინ 16 თებერვალს შეერკინება.

12 თებერვალი

**ფილადელფია 94:98 სან ანტონიო**

**ფილადელფია:** აივერსონი (46)

**სან ანტონიო:** როუზი (22)

ფილადელფიაში სან ანტონიომ მოიგო, მაგრამ მისმა ახალგაზრდა სუპერთავდამსხმელმა ტიმ დანკანმა ჩვეულად ვერ გაიბრწყინა. იგი მხოლოდ 15 ქულას დასჯერდა, მეორე ნახევრის დასაწყისში კი მეექვსე პერსონალური მიიღო და სულაც მაყურებლებში გადაინაცვლა. ვერც დევიდ რობინსონმა გამოიდო მაინცდამაინც თავი. მანაც იმდენი მოინაგრა, რამდენიც დანკანმა და მას შემდეგ, რაც ფილადელფიელებმა მეხუთე პერსონალური მიალებინეს, მოედანზე შეუმჩნეველი გახდა. სან ანტონიოს ვინმე მალიქ როუზმა მოაგებინა, რომელმაც 22 ქულით კარიერის რეკორდი დაიმყარა. ამ სათადარიგო კალათბურთელს თავის გამოჩენის მიზეზიც ჰქონდა — იგი წარმოშობით თურმე ფილადელფიის მეზობელი პატარა ქალაქიდანაა და მისი თამაშის საყურებლად მისული ოჯახის წევრებისა და მეგობრებისთვის ერთბაშად 64 ბილეთი უყიდია. მალიქმა ახლობლების წინაშე თავი არ შეირცხვინა, მატჩის შემდეგ კი თანაგუნდელებიც დიდი მადლიერებით მოიხსენია, პასები არ მომაკლესო. წაგება წაგებად, მაგრამ ფილადელფიაში მართლაც შეუდარებელი იყო ალენ აივერსონი, ვინაც 46 ქულას მოუყარა თავი. გასაკვირია, რომ ფილადელფიის მიერ მოგებულ წინა სამ მატჩში აივერსონი არაფრით გამორჩეულა, მის გუნდს კი აივერსონის გარდა ხეირიანი კალათბურთელი არც ჰყავს.

**დენვერი 100:94 დალასი**

**დენვერი:** ვან ექსელი (27), მაკდაიესი (23)

**დალასი:** ფინლი (28)

თავისი ლიდერების — ვან ექსელის, მაკდაიესის და ახალბედა რიფ ლაფრენცის (18 ქულა, 12 მოხსნა) ძალისხმევით დენვერმა სეზონში, ხოლო მისმა მწვრთნელმა მაიკ დანტონიმ კარიერაში პირველი გამარჯვება იზეიმეს. დენვერს დალასთან გამკლავება მაინცდამაინც არ გასჭირვებია და პირველი ნახევრის 15 ქულით მოგებით საქმე ადრევე მოაგვარა.

**გოლდენ სტეიტი 81:97 იუტა**

**გოლდენ სტეიტი:** კამინგსი (16)

**იუტა:** მელოუნი (35 ქულა, 12 მოხსნა)

იუტას არასდროს არ უჭირდა, სანფრანცისკოელ „მეომრებთან" თამაში და არც ახლა შექმნია რაიმე პრობლემები. თავისი ლიდერის კარი მელოუნის გარჯის წყალობით „იუტა ჯაზმა" ლაღად და დაუძაბავად ჩაატარა მთელი მატჩი და ჩემპიონატის სტარტზე ზედიზედ მეხუთე გამარჯვებით კლუბის კარიერის რეკორდი დაამყარა.

13 თებერვალი

**ფინიქსი 107:104 კლიპერსი**

**ფინიქსი:** ჩეპმენი (23), რობინსონი (23), გულიოტა (20 ქულა, 10 მოხსნა)

**კლიპერსი:** მიურეი (26), ტეილორი (25)

ფინიქსმა კლიპერსს ამ სეზონში უკვე მეორედ სძლია, თუმცა გვარიანად ინერვიულა. ზედიზედ სამ მატჩში დამარცხებული სტუმრები თავდადებით იბრძოდნენ და თამაშის ოვერტაიმში გადაყვანა მოახერხეს, თუმც იქ რექს ჩეპმენი ელოდათ. წინა შეხვედებში ჩაფლავებულმა ჩეპმენმა, ჩვეულებისამებრ, მატჩის ბოლოს გამოიდო თავი და ოვერტაიმში თავისი გუნდის 14 ქულიდან 12 თავის ანგარიშზე ჩაიწერა.

14 თებერვალი

**ლეიკერსი 99:101 ინდიანა**

**ლეიკერსი:** ონილი (36 ქულა, 17 მოხსნა)

**ინდიანა:** მილერი (26)

ინდიანას, ლეიკერსის დარბაზ „ინგლვუდში" 1992 წლის აქეთ არ მოეგო და ახლა დაძაბულ ბრძოლაში, როგორც იქნა, ნავსი გატეხა. კვლავ შეუდარებელი იყო მასპინძელთა სუპერცენტრი შაკილ ონილი, მაგრამ მისი ბენეფისი მატჩის დასასრულს შეწყდა. ბოლო ხუთ წუთში, მაშინ, როდესაც ლოსანჯელესელებს განსაკუთრებით სჭირდებოდათ ამ გიგანტის ძალისხმევა, ონილმა ტრადიციულად ჩამოყარა ყურები და მხოლოდ ერთი საჯარიმო ჩააგდო. სამაგიეროდ, როგორც ყველა დაძაბული მატჩის ბოლოს, შეუდარებელი იყო ინდიანას ლიდერი რეჯი მილერი, ვინაც ამ ბოლო ხუთ წუთში თავის გუნდისთვის ესოდენ საჭირო ექვსი ქულა გააზერხა. მისმა კლუბმა ბოლო 13 წამში ოთხი საჯარიმო ჩააგდო და 100:96 დაწინაურდა. თავისიანების გადასარჩენად ისევ ყმაწვილკაცმა კობი ბრაიანტმა (18 ქულა) გაიბრძოლა — სამი აცილებული სამქულიანის შემდეგ გარისკა და 4,8 წამით ადრე ესროლა და მიზანსაც მიაღწია, თუმცა ეს იყო და ეს. ლეიკერსმა მეტი ვერაფერი მოახერხა და ექვსი შეხვედრიდან მესამე წააგო.

**გოლდენ სტეიტი 105:100 პორტლენდი**

**გოლდენ სტეიტი:** კამინგსი (24)

**პორტლენდი:** საბონისი (23 ქულა, 17 მოხსნა)

როგორც იქნა, ზედიზედ ხუთი მარცხით შეჭირვებულმა „გოლდენ სტეიტმაც" გაიხარა და ამისთვის ორი ოვერტაიმი დასჭირდა. გუნდში ისევ და ისევ ნიუ იორკიდან გადასული სამი მოთამაშე გამოიჩრა: ვეტერანმა, ორმოცს მიტანებულმა ტერი კამინგსმა ყველაზე მეტი ქულა მოუტანა „ვორიორზს", კარგი იყო სტარქსიც (18 ქულა). მათზე გაცილებით ახალგაზრდა კრის მილზი, მართალია, ჩამორჩა ამ წყვილს და მხოლოდ 13 ქულა გააკეთა, მაგრამ მეორე ოვერტაიმის ბოლო წამებზე სამქულიანით მატჩის ბედი გადაწყვიტა.

**კლიპერსი 73:95 მინესოტა**

**კლიპერსი:** ტეილორი (19)

**მინესოტა:** გარნეტი (24 ქულა, 11 მოხსნა)

კვლავ ჩაფლავდა 1998 წლის დრაფტის პირველი ნომერი მაიკლ ოლვოკანდი. კლიპერსს მისი დიდი იმედი ჰქონდაო მაგრამ ოლვოკანდიმ ვერც ერთხელ ვერ მოახერხა 20 ქულაზე მეტის მოგროვება, ამ შეხვედრაში კი სულაც ექვს ქულას დასჯერდა. მინესოტამ კი მშვენიერი მატჩი ჩაატარა, კლუბის ისტორიაში პირველად მოიგო სეზონის საწყისი ხუთი თამაშიდან ოთხი.

**ორლანდო 85:82 მილუოკი**

**ორლანდო:** ჰარდევეი (18 ქულა, 10 მოხსნა)

**მილუოკი:** ბრენდონი (20)

ეს მატჩი საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევდა, რადგან ერთმანეთს აღმოსავლეთის ორი კონფერენციის ლიდერები უპირისპირდებოდნენ. შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა — ბოლო წამებამდე გამარჯვებულის ვინაობა ვერ გაირკვა. სტუმრები უკანასკნელ წუთამდე იგებდნენ, მაგრამ ბოლო 35 წამი 11:2 წაგეს. მილუოკისთვის ამ საშინელ მონაკვეთს ორლანდოს ლიდერმა ანფერნი ჰარდევეიმ ორქულიანით დაუდო სათავე, ამას გრანტმა მოაყოლა ფარქვეშიდან ჩაგდებული, მერე ნიკ ანდერსონის ჯერი დადგა და მანაც ზედიზედ ხუთი საჯარიმო შეასრულა ზუსტად. მილუოკელთა ლიდერმა ტერელ ბრენდონმა ამის შემდეგლა მოახერხა ბურთის კალათში ჩაშვება და ანგარიში 83:82 გახადა. ჰარდევეიმ ვერ ჩააგდო, მაგრამ დარელ არმსტრონგმა ორი საჯარიმო გააზერხა 85:82. მილუოკის, კერძოდ, იმავე ბრენდონს, მატჩის გადარჩენა შეეძლო, მაგრამ მის ნასროლ სამქულიანს, რომელსაც სირენის ხმაც თან ახლდა, ისევ ჰარდევეიმ დაუფარა.

**ვანკუვერი 96:92 დალასი**

**ვანკუვერი:** მეკი (26), აბდურ-რაჰიმი (24)

**დალასი:** ნეში (18)

ვანკუვერმა სეზონში მეორე თამაშის მოგება მოახერხა, რაც გუნდის ლიდერ შარიფ აბდურ-რაჰიმის და განსაკუთრებით სემ მეკის დამსახურებაა. ამ უკანასკნელმა რვა სამქულიანის ჩაგდებით თავისი და ვანკუვერის რეკორდი დაამყარა.

**ფილადელფია 78:70 ატლანტა**

**ფილადელფია:** აივერსონი (32)

**ატლანტა:** სმიტი (14)

ფილადელფიელმა ალენ არვერსონმა წინას მსგავსად ახლაც შესანიშნავი შეხვედრა ჩაატარა, თან პირველივე ნახევარში 23 ქულა დააგროვა და ნაადრევად გატეხა წელში საკმაოდ ძლიერი მეტოქე.

**ჩიკაგო 76:89 სან ანტონიო**

**ჩიკაგო:** კუკოჩი (27 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი)

**სან ანტონიო:** რობინსონი (22)

ტონი კუკოჩი, რომელიც ჩიკაგოს მქუხარე წლებში სათადარიგო მოთამაშე იყო, ახლა კი დაჩაჩანაკებული „ხარების" ლიდერად მოგვევლინა, ერთადერთი იყო თავის გუნდში, ათზე მეტი ქულა რომ ჩააგდო და სამმაგ დუბლამდეც ორი პასი დააკლდა. სან ანტონიომ კი, ვისაც მთელ სეზონში სამ აღმოსავლურ გუნდთან მოუწია სტუმრად შებმამ, ერთი მარცხით (კლივლენდთან) და ორი მოგებით (ჩიკაგოსთან და ფილადელფიასთან) დაასრულა აღმოსავლური ოდისეა.

**ირაკლი ფირაშვილი**

# გუგავა ერთი სიტყვით: ბრწყინვალე!

## გია გუგავა მეოთხე ქართველია, ვინც პარიზის ტურნირი მოიგო

### ხუთ საჩემპიონო ბრძოლას მან მხოლოდ 6 წუთი მოანდომა

დასაწყისი პირველ გვერდზე

ირლანდიელი რაიანის დამარცხებას გუგავამ წუთნახევარი მოანდომა. ერთ წუთს გაუძალიანდა გიას მაროკოელი ქააბა. აი, ბრიტანელი ბერჩი თავიდან მაგრად დადგა და ჩვენებურს შეტევის საშუალებას არ აძლევდა, ოღონდ ეს იყო ყრუ დაცვა, რომელსაც ბრძოლისთვის თავის არიდების იერი დაჰკრავდა. ძიუდოში ეს მკაცრად ისჯება და ორწუთნახევრის შემდეგ მსაჯებმა ბრიტანელ ძიუდოისტს დისკვალიფიკაცია მისცეს.

ნახევარფინალში გუგავას მეტოქე ვინჩენცო კარაბეტა იყო — საფრანგეთის ნაკრების პირველი ნომერი და რიგიანი ძიუდოისტი. მისი და ქართველის ჭიდაობის სტილი დაახლოებით მსგავსია, რასაც, წესით, ორივესთვის უფრო უნდა გაერთულებინა საქმე. გუგავამ პირველმა აუღო ალღო სიტუაციას და შეტევაზე გადმოსული ფრანგი კონტრილეთზე გამოიჭირა — ფეხიდან აიყვანა, წინ დაატრიალა და ბეჭებზე დააგდო. მსაჯები თავიდან შეყოვნდნენ, მერე ცოტა ითათბირეს და გიას წმინდა გამარჯვება მიაკუთვნეს. ამ დროისთვის შეხვედრის დაწყებიდან 20 წამი იყო გასული.

არც ფინალში ელოდა გუგავას სუსტი მეტოქე. იაპონელი მასარუ ტანაბე ამ წონაში თავისი გუნდის ლიდერია. აზიის ჩემპიონიცაა და აზიური თამაშების გამარჯვებულიც. ეს შეხვედრა 40 წამიანი იყო: ამ ხანში გიამ ტატამიდან არასწორი გასვლაც „მოახერხა". რისთვისაც ჩუით გააფრთხილეს, შემდეგი მისვლისთანავე კი ქართველმა თავისკენ მოქაჩა მეტოქე, წონასწორობადაკარგულს წინ ფეხი დაუხვედრა და იაპონელიც ჰაერში ნახევარბრუნის შესრულების შემდეგ ტატამზე განრთხმული აღმოჩნდა. გია გუგავა პარიზის ტურნირის გამარჯვებული გახდა და შეიქნა მეოთხე ქართველი, ვინც ეს მოახერხა. ადრე ამ წარმატებისთვის შენგელი ფიცხელაურს, ამირან ტოტიკაშვილს და გიორგი რევაზიშვილს მიუღწევიათ.


გურამ ცოლაკაშვილის ფოტო

გიორგი რევაზიშვილი

რაც შეეხება თავად რევაზიშვილს (66 კგ.), იგი ახლოს იყო შარშანდელი ჩემპიონობის გამეორებასთან, მაგრამ საბოლოოდ მესამე ადგილს დასჯერდა. მან ჯერ ორ ევროპის ჩემპიონს სძლია წმინდად — ბელარუს მამედოვს და იტალიელ ჯოვინაცოს, მესამე წრეში კი ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი, სლოვაკი კრნაჩი ჩამოიცილა გზიდან. ამისთანა მეტოქეების დამარცხების შემდეგ ვინ იფიქრებდა, რომ რევაზიშვილი 20 წლის ესპანელ კოში უემცუსთან დამარცხდებოდა, მაგრამ ასე მოხდა და ჩვენებურს მესამე ადგილისთვის ბრძოლის შანსიღა დარჩა, გიორგიმ იგი გამოიყენა და წმინდად დაამარცხა კუბელი მაროლო პულოტი.

პულოტის დამარცხებით რევაზიშვილმა სეხნიას, ვაზაგაშვილსაც ამოჰყარა ჯავრი, რადგან სწორედ კუბელმა გამოთიშა ასპარეზობიდან ვაზაგაშვილი.

ხელი მოეცარა ევროპის ჩემპიონ ნესტორ ხერგიანსაც (60 კგ.), რომელმაც ფრანგი სოიერის დამარცხების შემდეგ ორი შეხვედრა წააგო — ესპანელ პენიასსთან და ფრანგ დესპეზულთან.

ეს ყველაფერი პარასკევს, 12 თებერვალს მოხდა. მომდევნო დღე, შაბათი, მეტად უიღბლო გამოდგა ქართველთათვის: დავით ნადარაიამ (73 კგ) პირველივე შეხვედრა წააგო უკრაინელ ბელოდედთან. მარცხით დაიწყო ივერი ჯიქურაულმაც (100 კგ): ბოლო წამებზე დაუთმო უპირატესობა კორეელ იანგ სუნ ჰიას, მერე ორჯერ წმინდად მოიგო — მალელ დაბოსთან და ფრანგ გუაგენტისთან. სანუგეშო ეტაპის მომდევნო წრეში ივერი 4 წუთსა და 40 წამს უგებდა ფრანგ მსოფლიოს ჩემპიონს სტეფან ტრენოს, მაგრამ დამთავრებამდე 20 წამით ადრე გდებაზე მოჰყვა და გამოსვლაც დაასრულა.

სოსო ლიპარტელიანმა (81 კგ) ფრან ჟოლისთან წააგო და ბრძოლა შეწყვიტა. მძიმეწონოსანთაგან ალექსი დავითაშვილი დამარცხდა ბულგარელ ტონკოვთან, დავით ხახალეიშვილი — კუბელ სანჩესთან, ხოლო რამაზ ჩოჩიშვილმა გაბონელი ნგუემას დამარცხებას ფრანგ კროსთან წაგება მოუნაცვლა. სანუგეშო ეტაპზე მხოლოდ ხახალეიშვილი მოხვდა. პირველ წრეში მან ფიჯელი კერავაკა დაამარცხა. მისი შემდეგი მეტოქე ესპანელი ოლიმპიური პრიზიორი ერნესტო პერესი გახლდათ. ამ შეხვედრაში გდება არ გაკეთებულა. ძიუდოისტებმა ტაქტიკური ბრძოლა გააჩაღეს, რამაც ორმხრივი პასიურობა გამოიწვია. მსაჯები ორთავეს აფრთხილებდნენ, ბოლოსკენ კი უფრო ესპანელი გააქტიურდა და გამარჯვება მას მიეკუთვნა.

პარიზშივე გაიმართა ევროპის საკლუბო თასის კენჭისყრა. თბილისის „შევარდენის" მეტოქე თურქული „ისთანბული" იქნება, რომლის შემადგენლობაში ოთხი ქართველია: ჯონდო მუზაშვილი, ირაკლი უზნაძე, გიორგი წმინდაშვილი და ივერი ჯიქურაული. ამ წყვილში გამარჯვებული ავსტრიულ „რეიფაიზენს" შეხვდება. ევროპის ძიუდოს კავშირის წესების თანახმად, „შევარდენი" ორივე შეხვედრას ავსტრიაში გამართავს ერთსა და იმავე დღეს.

ამჟამად საქართველოს ნაკრები პარიზში, საერთაშორისო შეკრებაზეა, სადაც თავი დაახლოებით 50 ქვეყნის წარმომადგენლებს მოუყრიათ. ხუთშაბათს კი ავსტრიაში გაემგზავრება, სადაც ამ შაბათ-კვირას მონაწილეობას მიიღებს ლეონდინგის საერთაშორისო ტურნირში.

ჭიდაობა

## უფროსთა მოუცლელობით ახალგაზრდებმა იხეირეს

ირანში დასრულდა მსოლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონის, ირანელთა სათაყვანებელი ფალავნის ტახტის სახელობის ტურნირი ჭიდაობის ორივე სახეობაში — თავისუფალსა და ბერძნულ-რომაულში. საქართველოდან სპარსეთს ახალგაზრდული გუნდები გაემგზავრნენ, რადგან ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე მოზრდილებმა საქართველოს ჩემპიონატის წინ ძალების დაზოგვა არჩიეს, თავისუფლებმა კი თურქულ ტურნირზე წასვლა ამჯობინეს.

ირანში ნაასპარეზევ ჩვენს ახალგაზრდათაგან ბერძნულრომაულად მოჭიდავეებმა უფრო ივარგეს: ბადრი ხასაია (76 კგ) და გიორგი წურწუმია (მძიმე) ჩემპიონები გახდნენ, გიორგი ლეჟავამ კი მესამე ადგილი დაიკავა. ჩვენების გუნდიც 9 მეტოქეში მესამე იყო.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მონაგარი შედარებით მოკრძალებული იყო — დავით ოთიაშვილის (97) ვერცხლი, შოთა ბილანიშვილის (მძიმე) ბრინჯაო და მეოთხე გუნდური ადგილი.

**ირაკლი თავაძე**

კრივი

# ხოცვა-ჟლეტა წმინდა ვალენტინის ღამეს

## ოსკარ დე ლა ჰოიამ სისხლის ფასად შეინარჩუნა ჩემპიონობა

ამგვარი რამ პატარა ოსკარს პირველად გადახდა თავს, ცოტაც და თავის საჩემპიონო ქამარს დაკარგავდა. მხოლოდ მეთორმეტე რაუნდში გამოჩენილმა არაადამიანურმა ძალისხმევამ გადაარჩინა მისი სახელი და დიდება.

მოსახდენი მაინც მოხდა: ველტერის წონის დაუმარცხებელმა ჩემპიონმა, „ოქრობიჭად" წოდებულმა ოსკარ დე ლა ჰოიამ მსაჯთა არაერთსულოვანი გადაწყვეტილებით ქულებით დაამარცხა განელი პრეტენდენტი აიკ კორტი და ჩემპიონის ტიტული დაინარჩუნა.


REUTERS-ის ვებგვერდიდან

ოსკარ დე ლა ჰოიამ აიკ კორტი მაინც დასცა


REUTERS-ის ვებგვერდიდან

ჰოიამ დაამტკიცა, რომ „მოგონილი ჩემპიონი" არ არის

კარიერის განმავლობაში ჩატარებულ 29 ბრძოლაში, რომელთაგან 24 დელა ჰოიამ ნოკაუტით მოიგო, მას არასოდეს შეხვედრია ძალისა სიძლიერისა და გაქანების მოკრივე. ამ ბრძოლამდე თავადაც დაუმარცხებელი 29 წლის განელი დაუფარავად აცხადებდა, რომ ჭკუას ასწავლის ამ „მოგონილ ჩემპიონს", რომელსაც ჯერ ხეირიანი არავინ დასდგომია წინ. კორტის დე ლა ჰოიაც ეთანხმებოდა, აფრიკელთან ჩხუბი ჩემთვის დიდი გამოცდააო. დე ლა ჰოიამ თავად მოითხოვა კორტისთან შერკინება. კორტიმ კი, იმისთვის, დე ლა ჰოიას რომ შეხვედროდა, სხვა ვერსიის ჩემპიონობაზე თქვა უარი.

თერთმეტი რაუნდის განმავლობაში კორტი პირნათლად ასრულებდა თავის მუქარას. დე ლა ჰოიას ტაქტიკა სიფრთხილეზე იყო დაფუძნებული. ასეთი უკანდახეული, შემცბარი ოსკარი აქამდე არავის ენახა. მწვრთნელ ალკასარის მოთხოვნით ოსკარი მოპასუხედ იყო და თავად შეტევას არ იწყებდა, ახლოს შესვლას ერიდებოდა და თავი შუა რინგზე ეჭირა. დე ლა ჰოიას ტაქტიკა არ იყო ეფექტური. კორტი მეთოდურად, ასევე დიდი სიფრთხილით უტევდა, მაგრამ მისი დარტყმები უფრო შედეგიანი ჩანდა. აშკარა იყო, რომ განელი იგებდა, მაგრამ დე ლა ჰოიას კუთხე ტაქტიკას არ ცვლიდა, არადა, ოსკარს სახეზე უკვე ნიშნები ედო.

მაყურებელი განუწყვეტლივ ყვიროდა, „ოსკარ, ოსკარ", მაგრამ მისი ფავორიტი ჰაერს უქნევდა მუშტებს. დე ლა ჰოიას საქომაგოდ მისული გამოჩენილი ადამიანები, ჩარლზ ბარკლი, შუგარ რეი ლეონარდი, ტომას ჰერნსი და მეჯიქ ჯონსონი შემცბარნი ჩანდნენ. მსოფლიოს უწესიერესი და უინტელიგენტურესი მოკრივე, უბრალოდ კარგი ბიჭი, საკუთარ ჭერქვეშ, საკუთარ ხალხში, იმ ღამეს, როცა ვალენტინობა მოდიოდა, აგებდა ძლიერ, დამთრგუნველ აფრიკელთან.

დე ლა ჰოია დათრგუნული და დამფრთხალი ჩანდა. მაგრამ ამის მიუხედავად მისი გამოცდილი მაყურებელი იმედს არ დაკარგავდა, რადგან ბოლოს და ბოლოს დე ლა ჰოიას კვანძი უნდა გაეხსნა. ვერ მოახერხებდა და ბრძოლა წაგებული ჩანდა. კვანძი თითქოს მეექვსე რაუნდში უნდა გახსნილიყო, რომლის დასაწყისშიც დე ლა ჰოიამ ძლიერი ცაცია ჰუკით დასცა კორტი. განელი სწრაფადვე წამოდგა და საპასუხო ცაცია ჰუკით ფიცარნაგზე მოსვა ოსკარი — ნოკდაუნი ნოკდაუნის პასუხად. შემდეგ კორტიმ გაალმასებით შეუტია და რეფერი მიჩ ჰალპერნი რომ ყოვლად უმიზეზოდ არ ჩამდგარიყო შუაში, დე ლა ჰოიას მძიმე წამები დაუდგებოდა.

ბრძოლა ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. კორტი კარგად მუშაობდა მარჯვენა ჯებით (სწორედ ამ საშინელი ჯების გამო შერქვეს „ბაზუკა") და მეთერთმეტე რაუნდიც ისე დასრულდა, რომ ცხადი იყო, დე ლა ჰოიამ პირწმინდად წააგო. მისი ავისმოსურნენი ალბათ უკვე ხელებს იფშვნეტდნენ, ალბათ კიდევ ერთხელ უწოდებდნენ „დაცულ მოკრივეს", რაც იმას გულისხმობს, რომ მას სასურველ მოწინააღმდეგეებს, ანუ საცემ ხალხს ახვედრებენ.

დაიწყო უკანასკნელი, მეთორმეტე რაუნდი და ცხადი შეიქნა, რომ დე ლა ჰოიას შტაბი ისევე ფიქრობს, როგორც მილიონობით მაყურებელი — გამარჯვების ერთადერთი გზა ნოკაუტია. მაგრამ როგრი მოსახერხებელია ნოკაუტი უკანასკნელ რაუნდში უტეხ, მშვიდ და თავზეხელაღებულ ოსტატთან?

დაიწყო მეთორმეტე რაუნდი და კიდევ ერთხელ დამტკიცდა: მოკრივის სიდიადე ბევრწილად განისაზღვრება გაჭირვების ჟამს მისი კონცენტრაციის უნარით. რაუნდი ხეირიანად არც დაწყებულიყო, რომ დე ლა ჰოიამ კვლავ ცაციით დასცა კორტი. კორტი კვლავ ყოჩაღად წამოდგა, მაგრამ აშკარა იყო, რომ დე ლა ჰოიას თავზე ხელი აეღო და თავდაცვას აღარად დაგიდევდათ. მან მოახერხა და თოკებთან მიაგდო განელი. სწორედ აქ მოხდა ის, რამაც შერკინების ბედი გადაწყვიტა. დე ლა ჰოია აღარ გაჩერდა და დროის მცირე მონაკვეთში, ზედიზედ 20 (ოცი !!!)-ჯერ დაარტყა თავ-პირში პრეტენდენტს. კორტი უსუსურად ასავსავებდა ხელებს, რეფერი ჰალპერნი აშკარად ელოდა ნოკაუტს, ნოკდაუნს მაინც, მაგრამ არცერთი არ იყო. დე ლა ჰოიას დამანგრეველი სერია მაშინ შეწყდა, როცა ოსკარს არაქათი გამოეცალა და მუშტები ველარ შეკრა.

ბრძოლის დასრულებამდე წუთნახევარი რჩებოდა, მაგრამ ბევრი აღარაფერი მომხდარა — მოკრივენი რინგის შუაგულში იდგნენ და ისვენებდნენ, კორტის შეტევის არაქათი აღარ ჰქონდა, აღარც ოსკარს.

ჩემპიონმა ბოლო რაუნდი 40:18 მოიგო, მაგრამ ეყოფოდა კი ეს შედეგი საბოლოო გამარჯვებას?

შედეგის გამოცხადება რომ დაიწყო, კორტი რინგის თოკებზე შეხტა და საძულველ ლას ვეგასს მიესალმა. არც იყო გასაკვირი: პირველმა დამთვლელმა, ინგლისელმა ლარი ო კონელმა მას მოაგებინა 115:114. მაგრამ დანარჩენ ორ რეფერის, ასევე ინგლისელ ჯონ კინსა და იაპონელ კენ მორიტას დე ლა ჰოიას სასარგებლოდ დაეთვალა — შესაბამისად, 116:113 და 116:112.

დე ლა ჰოიამ გაიმარჯვა!

ბოლოს და ბოლოს, ის შეხვდა ძალიან ძლიერს, გაუჭირდა, თვალები ჩაუსისხლიანდა, ცხვირიდან სისხლი გასდინდა, მაგრამ მაინც მოიგო. მოკლედ, დაამტკიცა, რომ არანაირი „მოგონილი ჩემპიონი" არ არის, თუმცა, ჯერჯერობით არც ისეთი დიადია, როგორადაც სახავდნენ.

„როგორ არ წაიქცა?"— უკვირდა მას ბრძოლის შემდეგ — „კორტის ფეხზე დარჩენა გამაოგნებელი იყო. ძალიან ძლიერი ჰუკი აქვს და გვარიანადაც მიარტყა. საოცარი მარჯვენა აქვს. ნაღდი თავზეხელაღებული ბიჭია".

კორტის კი ბრაზი არ განელებოდა:

„ეს ბრძოლა მე მოვიგე. თავად ნახეთ ყველაფერი. მე ყველაფერი გამომდიოდა. ის კი ფაფხურობდა. მაგრამ თუ ლას ვეგასში ამერიკელის დამარცხება გინდა, ნოკაუტში უნდა ჩააგდო. სხვა შემთხვევაში ქულებს ყოველთვის ამერიკელს დაუთვლიან".

ამასობაში კი გათენდა წმინდა ვალენტინის დღე, თუმცა ეს ალბათ ნაკლებმნიშვნელოვანია საკრივო საქმეში.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



მარკ როსე



ჟერომ გოლმარი

# როსე და რუსული არაყი

დუბაის ღია პირველობა.
არაბთა გაერთიანებული
საამიროები. ჰარდი.
საპრიზო 1,2 მილიონი 4

**მეოთხედფინალი:** **კარლოს მოია** (2, ესპანეთი) — ფელიქს მანტია (7, ესპანეთი) 7:6 (7:4), 6:2; **ჟერომ გოლმარი** (საფრანგეთი) — ტიმ ჰენმანი (3, ინგლისი) 7:6 (7:4), 7:5; **ენდრიუ ილი** (ავსტრალია) — გუსტავო კუერტენი (8, ბრაზილია) 6:4, 6:4; **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 7:6 (9:7), 6:7 (6:8), 6:2

**ნახევარფინალი:** **გოლმარი** — მოია 4:6, 7:5, 6:2, **კიფერი** — ილი 6:3, 7:6 (8:6)

**ფინალი:** **გოლმარი** — კიფერი 6:4, 6:2

გასულ კვირამდე 25 წლის ფრანგი ჟერომ გოლმარი არაფრით გამორჩეული კლასიფიკაციის მეორე ორმოცდაათეულის ბინადარი იყო — მოუხეშავი, მაგრამ ეფექტური ფორჰენდ-ბექჰენდით, ასე თუ ისე რიგიანი ცაცია მოწოდებით, იმპროვიზაციას მოკლებული, მაგრამ რისკიანი თამაშის სტილით, რომელსაც კარიერაში ნახევარფინალშიც კი ერთადერთხელ ეასპარეზა.

დუბაიში ყველაფერი შეიცვალა. გოლმარმა ფინალისკენ მიმავალ გზაზე ზედიზედ ოთხი ფავორიტი ჩამოიშორა: მარსელის ახალდამთავრებული ტურნირის გამარჯვებული ფაბრის სანტორო, კლასიფიკაციით მეთერთმეტე კაროლ კუჩერა, მერვე — ტიმ ჰენმანი და მეხუთე — როლან გაროსის ჩემპიონი კარლოს მოია.

ამათ კვალობაზე ფინალის მეტოქე, კარგა ხანია „იმედისმომცემის“ იარლიყმიკრული გერმანელი ნიკოლას კიფერი ფრანგს აბა, რას დააფრთხობდა, მით უმეტეს, რომ მან წვიმის გამო კვირას გადმოტანილი ნახევარფინალი მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე დაასრულა. კიფერმა ერთადერთხელ გაიბრძოლა, როდესაც პირველ სეტში 4:5-ზე ორი ბრეიკ-პოინტს მიატანა, მაგრამ გოლმარის მოწოდებას ვერც ამჯერად დააკლო რაიმე, ცხვირი ჩამოუშვა და მარცხს წინასწარ შეურიგდა.

„ოცნება ავისრულე. ამ გამარჯვებით ჩემს წინაშე ახალი ჰორიზონტები გაიხსნა. ყოველი მატჩი ისე ვითამაშე, თითქოს ფინალი ყოფილიყოს, წარმატების საიდუმლოც ეს იყო“ — განაცხადა მოგვიანებით ფრანგმა, საოჯახო პროფესიას, დურგლობას მეტისმეტად გვიან, 19 წლისამ რომ უგანა და თავის არჩევანის სისწორე დუბაიში ჩაჯიბული 162 ათასი დოლარითაც დაადასტურა.

სან ხოსე. აშშ. SYBASE OPEN.
დარბაზი, ჰარდი. საპრიზო
350 ათასი $

**მეოთხედფინალი:** **პიტ სამპრასი** (1, აშშ) — ბერნდ კარბახერი (გერმანია) 7:5, 6:3; **მარკ ფილიპუსისი** (3, ავსტრალია) — ჯასტინ გიმელსტობი 6:3, 2:6, 7:5 (7:0); **მაიკლ ჩანგი** (4, აშშ) — კრისტიან რუუდი (ნორვეგია) 6:1, 7:5; **სესილ მემიტი** (აშშ) — მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) 7:6 (7:5), 4:6 6:3

**ნახევარფინალი:** **ფილიპუსისი** — სამპრასი (ტრავმა), **მემიტი** — ჩანგი 3:6, 6:3, 6:4

**ფინალი:** **ფილიპუსისი** — მემიტი 6:3, 6:2

22 წლის მსოფლიოს 120-ე ჩოგანი სესილ მემიტი სან ხოსეს ტურნირის ნამდვილ აღმოჩენად იქცა. პირველობაზე კვალიფიკაციით მოხვედრილმა ჩოგბურთელმა მეორე წრეში გინების გამო ანდრე აგასის მოკვეთით კი იხეირა, მაგრამ თავისი ძალა მომდევნო მატჩებში — უფროს „ვუდ“ მარკ ვუდფორდსა და თავის კერპ მაიკლ ჩანგთანაც დაამტკიცა.

კაცი იტყვის, ბეკერის, ედბერგის, ლენდლის თუ სამპრასის ეპოქაში ამ ამერიკელმა მისაბაძ მაგალითად რაღა ჩანგი აირჩიაო, მაგრამ ეს მანამ, სანამ მემიტს გაკვრით მაინც შეათვალიერებ. საქმე ის არის, რომ აშშ-ის ყოფილი საუნივერსიტეტო ჩემპიონი ჩინური წარმოშობის ჩანგის ალი-კვალია: კალიფორნიაში მცხოვრები ფილიპინელი მშობლები, საშუალოზე დაბალი ტანი (1,73 მ), საოცარი სისწრაფე და, რაღა თქმა უნდა, თვალების ჭრილიც. მეტიც, მემიტი ჩანგს პატარაობიდანვე ბაძავდა კორტზე და იდენტურ დარტყმებს ძალის მისანიჭებლად ნახტომშიც ხშირად ასრულებს.

ჩანგთან შეხვედრა ახალბედა ამერიკელმა ნერვიულად დაიწყო და პირველი ხუთი გეიმიც წააგო, მაგრამ მერე კერპს თანდათან გაუშინაურდა, გვარიანად შეავიწროვა და მატჩის ბოლოს მთავარ მსაჯს გაზარებული ხელისგულის მირტყმითაც მიესალმა. ეს იმიტომ, რომ ცრურწმენის გამო მემიტი მსაჯებს ხელს არასოდეს ართმევს, მეტოქის მოწოდებებს შორის კი ჩოგნის ტრიალით ერთობა.

ნახევარფინალში ტურნირმა კიდევ ერთი ვარსკვლავი მოისაკლისა. სეზონში პირველად მოასპარეზე მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა პიტ სამპრასმა წინა მატჩში კოჭის მსუბუქი ტრავმა მიილო, მის გამიზიზებას მოერიდა და ჩოგბურთს ერთი კვირითაც ჩამოშორდა.

ფინალი კი ცალკარა გამოდგა. მეტოქეზე ერთი თავით მაღალმა ფილიპუსისმა მძლავრი მოწოდებებითა და დარტყმებით მემიტს შანსი არ დაუტოვა, კარიერის მეექვსე ტიტული მიითვალა და ბაქიობაც არ დააზანა: „ისე სწრაფად არ დავღვინებულვარ, როგორც, ვთქვათ, სამპრასი ან ბეკერი, მაგრამ ახლა შესანიშნავად ვთამაშობ. მიზეზს ვერ ვხედავ, რომ საუკეთესოთა ხუთეულში არ დავმკვიდრდე“.

სანკტ-პეტერბურგის ღია
პირველობა. რუსეთი.
დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 350 ათასი 4

**ნახევარფინალი:** **დევიდ პრინოშილი** (გერმანია) — იან სიმერინკი (1, ჰოლანდია) 6:4, 6:2; **მარკ როსე** (2, შვეიცარია) — მარატ საფინი (4, რუსეთი) 6:3, 6:2

**ფინალი:** **როსე** — პრინოშილი 6:3, 6:4

1992 წლის ოლიმპიურ ჩემპიონ როსესთვის რუსეთი ლამის მეორე სამშობლოდ იქცა — გარდა იმისა, რომ შვეიცარიელს მოსკოვის ღია პირველობა ორჯერა აქვს მოგებული, შარშან სანკტ-პეტერბურგში ფინალშიც იასპარეზა, წლეულს კი სულაც მთავარი ჯილდო გამოაყოლა ხელს.

„რუსეთში წარმატებით თამაშის საიდუმლო აღმოვაჩინე — ყოველ დილით ორ ჭიქა არაყს გადავკრავ ხოლმე. მე მგონი, აქ უფრო ცნობილი ვარ, ვიდრე სამშობლოში. ცოტა ხანიც და მოქალაქეობის შეცვლაზე ვიფიქრებ“ — განაცხადა ფინალის შემდეგ ორმეტრიანმა შვეიცარიელმა, რომელსაც ტურნირზე ერთი სეტიც კი არ დაუთმია.

**ავთანდილ სვანიძე**


ვაგროვებ თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების შეხვედრათა პროგრამებს.

ვეძებ ევროთასებზე „დინამოს“ შინ „კარდიფ სიტი“, „ტვენტე“, მტკ და სტუმრად გამართული მატჩების პროგრამებს.

1936-89 წლების საკავშირო ჩემპიონატებში და თასებზე თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით გამართული შეხვედრების პროგრამებს.

საქართველოს ნაკრების შინ და სტუმრად ჩატარებული მატჩების პროგრამებს.

ზაურ ძიურჯიევი

გლდანის მასივი, I მიკრორაიონი, მე-8 კორპუსი, ბინა 31. ტელ: 67 09 31




# ლოთებიც პატრიოტები არიან

12 თებერვალი

**რეინჯერსი — კაროლინა 1:3**

0:1 0:1 1:1

0:1 ლეშიშინი 9'14 (2); 0:2 კაპანენი 38'12 (15); 1:2 ლიჩი 40'40 (9); 1:3 ბატალია 48'30 (2)

**აილენდერსი — ნეშვილი 1:2**

1:1 0:1 0:0

1:0 ლინდენი 9'40 (13); 1:1 რონინგი 16'37 (14); 1:2 კრივოკრასოვი 34'06 (16)

სტუმრთა მეკარე მაიკ დანჰემმა 40 დარტყმა მოიგერია.

**ნიუ ჯერსი — ვაშინგტონი 2:3**

0:1 2:2 0:0

0:1 ბონდრა 3'54 (26); 1:1 ოდელეინი 25'44 (3); 1:2 ბულისი 27'14 (7); 1:3 კონოვალჩუკი 29'16 (11); 2:3 პედერსონი 32'53 (8).

ზედიზედ მეორე თამაშია, ნიუჯერსელებს ქულას ართმევენ. ამჯერად ბოლო წუთზე ლიგის ყველაზე გამოცდილმა მსაჯმა ტერი გრეგსონმა „ეშმაკებს“ აშკარად ჩასათვლელი შაიბა არ ჩაუთვალა და მათი საშინაო წარუმატებელი სერია 5 მატჩამდე (+0=1-4) გაზარდა.

**ჩიკაგო — დეტროიტი 1:2**

1:0 0:1 0:1

1:0 ლერუ 10'38 (1); 1:1 ლაპოინტი 25'33 (14); 1:2 მერფი 45'16 (9)

**ანაჰაიმი — დალასი 2:3**

1:1 0:0 1:2

0:1 ლეჰტინენი 13'03 (17); 1:1 სელიანე 19'09 (25); 1:2 ლანგებრუნერი 47'26 (7); 1:3 ჰალი 48'56 (20); 2:3 სანდსტრიომი 59'36 (7)

ზედიზედ მე-12 სეზონია, დალასელი ბრეტ ჰალი 20-შაიბიან ზღვარს გასცილდა. ანაჰაიმის მცველმა ფრედრიკ ოლაუსონმა (2 პასი) კი ბოლო 19 თამაშში 24 (!) ქულა მიითვალა.

**კალგარი — ბოსტონი 4:3**

0:1 2:1 2:1

0:1 სამსონოვი 7'54 (19); 1:1 სტილმანი 25'02 (15); 2:1 გოტიე 25'23 (1); 2:2 ელისონი 34'57 (15); 3:2 ბურე 54'19 (12); 3:3 ტორნტონი 58'55 (11); 4:3 იგინლა 59'56 (21)

13 თებერვალი

**კოლორადო — ფინიქსი 1:4**

1:0 0:2 0:2

1:0 ლემიე 7'15 (25); 1:1 ქუინტი 31'47 (2); 1:2 რენიკი 39'05 (19); 1:3 ილონენი 54'26 (6); 1:4 დოუნი 59'56 (3)

ფინიქსის მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინს საკლუბო რეკორდის განმეორებაზე მეტად (117 მოგებით ბობ ესენცას გაუტოლდა) კოლორადოელი კოლეგის, პატრიკ რუას კარიერაში პირველად ჯობნა გაუხარდა.

**ტორონტო — ჩიკაგო 2:6**

0:2 2:1 0:3

0:1 ამონტე 4'18 (28); 0:2 სიმპსონი 6'41 (1); 0:3 გილმორი 23'11 (13); 1:3 ტომასი 25'58 (21); 2:3 დ. კინგი 28'15 (17); 2:4 სიმპსონი 43'48 (2); 2:5 დაზე 45'19 (11); 2:6 პრობერტი 51'05 (3)

„MAPLE LEAF GARDEN“-თან დამშვიდობების ზეიმი მასპინძლებს ჩიკაგოელთა „პოლიციურმა“ ხაზმა — სიმპსონი (2+1) — პრობერტი (1+2) — ბრაუნი (0+1) — ჩაუმწარა, თანაც პირველმა ტორონტოელ მაყურებელთა კერპი ტაი დომიც გალახა.

**ტამპა — სან ხოსე 1:3**

0:0 0:1 1:2

0:1 ნოლანი 30'18 (11); 0:2 კრეივენი 40'47 (2); 1:2 კალიმორი 42'41 (4); 1:3 შტურმი 59'24 (13)

სან ხოსე წარმატებით ატარებს 10-მატჩიან საგარეო სერიას. ტამპასთან გამარჯვება ზედიზედ მეოთხე გახლდათ.

**მონრეალი — ფლორიდა 4:0**

1:0 1:0 2:0

1:0 ბრისბუა 18'13 (3); 2:0 კოივუ 30'41 (9); 3:0 კოივუ 45'30 (10); 4:0 დოუ 45'55 (4)

მონრეალელმა მარკ რეკიმ კარიერაში მე-500 პასი ჩაიწერა. კვლავ პაველ ბურეს გარეშე მოთამაშე ფლორიდას კი ბევრი არაფერი დაუკარგავს, რადგან მისმა მთავარმა კონკურენტმა ბოსტონმა უქმეებზე ორივე მატჩი წააგო.

**ოტავა — ვაშინგტონი 2:1**

1:0 1:0 0:1

1:0 იაშინი 12'46 (24); 2:0 ბონკი 20'58 (11); 2:1 ზედნიკი 46'07 (5)

ოტავას მეკარე დამიენ როუდსი (ბოლო ორ პერიოდში 20 დარტყმა მოიგერია) რომ არა, სტუმრები 7 თამაშამდე გააგრძელებდნენ მომგებიან სერიას.

**ბუფალო — აილენდერსი 2:2**

1:1 1:0 0:1 0:0

1:0 შატანი 6'18 (23); 1:1 რაიხელი 8'19 (16); 2:1 კრუზი 22'36 (2); 2:2 ჩერკავსკი 45'31 (12)

**ნიუ ჯერსი — კაროლინა 6:4**

2:2 2:1 2:1

1:0 ნიდერმაიერი 0'36 (6); 1:1 ბატალია 4'56 (3); 2:1 ოლივა 5'16 (5); 2:2 ფრენსისი 10'06 (11); 3:2 მორისონი 33'36 (7); 4:2 სიკორა 38'16 (18); 4:3 რანჰეიმი 38'51 (6); 5:3 პანდოლფო 57'56 (12); 6:3 მაკეი 58'10 (14); 6:4 რანჰეიმი 58'50 (7)

წაგებებით გამწარებულ ნიუ ჯერსის შაბათს კაროლინა გადაეყარა და სტუმრებიც წინასწარ განწირული იყვნენ. მით უმეტეს, რომ ლოთობით განთქმულმა (შარშანწინ სარეაბილიტაციო კურსიც გაიარა) ჩხუბისთავმა კენ დანეიკომაც ისე მოიწადინა, რომ კარიერაში პირველად სამი შედეგიანი პასი მიითვალა.

**ნეშვილი — პიტსბურგი 2:3**

1:2 0:0 1:0 0:1

0:1 ჰრდინა 0'16 (9); 0:2 კოვალიოვი 3'34 (18); 1:2 ბუგნერი 12'53 (2); 2:2 რონინგი 59'00 (15); 2:3 მილერი 63'39 (12)

პიტსბურგმა ზედიზედ მეცხრე (!) თამაში მოიგო, თანაც ბოლო სამი გამარჯვება ოვერტაიმში მოიპოვა.

**სენტ ლუისი — ედმონტონი 2:3**

1:1 0:1 1:1

0:1 გერინი 7'50 (23); 1:1 ტარჯონი 18'42 (18); 1:2 სმიტი 32'20 (8); 2:2 რომი 49'04 (6); 2:3 სმიტი 51'04 (9)

**ლოს ანჯელესი — დალასი 2:3**

0:1 2:2 0:0

0:1 ჰალი 12'13 (21); 0:2 ვერბიკი 23'13 (12); 1:2 ფერარო 24'34 (10); 2:2 კ. ჯონსონი 25'14 (5); 2:3 კარბონო 33'25 (2)

**ვანკუვერი — ბოსტონი 3:1**

1:1 1:0 1:0

1:0 მოგილნი 7'16 (6); 1:1 კარტერი 11'00 (8); 2:1 ბერტუცი 20'33 (8); 3:1 სკაჩარდი 44'38 (10)

მასპინძლებს აკლდათ მარკ მესიე, რომელიც წინა მატჩში დაშავდა. „რკინის მარკი“ თვენახევრით გამოეთიშა ჩემპიონატს.

14 თებერვალი

**ფინიქსი — ანაჰაიმი 1:5**

0:1 0:1 1:3

0:1 სელიანე 3'54 (26); 0:2 რუჩინი 26'24 (19); 0:3 დრური 44'54 (3); 0:4 რუჩინი 54'42 (20); 1:4 კორკამი 55'36 (7); 1:5 მაკენზი 59'13 (3)

**რეინჯერსი — დეტროიტი 2:4**

0:3 1:0 1:1

0:1 ფიოდოროვი 1'12 (15); 0:2 აიზერმანი 6'31 (22); 0:3 კლიმა 14'36 (1); 1:3 სავარი 32'40 (8); 2:3 ფედიუკი 44'30 (3); 2:4 ლიდსტრიომი 59'33 (10)

ორი წლის შემდეგ ლიგაში დაბრუნება ჩეხმა პეტრ კლიმამ გატანილი გოლით აღნიშნა.

**კოლორადო — ფილადელფია 4:4**

1:2 1:1 2:1 0:0

1:0 ჰეიდუკი 6'59 (7); 1:1 დესჟარდენი 7'46 (11); 1:2 ლანგკოუ 15'21 (10); 1:3 ჯოუნსი 27'01 (15); 2:3 ფუტი 33'27 (3); 3:3 კამენსკი 45'01 (13); 4:3 ფორსბერგი 46'00 (16); 4:4 ლეკლერი 48'43 (35)

**სამველ ღარიბიანი**



REUTERS დორტმუნდიდან

# ხუთკილომეტრიანი რეკორდები

გასულ უქმეებზე ევროპის სამძლეოსნო დარბაზებში ახალი სეზონის პირველი რეკორდები დაფიქსირდა. დორტმუნდის საერთაშორისო ასპარეზობაზე რუმინელმა გაბრიელა საბომ (ზედა ფოტოზე) 5 000მ-ზე ბრიტანელი ლიზ მაკკოლგანის 7-წლიანი რეკორდი დაამხო, ხოლო „გრან-პრის“ ბირმინგემული თავშეყრის იგივე მანძილი ყველაზე სწრაფად ეთიოპელმა, ჰაილე გაბრესელასიემ (ქვედა ფოტოზე) დაფარა.

მაკკოლგანის სარეკორდო 15.03.17 წუთს საბომ 16 წამი ჩამოპარსა, მაგრამ მისი და გაბრესელასიეს ზიარი მოძღვრის, ჰოლანდიელი იოს ჰერმენსის თქმისა არ იყოს, „უფრო მეტის ჩამოპარსვაც შეეძლო“. მართლა შეეძლო გაბრიელას თუ არა, ეგ ამბავი, ალბათ, უახლოეს ტურნირებში გამოჩნდება, მაგრამ ის, რომ ლიზ მაკკოლგანი მას ველარანაირად შეეცილება, ეს კი უეჭველი ფაქტია — ლიზი, მალე თურმე, ორგზის დედა გახდება და ბილიკზე დაბრუნების ილაჯსაც მხოლოდ მომავალი ოლიმპიადისთვის მოიბრუნებს.

რაც შეეხება სამგზის მსოფლიოს ჩემპიონ ეთიოპელს. მან თავისი მე-15 რეკორდი და მორიგი 110 ათასი დოლარი კენიელ დანიელ კომენის მიერ შარშან სტოკჰოლმში ნაჩვენები 12.51.48 წუთისთვის, ერთბაშად წუთსა და 10 წამის ჩამოკლებით მიითვალა. გული ჰაილეს მხოლოდ იმაზე დასწყვეტია, რომ პირველ კილომეტრებზე „ბიჭები მას არაკაცურად ელობებოდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ“. ბიჭების კომენტარი ამასთან დაკავშირებით უცნობია, მოტივაცია კი — უალრესად გასაგები: ძალიან ძნელია, როცა ადამიანი მუდამ თავის ქუსლებს გაყურებინებს.



საფრანგეთის აჟანსი ბირმინგემიდან

# პელეს ძევ, კაცი რად მოჰკალ?!



REUTERS რიო დე ჟანეიროდან

პელეს ვაჟსა და მის რამდენიმე უბნელს სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუწევთ. ბრაზილიურმა თემიდამ — მამამისისადმი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად — ეგრემც ვერ მიჩქმალა ედსონ ჩოლბი დუ ნასიმენტუსა და მისი ძმაკაცების მიერ 1992 წელს ერთი უდანაშაულო კაცის მკვლელობის ამბავი. იმ უბედურ დღეს ბიჭებმა სან პაულუს გზატკეცილზე მანქანებით თავაწყვეტილი რბოლა გააჩაღეს და მუხრუჭები მანამ არ უხმარიათ, სანამ ერთი, თავის გზაზე მავალი მოტოციკლეტისტი არ შეიწირეს. ჰოდა, თუკი ყველაფერი ძალიან ცუდად იქნა, 28 წლის ედსონი თავისუფალ ცხოვრებას მხოლოდ 48 წლის ასაკში დაუბრუნდება, ხოლო მოვლენათა მისთვის ხელსაყრელად წარმართვის შემთხვევაში, საქმე იქნებ 6-წლიანი პატიმრობითაც შემოიფარგლოს.




REUTERS ტორონტოდან

# ნეკერჩხლის ფოთლები ქარმა წაიღო

შაბათს, 13 თებერვალს, ნჰლ-ის მატიანის კიდევ ერთი გვერდი გადაიფურცლა — 67 წლის „MAPLE LEAF GARDEN“-ზე, რომელზეც ამ ხნის განმავლობაში 2329 მატჩი ჩატარებულა, უკანასკნელი თამაში გაიმართა. ამიერიდან ტორონტო მეტოქე გუნდებს „AIR CANADA CENTRE“-ში მიიღებს. „გარდენს“, რომელიც „ნეკერჩხლის ფოთლების“ მრავალი ტრიუმფის მოწმეა, ლამაზი გამომშვიდობება მოუწყვეს.

მასპინძელთა და ჩიკაგოს მატჩის წინ გამართული ცერემონიალის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი მომენტი ის იყო, როცა ლეგენდარული ტორონტოელი ვეტერანები, ჰოკეის „დიდების დარბაზის“ წევრები, მოედნის ცენტრში შეიკრიბნენ და პირთამდე სავსე გარდენმა მათ ხანგრძლივი ოვაცია მოუწყო. საინტერესოა, რომ მაყურებლები ბილეთების ერთობ სიძვირემაც ვერ შეაშინა (ყველაზე იაფი ბილეთი 600 დოლარი ღირდა). ერთ-ერთმა ქომაგმა ისიც თქვა, ასეთ ისტორიულ დღეს ფასზე ლაპარაკი მკრეხელობააო. ერთი რამ იყო უსიამოვნო ტრადიციულად თავიანთ ერთ-ერთ მთავარ მეტოქესთან შეხვედრაში ტორონტოს კლუბის ახალი ისტორიის შემქმნელები 2:6 შერცხვნენ.

# ვერდერმა საუკუნე იზეიმა



REUTERS ბრემენიდან

გასულ უქმეებზე ბრემენელებმა მათი საფეხბურთო კლუბის — „ვერდერის“ საუკუნოვანი იუბილე იზეიმეს. 2 500 საგანგებოდ ნაწვევ სტუმართა შორის ბარაქიანი ბრემენული ლუდით ყელი გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა და კლუბის რამდენიმე წლის წინანდელ წარმატებათა დიდმა შემოქმედმა, ოტო რეჰაგელმაც (მარცხენა ფოტოზე) გაისველეს. თუმცა ალკოჰოლს მხოლოდ ისინი არ გაუხალისებია — გუნდის ამჟამინდელ თავკაცს, ვილი ლემკესა და მის სათნო მეუღლე ჰაიდეს (მარჯვენა ფოტოზე) 40 წლის წინანდელი გამოსაშვები საღამო მოაგონდათ და, პუბლიკას მოხდენილი ვალსითაც „გაუმასპინძლდნენ“.



REUTERS ბრემენიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. **ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29